

# **სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2015, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2015, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2015, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2015, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა  
პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის  
შელახვა**

**ბანჩინება**

№ას-1179-1124-2013

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავეცი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური**

**დავის საგანი:** პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის  
შელახვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ტ. ც-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-ის მიმართ მოპასუხის მიერ 2013 წლის 21 იანვარს გავრცელებული ცნობებით თავისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტის აღიარებისა და ა. ბ-ისათვის შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების დავალების, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხისათვის 3333 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2013 წლის იანვარში ტ. ც-მ გაზეთ „გ-ში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „დანიშნები აჭარის მთავრობაში მ. დ-ის ნათესავების თამადაობით“. დასახელებულ სტატიაში ასახული ინფორმაცია 2013 წლის 21 იანვრის პრესკონფერენციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ – ა. ბ-ემ ოთხჯერ მოიხსენია ტყუილად, ამავე პრესკონფერენციაზევე მოპასუხისათვის ცნობილი გახდა, რომ ფაქტები, რომელთაც მან ტყუილი უწოდა, წარმოადგენდა სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, არ განუცხადებია, რომ ტ. ც-ე არ არის მატყუარა. გავრცელებული განცხადებებით შეილახა ტ. ც-ის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლებით მოითხოვა, რომ 2013 წლის 21 იანვრის პრესკონფერენციაზე ტ. ც-ის მიმართ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი განცხადებები არ გავრცელებულა, არამედ ა. ბ-ემ გამოხატა მხოლოდ საკუთარი

შეხედულება, აზრი კონკრეტულ საკითხზე, რისი უფლებაც შეუზღუდავია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ტ. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტის აღიარებისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების მოპასუხისათვის დავალების მოთხოვნის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2013 წლის 3 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინაალმდეგე მხარე, რის გამოც აპელანტმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ასევე არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე და 230-ე მუხლების შესაბამისად მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა მის მიერ მითითებული გარემოება, რომ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტებთან შეხვედრისას დაბა ჩაქვში, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მოსარჩელის მიერ გაზეთ „გ-ში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით „დანიშვნები აჭარის მთავრობაში მ. დუმბაძის ნათესავების თამადაობით“ რამდენიმეჯერ მოიხსენია ტყუილად და არაერთგზის აღნიშნა, რომ ჟურნალისტი წერდა ტყუილს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 24-ე მუხლებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, მე-4, მე-6, მე-7 და მე-13 მუხლებით და განმარტა, რომ მოპასუხე ა. ბ-ის მიერ გაკეთებული სადავო განცხადება იყო არა ცილისწამება და პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელება, არამედ მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროს გამოთქმული აზრი, შეფასება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში და იგი არ იყო ტ. ც-ის რეპუტაციის დაცვის კანონიერი მიზნის პროპორციული, არამედ აზრი

დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ც-ემ, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დაგაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტის აღიარება, სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების მოპასუხისათვის დავალება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგანაც სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის მონიშნულ მდგე მხარის არასაპატიოდ გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება გაზეთ „გ-ში“ გამოქვეყნებული სტატიის ტყუილად მოხსენიებისა და ჟურნალისტის მიერ ტყუილის დანერის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნეოდა, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის არასწორი განმარტების გამო, სასამართლომ არასწორად არ დაადგინა, რომ ა. ბ-ის მიერ განცხადების გავრცელებით შეილახა მოსარჩელის ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ფაქტს.

გარდა აღნიშნულისა, განჩინება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც დაუსაბუთებელია, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-19 და 24-ე მუხლების, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია ინდივიდის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, როცა იგი არის გამყარებული ლეგიტიმური მიზნით, შეზღუდვასა და მიზანს შორის არსებობს გონივრული ბალანსი და გამოყენებულია ადეკვატური საშუალება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ შეუფასებია არც შეზღუდვის დასაშვებობა და არც მისი პროპორციულობა, ისევე როგორც ადეკვატური საკანონმდებლო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა.

ა. ბ-ის მიერ 2012 წლის 21 იანვრის პრესკონფერენციაზე ტ. ც-ის მიმართ გამოთქმული განცხადებები იყო ფაქტების შემცველი ინფორმაცია. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და გაემიჯნა აზრი და ცილისწამების შემცველი ცნობები, შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა,

მოპასუხის განცხადება შეიცავდა თუ არა მცდარ ფაქტებს. კა-სატორის მოსაზრებით, ცილისწამება აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება, მაგრამ არ არის აბსოლუტური დაცვის ღირსი. მოცემულ შემთხვევაში იგი უფრო მაღალ ღირებულებას – პირის პატივსა და ღირსებას უპირისპირდება. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით. დასახელებული ნორმები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლიდან, უზრუნველყოფენ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების რეალიზაციას და ქმნიან აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძველს.

2013 წლის 21 იანვრის პრესკონფერენციაზე ა. ბ-ის მიერ გაკეთებული განცხადებებით შეილახა ტ. ც-ის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოების წევრებს ტ. ც-ის მიმართ უპატივცემულობა არასდროს გამოუვლენიათ, შესაბამისად, ტ. ც-ეს საზოგადოება დადებითად აფასებს. ა. ბ-ის განცხადებების შემდეგ ეჭვქვეშ დადგება ტ. ც-ის მიერ გამოყენებული სტატიების შესაბამისობა რეალობასთან, მათი სანდოობა.

პრესკონფერენციაზე ა. ბ-ის მიერ გაკეთებული განცხადებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პოლიტიკურ ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა. სასამართლოს ამავე კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, უნდა შეეფასებინა ა. ბ-ის სტატუსი, ასევე ის გარემოება, მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა თუ არა ყოველკვირეული ბრიფინგი და, შესაბამისად, ემსჯელა, სადავო განცხადება ჯდებოდა თუ არა პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების ფარგლებში;

სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი. სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოპასუხის მიერ გამოთქმული განცხადებები არის თუ არა ადეკვატური პასუხი მოსარჩელის განცხადებაზე, ან ტ. ც-ის სტატიის ადრესატი იყო თუ არა ა. ბ-ე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს, კერძოდ, ა. ბ-ის სადავო განცხადება

ერთ შემთხვევაში შეფასებულია, როგორც აზრი, მეორე შემთხვევაში, როგორც უფლებამოსილების განხორციელებისას გამოთქმული აზრი და მესამე შემთხვევაში – როგორც განცხადებაზე თანაზომიერი პასუხი. ამდენად, სასამართლო ვერ მიჯნავს ერთმანეთისგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4, მე-5 და მე-15 მუხლებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს და მათი დაცვის სამართლებრივი რეჟიმის თავისებურებებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივარი, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ტ. ც-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი იმ საფუძველით განაცხადა, რომ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიული თვალსაზრისით არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დადგენილად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტებთან შეხვედრისას დაბა ჩაქეში, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მოსარჩელის მიერ გაზეთ „გ-ში“ გამოქვეყნებული სტატია – „დანიშნები აჭარის მთავრობაში მ. დ-ის ნათესავების თამადაობით“ რამდენიმეჯერ მოიხსენია ტყუილად და არაერთგზის აღნიშნა, რომ ჟურნალისტი წერდა ტყუილს;

თავის მხრივ, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო და აპელანტს სადავო არ გაუზღდია ის გარემოება, რომ მოპასუხე ა. ბ-ე არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

2013 წლის 21 იანვარს აჭარის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ ბრიფინგს ესწრებოდა რეგიონში მოღვაწე თითქმის ყველა ჟურნალისტი, მათ შორის მოსარ-

ჩელე ტ. ც-ე, რომელიც იმ დროისათვის იყო „გ-ის“ ჟურნალისტი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გავრცელებული ინფორმაცია არ წარმოადგენდა ცილისწამებას, შესაბამისად, არ არსებობდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას და სარჩელის დაკმაყოფილებას, ძირითადად, ორი საფუძვლით მოითხოვს: ა) სასამართლომ არასწორად განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ნორმები და არასწორად არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი; ბ) სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გავრცელებულ ინფორმაციას, მოპასუხის გამონათქვამი არასწორად არ მიიჩნია მოსარჩელის რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციად – ცილისწამებად, ამასთან, არასრულყოფილად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ დაადგინა მოდავე სუბიექტი იყო კერძო თუ საჯარო პირი, შესაბამისად, არასწორად ეთქვა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, უპირველესად, იმსჯელოს გავრცელებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივ კვალიფიკაციაზე, კერძოდ, იგი წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას თუ ფაქტებს, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს კასატორის მიერ საპროცესო დარღვევების კუთხით წარმოდგენილ პრეტენზიაზეც.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ჩანაწერი – „კანონით დადგენილი წესით“ გულისხმობს, როგორც საკუთრივ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალურ კანონს, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან. აღნიშნულ კანონთან მიმართებაში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, მასში მო-



ცემულია, როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი, ასევე პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ნორმები (მაგ. 4.1. მუხლის მიხედვით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით).

როგორც აღინიშნა, კასატორი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოპასუხებ კერძო პირია თუ საჯარო პირი, რაც გავლენას ახდენს პასუხისმგებლობის ზომაზე. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ამ არგუმენტს და განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ერთმანეთისაგან მიჯნავს კერძო პირისა და საჯარო პირის ცილისწამების ცნებას და პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობას ანიჭებს არა იმას, თუ ვინაა განცხადების ავტორი, არამედ განცხადების ადრესატს, უფრო კონკრეტულად, ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის გადამწყვეტია არა ის, საჯარო პირმა გაავრცელა განცხადება თუ კერძო პირმა, არამედ ის, ამ სუბიექტთაგან თუ რომელია გავრცელებული განცხადების ადრესატი.

გავრცელებული განცხადების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, რომლითაც რეგულირებულია კერძო პირის ცილისწამების საკითხი, ანუ მოსარჩელე მიიჩნია კერძო პირად. ამ შეფასების თაობაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამდენად, წინამდებარე გადამწყვეტილებისათვის ეს ფაქტი სავალდებულო ძალის მატარებელია.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ) გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი; გ) გავრცელებული ინფორმაცია ზიანს უნდა აყენებდეს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

ზემოთ ვახსენეთ, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას.

საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის უპირველესად უნდა შემოწმდეს ბრიფინგზე, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, დაბა ჩაქვში, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაზეთ „გ-ში“ მოსარჩელის გამოქვეყნებული სტატიის ტყუილად რამდე-

ნიმეჯერ მოხსენიება და იმის არაერთგზის აღნიშვნა, რომ ყურნალისტი წერდა ტყუილს, წარმოადგენს აზრს თუ ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულებების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირობის დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების მაკვალიფიცირობელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინა-

არსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის (დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ).

საკაცაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არ გაუვრცელებია ფაქტების შემცველი განცხადებები, კერძოდ, სარჩელის საფუძველად მითითებული გამონათქვამები: „აი ეს არის ტყუილი, იმიტომ, რომ ჯ. კ-ძე მ-ის მამის დის შვილი არ არის“; „ეს არის ტყუილი და მეოთხე, ნ. კ-ძე არ არის ა. ბ-ის ქვისლი“; „ის ქალბატონი არის ლ-ძე, ჩემი მეუღლე არის ბ-ძე. სასაცილოა უბრალოდ, ეს არის ტყუილი“; „არც ერთი ჟურნალისტი მე იქ არ დამინახავს. თქვენ იყავით? მე მითხარით? ტყუილი, მომატყუა“; „არ გრცხვენია იმის რომ ტყუილებს წერთ?“ არ ქმნის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცილისწამების შემადგენლობას, არამედ წარმოადგენს მოპასუხის შეფასებით მსჯელობას, მის შეხედულებას, დამოკიდებულებას პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ კატეგორიაში, თავის მხრივ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 4.1 მუხლის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულად გათავისუფლების საფუძველია (ამავე კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი).

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: რადგან დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნების გარეშე, ამიტომ, სახელმწიფომ, ისე როგორც ხალხმაც უნდა აიტანოს მათთვის შეურაცხყოფელი, გამოაგნებელი თუ შემამოფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი შეზღუდვა ლოგიკურად მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი (№ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის სადავო განცხადებები არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ღირსების სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, არ არსებობს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

მიუხედავად აღნიშნულისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვის თავისუფლების როლისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის, ასევე საკასაციო სამართალწარმოების პრეცედენტული ბუნების გათვალისწინებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტზე, რომელიც დადგენილია საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. ეს უფლება მოიცავს პირის

თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, კერძოდ იმგვარ ჩარევას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადანყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი და სხვა. მოცემულ შემთხვევაში რადგანაც არ დადასტურდა მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს შეზღუდვის სტანდარტს.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს ტ. ც-ის იმ პრეტენზიაზე, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, არასწორად არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატა ამ საკითხზე იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დად-

გენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენიშნავდა.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემომდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინალმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის არსებობის დადგენის შემდეგ ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატკიცებელი გარემოებები (233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა), ამასთანავე, ამავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, რადგანაც სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებები კანონის ძალით მიიჩნევა დადგენილად, სასამართლომ უნდა შეაფასოს ის, დადგენილი გარემოებები ქმნის თუ არა მოთხოვნის საფუძვლიანობის მარეგულირებელ მატერიალური ნორმის შემადგენლობას. უარყოფით შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) დაკმაყოფილება გამორიცხულია.

სიტყვისა და გამობატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს თუ აზრს, ან შეილახა თუ არა მოპასუხის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია, სამართლის საკითხს წარმოადგენს და მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანონის ძალით დადასტურებულად მიიჩნევა თავად განცხადების გავრცელების ფაქტი მისი შინაარსის გათვალისწინებით, რომლის სამართლებრივი შეფასებაც სასამართლოს გადასაწყვეტია, ხოლო სასამართლო ამ შემთხვევაში არ არის შეზღუდული მხარის მითითებებით. როგორც უკვე აღინიშნა, გავრცელებული განცხადება არ წარმოადგენდა რა ცილისწამებას, სააპელაციო პალატამ მართებულად უთხრა უარი აპელანტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ტ. ც-ეს არ წარმოუდგენია იმგვარი დასაბუთებული პრეტენზია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე 394-ე მუხლების შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ტ. ც-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის განჩინება.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების  
უარყოფა**

**განცხადება**

№ას-1304-1242-2014

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობე-  
ბის უარყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ქ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ თბილისის იუსტიციის სახლის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №1222/კ ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დავალება, იძულებითი მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრება თვეში 660 ლარის ოდენობითა და პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე 2012 წლიდან 2013 წლის 31 იანვრამდე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის პოზიციაზე. 2013 წლის 31 იანვრის №1222/კ ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველით. სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოახდინა იუსტიციის სახლის თანამშრომელთა ორგანიზება და ღია წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს სისტემაში არსებული შრომითი პრობლემების შესახებ, რამაც იუსტიციის სახლის სხვადასხვა რგოლის თანამდებობის პირთა უკმაყოფილება გამოიწვია. ი. ქ-ის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, თვალთვალი და ინფორმაციის შეგროვება. საქმე გადა-



ეგზავნა უწყების შიდა აუდიტის სამსახურს, რომლის დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს არ დაუმტკიცდა ხელმძღვანელ პირთა მიერ წაყენებული ბრალდებები. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს 2013 წლის 31 იანვარიდან აღარ გაუგრძელეს შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია განსხვავებული აზრის გამო. ამასთან, შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა და მოსარჩელის მიერ იუსტიციის სამინისტროსადმი ღია წერილის მიწერის გამო, რაიმე სახის დისკრიმინაციას მის მიმართ ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებით მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა. მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაიწყო დისციპლინური წარმოება ი. ქ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად, მოსარჩელის გარკვეული ქმედებებით დაირღვა სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარის 2009 წლის 13 აგვისტოს №267 ბრძანებით დამტკიცებული მოქალაქეთა მომსახურების სტანდარტები, რაც უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად. გარდა ამისა, 2011 წლის 20 აპრილის №1473/კ ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელე დაინიშნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მთავარ სპეციალისტად. აღნიშნულ პოზიციაზე ყოფნისას, 2011 წლის 11 სექტემბერს მას მიეცა შენიშვნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულებისა და „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნათა დარღვევისათვის. მოგვიანებით, 2012 წლის 13 თებერვალს, ი. ქ-ეს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომისთვის გამოეცხადა საყვედური. 2012 წლის 28 თებერვალს შიდა კონტროლის სამსახურის დასკვნისა და 2012 წლის 29 თებერვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, მოსარჩელეს გაუგრძელდა დისციპლინური სასჯელის ვადა სამი თვით.

მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელეს კანონის დაცვით ეთქვა უარი შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე და განემარტა მიზეზები. მოსარჩელის მიმართ არსებობდა პრეტენზიები მის მიერ შრომითი დისციპლინის დარღვევის

საკითხებზე, რომელთა ნაწილი დადასტურდა აუდიტის დასკვნით. ამასთან, იუსტიციის სახლისათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებების დელეგირების ფაქტიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე არ არსებობდა შესაბამისი თავისუფალი პოზიცია, რომელზე მუშაობის გაგრძელებასაც მოსარჩელე შეძლებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ი. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელს“ და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 1 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავო გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-მ რეაგირების მიზნით, მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემომნების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტებების გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების შესახებ და მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ და მე-13 მუხლებზე, რომლის თანახმად, სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელიც ვალდებული იყო ემტკიცებინა, რომ: ა) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველი იყო; გ) სადავო განცხადება ლახავდა მის პატივსა და ღირსებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადავოდ გამხდარი განცხადებების გავრცელების ფაქტს დაადასტურებდა, ხოლო გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევდა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებად,

წარმოადგენდა შიდასამსახურებრივ მოხსენებით ბარათს, შედგენილი იყო სწორედ ამ დანიშნულებით და არ იყო გამიზნული პირთა ფართო წრის ინფორმირებისათვის. როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა სწორედ აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე აწარმოა კვლევა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა და 2013 წლის 23 იანვარს შედგენილი დასკვნით არ გაიზიარა მოხსენებით ბარათში მოცემული კონკრეტული დარღვევების არსებობის ფაქტი, ხოლო, რიგი დარღვევების არსებობის ფაქტის დადგენის გამო, მიზანშეწონილად მიიჩნია ი. ქ-ისათვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი მოვალეობების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2013 წლის 31 იანვარს გამოცემულ ბრძანებას საფუძველად არ დადებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმისათვის, რომ სასამართლოს გზით განხორციელდეს პირის პატივისა და ღირსების შესაბამისი დაცვა, უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებანი: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა;

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება (და არა კომენტარი, აზრი, ვარაუდი, მოსაზრება, შეფასება).

ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ უშუალოდ მის შესახებ მოპასუხემ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადავო განცხადებების გავრცელებას დაადასტურებდა. შესაბამისად, არ არსებობდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. ქ-ემ გაასაჩივრა საკასაციო ნესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში, საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ ი. ქ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით დამსაქმებელმა ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება, რითაც უფლებებელყო მოქმედი კანონმდებლობა და შელახა კასატორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კერძოდ, თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით ილახება ი. ქ-ის პატივი და ღირსება, ვინაიდან, იგი ხელმისაწვდომი გახდა უწყების თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგულვებელყოფილი იქნა კასატორის შრომითი დისციპლინა და მომსახურების სტანდარტი. მისი, როგორც დამსაქმებულის ქმედებები შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“. მოხსენებითი ბარათის ავტორის ფუნქციური და იურიდიული სტატუსის, ბარათის ადრესატის, შეფასების არაკორექტულობისა და ფაქტების მცდარობის გათვალისწინებით, კასატორისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, აღნიშნული ბარათი მიჩნეულიყო უბრალო, სუბიექტურ შეფასებად გადაჭარბების გარეშე. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გ. ჭ-ე მხარეს არ წარმოადგენს, რაც მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათს კიდევ უფრო სუბიექტურს ხდის. კასატორი განმარტავს, რომ გ. ჭ-ე არის თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფაგლებში განხორციელებული ქმედებებისას იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, ოფიციალური დოკუმენტით შედგენილი მისი შეფასებითი მსჯელობა, გამოხატავს დამსაქმებლის ნებას.

კასატორმა მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს

პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტები ყოველთვის ეყრდნობოდნენ მტკიცებულებებს, შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამოიჯნა, ერთი მხრივ, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, მეორე მხრივ კი, პატივისა და ღირსების უფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს.

კასატორი მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზეც და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მას უთხრა სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტების მტკიცებულების სახით დაშვებაზე, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 380-ე და 215-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განჩინებით ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №1222/კ ბრძანების ბათილად ცნობის, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დავალებისა და იძულებითი მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, ხოლო საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განხილვის საგანია ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში.

კასატორის პრეტენზიების (კასაციის მიზეზების) დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ რეგულირებაზე, რადგან მატერიალური ნორმების შემადგენლობის ნიშნების არსებობა განაპირობებს სარჩელის საფუძვლიანობას.

განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექ-

სის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოიცავს დათქმას სპეციალურ კანონზე, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან, ესაა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და დასადგენად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით, რომელიც წარმოადგენს ღირსების და პატივის სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმას და საბოლოოდ, ქმნის საკითხის სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტის წინაპირობას.

კასატორის პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბართით შეილახა მისი პატივი და ღირსება, რომელსაც საქმის განმხილველმა სასამართლომ არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის არსებობის დადასტურების მტკიცების ტვირთს მატერიალური ნორმა აკისრებს „რეპუტაცია შელახულ პირს“. შესაბამისად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი) თანხვედრაშია, რაც ნიშნავს სწორედ იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს, რომ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ, იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერ-

ვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელსა“ და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 1 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავო გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-მ რეაგირების მიზნით მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის



შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტებების გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სა-ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სა-მოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ის გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთადაგენილი ფაქ-ტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია და ამ-დენად, მას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გა-აჩნია.

კასატორის ძირითადი პრეტენზია (კასაციის საფუძველები) საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორ კვა-ლიფიკაციას ეფუძნება, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორი შეფასება მის-ცა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათს, რომელიც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს მი-სი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებას – ფაქტს, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა უწყე-ბის სხვა თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგუ-ლებელყოფილი იქნა კასატორის შრომითი დისციპლინა და მომ-სახურების სტანდარტი. მისი, როგორც დასაქმებულის ქმედე-ბები შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარ-ებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო მოხსენებითი ბარათის გ. ჭ-ის მიერ შედგენის ფაქტი სადავო არაა, მაგრამ მოპასუხის (კა-სატორის მოწინააღმდეგე მხარის) განმარტებით „მოხსენები-თი ბარათი არ შეიცავდა დასაქმებულის პატივისა და ღირსების შემლახველ ინფორმაციას, არამედ წარმოადგენდა შიდასამსა-ხურებრივ დოკუმენტს და განკუთვნილი იყო იუსტიციის სახ-ლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-სათვის, რომელსაც ამ ბა-რათით ეცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარ-ღვევის ფაქტი“.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზი-ის (კასაციის საფუძველების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს შეიცავდა თუ არა თბილისის იუსტიციის სახ-ლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი სინამდვილის შეუ-საბამო, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისათვის.

პირველ რიგში, დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნე-

ლოვანია გაირკვეს, მოხსენებით ბარათში სადავო გამონათქვამები („დეისტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო ნოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“) მიეკუთვნება ფაქტებს თუ, შეფასებით მსჯელობას (აზრს). საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული აუცილებელი პირობაა გავრცელებული განცხადების შეფასებისთვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ აზრის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძალზე ფართოდ განმარტავს. თავისი პრინციპული პოზიცია მან ასახა ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 8 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის N9815/82), რომელშიც განმარტა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა შეფასდეს „ფაქტები“ და „მოსაზრება“/ „მსჯელობა“. თავის მხრივ, „ფაქტების“ არსებობა დასაშვებად მიიჩნევა მათ დადასტურებას, მაშინ როდესაც „მოსაზრების“/„შეხედულების“ დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, იგი განეკუთვნება შეხედულებათა თავისუფლების სფეროს და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, „ფაქტისა“ და „აზრის“ გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. ამისათვის უნდა მიემართოს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს, რომელიც მინიმალურ სტანდარტს ანებს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“.

თავად აზრის დეფინიცია მოცემულია ზემოხსენებული კა-

ნონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, „აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა, ხოლო „აზრის“ შემოწმება შეუძლებელია, რამდენადაც იგი განეკუთვნება „გონების სფეროს“, წარმოადგენს აბსოლუტურად დაცულ უფლებას, რომელში ჩარევასაც კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს და მისი მართებულობის კვლევას დღის წესრიგში არ აყენებს. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო მოხსენებით ბარათში გ. ჭ-ის მითითებები, (გამონათქვამები), როგორიცაა „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო ნოლითს

გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“, წარმოადგენს მხოლოდ მისი ავტორის – გ. ჭ-ის მოსაზრებას, შეხედულებას დასაქმებულის (ი. ქ-ის) ქცევის სტანდარტთან მიმართებაში და თავისი შინაარსით, ემსახურება არა მის გავრცელებას და მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობას, არამედ როგორც წინამდებარე საქმის მასალებითაა დადასტურებული მიზნად ისახავდა შიდასამსახურებრივ რეაგირებას. ამ მიზნითვე გადაეცა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომელმაც გადასცა იგი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურს შესასწავლად და შესაძლო დარღვევების გამოსავლენად. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათის საერთო ტონალობა, მისი შინაარსი და შედგენის მიზანი არ იყო გამიზნული ადრესატის ცილისწამებისაკენ. სადავო მოხსენებითი ბარათით მოპასუხეს არ გაუვრცელებია მოსარჩელის მიმართ ცილისწამებლური ინფორმაცია, გამომდინარე იქიდან, რომ მასში მითითებული გამონათქვამები არ წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომლის დანაწესით, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, არამედ მოხსენებით ბარათში დაფიქსირებული გამონათქვამები წარმოადგენს მოპასუხის შეფასებით მსჯელობას, მის შეხედულებას, დამოკიდებულებას პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ დეფინიციაში, რომელიც თავის მხრივ, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში არაერთხელ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და თითოეული ინდივიდის განვითარების უმთავრეს საფუძველს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაშვებული ჩარევის აუცილებლობის არარასებობისას, ნორმით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ „უწყინარი“, „უვნებელი“ გამონათქვამები, არამედ „შეურაცხმყოფელი“, აღმაშფოთებელი“, „შოკისმომგვრელი“ მოსაზრებები. ეს არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები, რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა (იხ., OTTO PREMINGER INSTITUTE v. AUSTRIA,

სტრასბურგი, 20 სექტემბერი, 1994 წელი, განაცხადის N13470/87). ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი პრინციპული პოზიცია სასამართლომ უფრო ადრე დააფიქსირა საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (HANDYSIDE v. UNITED KINGDOM, სტრასბურგი, 7 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72).

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ ბარათში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახულია მხოლოდ მოპასუხის აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის მიზანი, რომელმაც განაპირობა ამგვარი შინაარსის მოხსენებითი ბარათის შედეგენა, რომელსაც ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა არა დასაქმებულ ი. ქ-ის დისკრედიტაცია, არამედ – დასაქმებულის მიერ კომუნიკაციის სტანდარტების დარღვევისადმი შიდასამსახურებრივი რეაგირება, რაც დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე ეკისრებოდა კიდევაც მენეჯერს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათში გამოთქმული მოსაზრებები ვერ შეფასდება ი. ქ-ის პატივისა და ღირსების შემლახველად. უფრო მეტიც, 2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა რა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს, ზოგიერთი მათგანი გაიზიარა, ზოგიერთი კი, – არა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, არ არსებობს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სსიპ იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით შეილახა მისი პატივი და ღირსება, მოხდა მისი დისკრედიტაცია საფუძველს მოკლებულია. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას საფუძვლად დაედო არა გ. ჭ-ის მიერ შედგენილი სა-

დავო მოხსენებითი ბარათი, არამედ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ხელშეკრულების ვადის გასვლა).

სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს თუ აზრს სამართლის საკითხს წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი კვალიფიკაციაც სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. როგორც უკვე აღინიშნა, გავრცელებული განცხადება არ წარმოადგენდა რა ცილისწამებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ არ არსებობს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ცილისმნამებლური ინფორმაციის უარყოფა

## ბანრინება

№ას-22-22-2014

6 აპრილი, 2015 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ცილისმნამებლური ინფორმაციის უარყოფა

### აღწერილობითი ნაწილი:

ო. ზ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ბ-შვილის წინა-აღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფის დავალება შემდეგი სახით: ა) გაზეთ „ა-ს“ ლოგოს გვერდით (გაზეთის პირველ გვერდზე) განათავსოს შემდეგი უარყოფა: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნოტარიუს ო. ზ-ის მიერ ბიზნესმენების დაზარალების შესახებ არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს“; ბ) გაზეთ „ა-ს“ მე-14 გვერდზე განათავსოს შემდეგი უარყოფა: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ ნოტარიუს ო. ზ-ის შესახებ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია (გაზეთი „ა“, 18-22 ოქტომბერი, 2012 წ.), თითქოს ო. ზ-ემ დაამონმა მუქარით დადებული რამდენიმე ხელშეკრულება, არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ, დ. ბ-შვილი ადასტურებს, რომ ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „ტ-ის“ წილების ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „თ-ის“ (თბილისის საავიაციო ქარხნის) წილების ნასყიდობის ხელშეკრულებები, ამასთანავე, ა. ს-ე და მ. დ-ე არ ყოფილან სს „ე-ის“ აქციების მესაკუთრეები და ისინი არ ყოფილან იმ ხელშეკრულების მონაწილეები, რომელიც დაამონმა ო. ზ-ემ“; გ) გაზეთ „ა-ს“ მე-14 გვერდზე, გვერდის ცენტრალურ ნაწილში, ჩარჩოში განათავსოს შემდეგი უარყოფა: „დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ მის მოწოდებას, გამოხმაურებოდნენ ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით დაზარალებული ბიზნესმენები, არცერთი ბიზნესმენი არ გამოხმაურებია“.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 18 ოქტომბერს, გა-

ზეთ „ა-აში“ გამოქვეყნდა მოპასუხე დ. ბ-შვილის ინტერვიუ, რადროსაც მან გაავრცელა ცილისმწამებლური ინფორმაცია მის შესახებ; ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტებს და წარმოადგენს სახელის გამტეხ, მისი საქმიანი და პიროვნული რეპუტაციის შემლახველ განცხადებას. კერძოდ, მოპასუხემ მიუთითა, რომ თითქოს მოსარჩელემ, როგორც ნოტარიუსმა, დაამონმა შპს „ტ-ის“ წილის ნასყიდობა, თბილისის საავიაციო ქარხნის (შპს „თ-ის“ აქციების ნასყიდობა, სს „ე-ის“ მესაკუთრეების – ა. ს-ძის და მ. დ-ძის აქციების ნასყიდობა; ამასთანავე, თითქოსდა თითოეული გარიგება დაიდო იძულებით. მოპასუხემ საზოგადოებას მიმართა შემდეგი განცხადებით: „ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებისაგან დაზარალდნენ, ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ და ამ საქმეებზეც ინფორმაცია მოგვანოდონ“. ეს მიმართვა განთავსებულია ზემოთ დასახელებული გაზეთის პირველ გვერდზეც – გაზეთის ლოგოს გვერდით, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე. მოსარჩელის განმარტებით, მას არასოდეს ჰქონია რაიმე შეხება არც შპს „ტ-ს“ და არც თბილისის ... ქარხნის (შპს „თ-ის“) წილების ნასყიდობასთან; რაც შეეხება სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობას, მოსარჩელე ადასტურებს, რომ მან დაამონმა აქციათა პაკეტის (26% და 26%) ნასყიდობა, მაგრამ აქციების გამყიდველი არ ყოფილა არც ა. ს-ძე და არც მ. დ-ძე; აქციების ერთ-ერთი გამყიდველი იყო სხვა ფიზიკური პირი, ხოლო მეორე გამყიდველი იყო იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებლებსაც ასევე არ წარმოადგენდნენ დასახელებული პირები. ამასთან, მ. დ-ძე ამ დროისათვის არ იყო ქარხნის გენერალური დირექტორი, რადგან ქარხანა იმყოფებოდა გაკოტრების რეჟიმში და მას მართავდა სხვა დირექტორი და გაკოტრების მმართველი. მოპასუხე საუბრობს არარეგისტრირებული ორგანიზაციის – „ბიზნესმენები საქართველოში თავისუფალი ბიზნესისთვის“ ხელმძღვანელების სახით. ამ ორგანიზაციამ, დ. ბ-შვილის ხსენებული ინტერვიუს გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოაქვეყნა იგივე შინაარსის ცილისმწამებლური ინფორმაცია, რის საპასუხოდაც, მოსარჩელემ, მითითებულ იმეილზე, 15.10.2012 წელს გააგზავნა გაფრთხილება, რომ მათი ინფორმაცია არასწორია და შეენწყვიტათ მისი გავრცელება. მოპასუხემ, მოსარჩელესთან დაკავშირებისა და მისგან დამატებითი ინფორმაციის მიღების გარეშე, ინტერვიუს სახით გაავრცელა სადავო ინფორმაცია.

მოპასუხე დ. ბ-შვილმა წარმოდგენილი შესაგებლით და სასამართლო სხდომაზე, სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, სარჩელი არ ცნო, მიიჩნია ის უსაფუძვლოდ და



დაუსაბუთებლად, რის გამოც მოითხოვა ო. ზ-ისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხის განმარტებით, სადავო სტატიაში მას არ უთქვამს, რომ შპს „ტ-ის“ და შპს „თ-ის“ ნილები სხვადასხვა პირებზე გადაფორმდა ნოტარიუს ო. ზ-ის მიერ დამონმებულ გარიგებათა საფუძველზე. ამ საკითხზე მსჯელობისას, მართალია ის მიუთითებს, რომ ორივე ამ კომპანიის ნილების გასხვისების ხელშეკრულება გაფორმდა ძალადობრივი გზით, მარჯანიშვილის ქუჩაზე არსებულ სანოტარო ბიუროში, თუმცა ის არ მიუთითებს არც სანოტარო ბიუროს ზუსტ მისამართზე და არც ნოტარიუსის ვინაობას, მაშინ, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობს სხვა სანოტარო ბიუროც. რაც შეეხება მოსარჩელეს, მისი სახელი სადავო სტატიაში უკავშირდება სს „ე-ის“ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების დამონმებას. მოპასუხე მიუთითებს, რომ მან (ო. ზ-ემ) დაამონმა იძულების გამოყენებით დადებული ნილის ნასყიდობის ხელშეკრულება. მოპასუხე არსად ამბობს, რომ ა. ს-ძე ან მ. დ-ძე იყვნენ ამ ქონების პირდაპირი მესაკუთრეები; აღნიშნულ აქციებზე რეგისტრირებული უფლება ეკუთვნოდა ამ პირების მეუღლეებს, შესაბამისად, ამ აქციებზე დასახლებულ პირებს გააჩნდათ გარკვეული უფლებები (კერძოდ, საკუთრების უფლება). სადავო ინტერვიუში არსებითი მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ის ცნობებია, სადაც მოპასუხე მიუთითებს ნოტარიუსის მხრიდან კანონის დარღვევას, კერძოდ, სანოტარო ბიუროში ძალადობის ფაქტების იგნორირებას და ძალადობის შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდარი ინფორმაციის გავრცელებისათვის, უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: ა. ს-ძესა და მ. დ-ძეზე, ასევე, სხვა პირებზე არ განხორციელებულა ძალადობრივი ქმედებები ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით (მათ შორის – სანოტარო ბიუროში) ან ნოტარიუსმა არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა განხორციელებული ზენოლის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ზ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე დ. ბ-შვილს დაევალა, მის მიერ გაზეთ „ა-აში“ გამოქვეყნებით გავრცელებული ო. ზ-ის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა, შემდეგი სახით:

ა) გაზეთ „ა-ს“ მე-14 გვერდზე განათავსოს შემდეგი უარყოფა: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებ-

ში, დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ ნოტარიუს ო. ზ-ის შესახებ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია (გაზეთი „ა-ა“, 18-22 ოქტომბერი, 2012 წ.), თითქოს ო. ზ-ემ დაამონმა მუქარით დადებული რამდენიმე ხელშეკრულება, არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ, დ. ბ-შვილი ადასტურებს, რომ ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „ტ-ის“ წილების ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „თ-ის“ (თბილისის ... ქარხნის) წილების ნასყიდობის ხელშეკრულებები, ამასთან, ა. ს-ძე და მ. დ-ძე არ ყოფილან სს „ე-ის“ აქციების მესაკუთრეები და ისინი არ ყოფილან იმ ხელშეკრულების მონაწილეები, რომელიც დაამონმა ო. ზ-ემ. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნოტარიუს ო. ზ-ის მეშვეობით ბიზნესმენების დაზარალების შესახებ, არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს“;

ბ) გაზეთ „ა-ს“ ლოგოს გვერდით (გაზეთის პირველ გვერდზე) განათავსოს შემდეგი უარყოფა: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, დ. ბ-შვილი აცხადებს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნოტარიუს ო. ზ-ის მეშვეობით ბიზნესმენების დაზარალების შესახებ, არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს“.

ო. ზ-ეს სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მარტისა და 2013 წლის 19 აპრილის საოქმო განჩინებების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ო. ზ-ე არის ნოტარიუსი. მისი სანოტარო ბიურო 2008-2010 წლებში (სადავო პუბლიკაციაში მითითებული სანოტარო აქტების დამონმების დროს) მდებარეობდა მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5, მე-2 სართული, ოთახი №26-27;

დ. ბ-შვილი არის ბიზნესმენი, ამავე დროს, საინიციატივო უფლებადამცველი ჯგუფის – „... ბიზნესისათვის“ ხელმძღვანელი. ჯგუფი არ არის რეგისტრირებული.

მას შემდეგ, რაც გაზეთ „ა-ს“ №78-ში გამოქვეყნდა, გაზე-

თის აღნიშვნით, დატერორებულ ბიზნესმენების სია, დ. ბ-შვილი დაუკავშირდა გაზეთის ჟურნალისტ ნ. ვ-შვილს და მას იმავე თემაზე მიაწოდა გარკვეული სახის ინფორმაცია.

დ. ბ-შვილის მიერ გაზეთ „ა-ს“ ჟურნალისტისათვის მიწოდებული ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ა-ში“ (18.10-22-10, 2012წ. №80 (2736), 2012 წლის 18 ოქტომბერს, მის მე-14 გვერდზე. აღნიშნული პუბლიკაცია ერთგვარი ინტერვიუს სახით არის მოცემული.

მოპასუხე დ. ბ-შვილი, ჟურნალისტთან საუბარს იწყებს მისთვის, როგორც ბიზნესმენისათვის, ხელისუფლების მიერ შექმნილი პრობლემების შესახებ თხრობით, შემდეგ ასახელებს ოცამდე პირს, როგორც ბიზნესმენს, რომელთა მიმართაც, მისი განმარტებით, ხელისუფლებამ განახორციელა სხვადასხვა სახის ტერორი. ამ ბიზნესმენთა შორის დასახელებულია ა. ს-ძე და მ. დ-ძე, როგორც სს „ე-ის“ აქციონერები.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, წართმეულ ქონებას მაღალჩინოსნები თავად იფორმებდნენ თუ არა, დ. ბ-შვილი მიუთითებს, თუ მათ ამ საქმეში ვინ ეხმარებოდათ. სამ შემთხვევასთან, ტელეკომპანია „ი-ს“, თბილისის ... ქარხნის და სს „ე-ს“ აქციების გასხვისებასთან დაკავშირებით, მოპასუხე პირდაპირ უთითებს მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში მომუშავე ნოტარიუსზე; საავიაციო ქარხნის 26 აქციონერის მიერ აქციების დათმობის შემთხვევის შესახებ საუბრისას, მოპასუხე სანოტარო ბიუროს მისამართის მითითებისას აკონკრეტებს, რომ ის მდებარეობდა თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №...-ში, ხოლო სს „ე-ის“ აქციების გასხვისების დეტალებზე საუბრისას, მოპასუხე, აგრეთვე, მიუთითებს ნოტარიუს ო. ზ-ის სახელსა და გვარს; სადავო ინტერვიუში მოპასუხე, ბიზნესმენებზე მოძალადე ხელისუფლების დამხმარე პირად (გარდა, ზოგადად დასახელებული „შსს-ს და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისა“, სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისა, „თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისა“, 20-მდე შეიარაღებული ნიღბიანი ჯალათისა“ და სხვ.) კონკრეტულად, სახელდებით ასახელებს მხოლოდ ნოტარიუს ო. ზ-ეს; ინტერვიუს დასასრულს, მოსარჩელე, საინიციატივო უფლებადამცველი ჯგუფის – ბიზნესმენები საქართველოში, „თავისუფალი ბიზნესისათვის“ სახელით მიმართავს საზოგადოებას თხოვნით, შემდეგი სიტყვებით: „ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებისაგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ და ამ საქმეებზეც ინფორმაცია მოგვანოდონ“;

გაზეთმა „ა-მ“, გაზეთის დასაბეჭდად მომზადებისას და, შე-საბამისად, დ. ბ-შვილის ინტერვიუსთვის გარეგნული სახის მი-ცემისას მიღებული გადაწყვეტილებით, პუბლიკაციის (სტატი-ის) შუა ნაწილში, შავ ჩარჩოში, დამუქებული შრიფტით, სავარა-უდოდ, მკითხველის დაინტერესების მიზნით, განათავსა ინტერ-ვიუს დასასრულს, საზოგადოებისადმი დ. ბ-შვილის მიერ გამოთ-ქმული თხოვნა (მიმართვა), შემდეგი სახით: „მივმართავთ სა-ზოგადოებას თხოვნით, ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომ-ლებიც ხელისუფლებისგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ!“.

გაზეთ „ა-ს“ იმავე ნომერში, მის პირველ გვერდზე, გაზეთის სახელწოდების (ლოგოს) – „ა-ს“ გვერდით, დ. ბ-შვილის ინტერ-ვიუს ერთგვარი დაანონსების მიზნით, მითითებულია პუბლი-კაციის (ინტერვიუს) სახელწოდება – „სააკაშვილის ხელისუფ-ლებისგან რეპრესირებული ბიზნესმენების სია“, რომლის ქვე-მთ (იქვე, გაზეთის სახელწოდების გვერდით), განთავსებუ-ლია ინტერვიუს დასასრულს მოცემული, დ. ბ-შვილის თხოვნა (მიმართვა) საზოგადოებისადმი (იმავე სახით, როგორც ისაა მო-ცემული სტატიის შუა ნაწილში, შავ ჩარჩოში): „მივმართავთ სა-ზოგადოებას თხოვნით, ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომ-ლებიც ხელისუფლებისგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ“; ასევე, მითითებულია გაზე-თის ის გვერდი (14), სადაც მკითხველს შეეძლო მოეძია შესაბა-მისი პუბლიკაცია.

მოპასუხე დ. ბ-შვილი ტელეკომპანია „ი-ს“ აქციების გასხვი-სებასთან დაკავშირებული, მის მიერ დასახელებული ინფორ-მაციის წყაროდ უთითებს, 2008 წლის 19 თებერვალს, ბ. პ-შვი-ლის ბიზნესპარტნიორ გ. ჯ-შვილის მიერ, თბილისში, პ-შვილის ოჯახის რეზიდენციაში – „ა-ში“ გამართულ პრესკონფერენცია-ზე გაკეთებულ განცხადებას: თბილისის ... ქარხნის აქციების ძალადობრივ გასხვისებასთან დაკავშირებული, მის მიერ მითი-თებული ინფორმაციის წყაროდ, მოპასუხე ასახელებს ცნობილ ტელეგადაცემაში სს „ს-ის“ დამფუძნებელ პ. თ-ს განცხადებას. მოპასუხეს აღნიშნული არ დაუდასტურებია რაიმე სახის სათა-ნადო მტკიცებულებით;

სადავო პუბლიკაციაში, სს „ე-ს“ აქციების გასხვისების შე-სახებ ჟურნალისტიკისათვის მიწოდებულ ინფორმაციაში, გარდა იმისა, რომ სტატიის მესამე სვეტში ა. ს-ძე და მ. დ-ძე დასახე-ლებული არიან, როგორც სს „ე-ს“ აქციონერები, ამავე სტატიის მეხუთე სვეტში, ნათქვამია, რომ ამ სააქციო საზოგადოების სა-მეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ა. ს-ძე, ამავე ქარხნის

გენერალური დირექტორია მ. დ-ძე. აქვე მათ მიმართ აღნიშნულია, რომ ისინი არიან დასახელებული ქარხნის მესაკუთრეები;

მოსარჩელემ სასამართლოს წარმოუდგინა, მის მიერ, 2008 წლის 17 სექტემბერს დამონმებული სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობის ორი ხელშეკრულება (რეესტრში რეგ. №1-4045; №1-4046) დანართით;

სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების (სა-ნოტარო აქტი №1-4045) მხარეები არიან: გამყიდველი – შპს „თ. თ.“, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი დ. ა-შვილი; მყიდველი – ბ. ნ-ი;

სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების (სა-ნოტარო აქტი №1-4046) მხარეები არიან: გამყიდველი – ვ. ჭ-შვილი, მყიდველი – ბ. ნ-ი.

მოსარჩელეს, როგორც ნოტარიუსს, არ დაუმონმებია აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც იქნებოდნენ ა. ს-ძე და მ. დ-ძე. არც მოცემული ხელშეკრულებებიდან, არც მათი დანართიდან არ ჩანს, რომ სადავო ინტერვიუში, დ. ბ-შვილის მიერ მითითებული ორი პირი – ა. ს-ძე და მ. დ-ძე იყვნენ ქარხნის აქციების მფლობელები ან დაკავშირებული იყვნენ (მაგ. რეგისტრირებული ქორწინებით) აქციების მფლობელებთან და არსებობდა მათგან ამ აქციებზე პრეტენზიის წარმოშობის კანონიერი საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ სს „ე-ს“ აქციების მფლობელებს არ წარმოადგენდნენ მოპასუხის მიერ მითითებული პირები – ა. ს-ძე და მ. დ-ძე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ რომ სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულებების და მათი დანართის სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებისა და შეფასების საფუძველზე, არ დადგინდა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები (გარიგების საეჭვოდ სწრაფად დადება; შინაარსის ან კომერციულობის მხრივ, გარიგების უჩვეულობა), რომლებიც გარიგების დამონმებისას მიანიშნებდნენ მოსარჩელეს, რომელიმე ამ ხელშეკრულების იძულებით, ზენოლის ქვეშ დადებას;

ნოტარიუს ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „ტ-ს“ წილის ნასყიდობის რომელიმე ხელშეკრულება. შპს „ტ-თან“ დაკავშირებული (სს „ჯ. კ. გ-ს“ აქციათა ნასყიდობის) ხელშეკრულებები 19.02.2008 წელს დაამონმა ნოტარიუსმა მ. ბ-შვილმა, რომლის სანოტარო ბიუროც იმ დროისათვის მდებარეობდა, ასევე, მარჯანიშვილის ქუჩაზე, სახელდობრ, №...-ში.

აღნიშნულის საწინააღმდეგოს დამადასტურებელი, რაიმე სახის სათანადო მტკიცებულება მოპასუხე მხარეს არ წარმო-

უდგენია; ნოტარიუს ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „თ-ს“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს „თ-ს“ წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება 28.07.2010 წელს დაამონმა ნოტარიუსმა ლ. ბ-ემ, რომლის სანოტარო ბიუროც იმ დროისათვის მდებარეობდა მარჯანიშვილის ქუჩის სიახლოვეს, დ. აღმაშენებლის გამზირ №...-ში.

სადავო პუბლიკაციამდე რამდენიმე დღით ადრე, 2012 წლის 10-11 ოქტომბერს, მ. დ-ძის და ა. ს-ძის მიერ, მედიაში გავრცელდა განცხადება, რომლითაც ისინი საზოგადოებას თბილისის ... ქარხნის დასაბრუნებლად ბრძოლის დაწყებას აუწყებდნენ. აღნიშნულ განცხადებაში, მისი ავტორები ნოტარიუს ო. ზ-ის მიმართ ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება სადავო პუბლიკაციაში დ. ბ-შვილის მიერ ნოტარიუს ო. ზ-ის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციას. მ. დ-ძის და ა. ს-ძის განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ო. ზ-ე, რომელმაც უარყო მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, მიიჩნია ის მისი საქმიანი რეპუტაციის, ასევე, პატივისა და ღირსების შემლახველად, რის გამოც მოითხოვა მათგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია გავრცელდა მოქალაქის ხელმძღვანელობით მოქმედი საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომელსაც მამინვე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, გამოეხმაურა მოსარჩელე, რა დროსაც განაცხადა, რომ ყოველივე არის მცდარი და მოითხოვა მის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებებისა თუ ინფორმაციის გავრცელების შეწყვეტა. ამავე წერილით მოპასუხე მხარისათვის ცნობილი გახდა მოსარჩელის ელექტრონული ფოსტის მისამართი.

დადგენილია და სადავოდ გამხდარი არ არის, რომ მოპასუხე დ. ბ-შვილმა უყურადღებოდ დატოვა მოსარჩელის განცხადებები; სადავო პუბლიკაციამდე დ. ბ-შვილი არ დაკავშირებია მოსარჩელეს და არ უცდია, მოესმინა მისი პოზიცია თუ განმარტება იმავე საკითხების თაობაზე.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ დ. ბ-შვილმა გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ ადრე გავრცელებულ იმავე სახის ინფორმაციას არ ეთანხმებოდა ო. ზ-ე, უშუალოდ მის მიერ იმავე შინაარსის ინფორმაციის გავრცელებამდე, არ შეეცადა გარკვეულიყო მოსარჩელის პოზიციაში და იმავე საკითხებზე მოესმინა ამ უკანასკნელის არგუმენტები, რამაც განაპირობა მის მიერ, ო. ზ-ის მიმართ, პატივისა და ღირსების, ასევე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რითაც მოსარჩელეს, როგორც ნოტარი-

უსს და პიროვნებას, მიადგა მორალური ზიანი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, რომლის მიხედვით, (ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. 2004 წლის 24 ივნისს დასახელებულ მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც კანონმდებელმა გაითვალისწინა მე-18 მუხლში მითითებული უფლებების დაცვა „კანონით დადგენილი წესით“. 2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამკვიდრდა ცილისმამების ცნება. აღნიშნული ნორმით, ასეთად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

განსახილველ შემთხვევაში, ო. ზ-ემ სარჩელში აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, ანუ მოსარჩელის აზრით, დ. ბ-შვილმა სადავო ინტერვიუს მიცემით გაავრცელა ცილისმამებლური სიუჟეტი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო სპეციალური – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

პალატის განმარტებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17, 24-ე მუხლებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, მე-14 მუხლით და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ სადავო ინტერვიუთი მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ გაავრცელა ცილისმამებლური ფაქტები. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ინტერვიუში მოყ-

ვანილი გარემოებები და ფაქტები. მოპასუხემ მოსარჩელის, როგორც ნოტარიუსის, როგორც პიროვნების მიმართ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდა.

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც მართებულადაა აღნიშნული მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური ფაქტების გავრცელებით მოსარჩელეს შეელახა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ ეს განცხადებები შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და არის მისთვის, როგორც ნოტარიუსისათვის, პიროვნებისათვის (ფიზიკური პირისათვის) ზიანის მიმყენებელი – სახელის გამტეხი განცხადება. ვინაიდან მოპასუხე დ. ბ-შვილმა აშკარა და უხეში დაუდევრობის საფუძველზე გაავრცელა მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები, მისი ბრალეულობა სახეზეა. ამდენად, პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სარჩელი და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები.

პალატის განმარტებით, წინამდებარე სააპელაციო საჩივრის ფარგლებში აპელანტმა ასევე მოითხოვა გადაწყვეტილების წინმსწრები 13.03.2013 წლის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხე დ. ბ-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა ა. ს-ძის, დ. ა-შვილისა და ბ. ნ-ის მოწმის სახით გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე. არსებით გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებულია ასევე გადაწყვეტილების წინმსწრები 19.04.2013 წლის საოქმო განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხე დ. ბ-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა ა. ს-ძის, დ. ა-შვილის, ბ. ნ-ის, ვ. ჭ-შვილის და ბ. ნ-ის მოწმის სახით გამოძახების და დაკითხვის თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა 13.03.2013 წლისა და 19.04.2013 წლის საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი. ზემოაღნიშნული განჩინებები ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული, კანონიერია და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ განჩინებების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძველებით:



კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, დადგინილად მიიჩნია, რომ თითქოს მოპასუხე, სადავო პუბლიკაციით ამტკიცებს, რომ სს „თბილისის ... ქარხნის“ 26 აქციონერის მიერ წილების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ნოტარიუს – ო. ზ-ის მიერაა დამონმებული, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან პუბლიკაციაში იგი (მოპასუხე) არათუ ამტკიცებს ასეთი ფაქტის არსებობას, არამედ აღნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაციის გაცხადება მოხდა ქარხნის ყოფილი დამფუძნებლის პ. თ-ს მიერ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ საქმეში არ არსებობს პ. თ-ს მიერ ასეთი განცხადების დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა აღინიშნოს, ის, რომ ეს საკითხი მოცემული საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე სადავო არ გამხდარა, შესაბამისად, არც იყო ასეთი მტკიცებულების საქმეზე დართვის აუცილებლობა.

სასამართლომ არასწორად ცნო დადგინილად აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თითქოს სტატიის ავტორი პუბლიკაციაში მიუთითებს ა. ს-ძესა და მ. დ-ძეს, როგორც სს „ე-ს“ მესაკუთრეებზე, თუმცა ასეც რომ იყოს, მოპასუხის მიერ, ამ სახით გავრცელებული ცნობა არ შეიძლება გამხდარიყო მისი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხიმგებლობის საფუძველი.

სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე არასწორადაა მითითებული, რომ არ დაგინდება ა. ს-ძის მონაწილეობა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების პროცედურაში, თუმცა მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით (2008 წლის 17 სექტემბრის შეთანხმება ა. ს-ძეს, დ. ა-შვილსა და ვ. მ-შვილს შორის) ნათლად ჩანს მისი კავშირი ამ ხელშეკრულების გაფორმებასთან.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით: „პირს ეკრძალება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხიმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა ამკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება“.

ამ სტატიაში მითითებული არაა, რომ ა. ს-ძე ან მ. დ-ძე იყვნენ რეგისტრირებული დამფუძნებლები სააქციო საზოგადოების და არც ისაა მითითებული, რომ აქციათა დათმობის შესა-

ხებ ხელშეკრულებაზე ხელი აქვთ მონერილი ზემოაღნიშნულ პირებს (რაზედაც მოსარჩელე აპელირებს). თუმცა ასეც რომ იყოს და მოპასუხე მიუთითებდეს, ა. ს-ძესა და მ. დ-ძეს, როგორც ამ საზოგადოების უშუალო დამფუძნებლებსა და ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირებზე, ის მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც არსებითი სახის ცნობა, რომელიც რაიმე სახის ზიანს მიაყენებდა მოსარჩელეს.

მოცემულ სტატიაში არსებითი მნიშვნელობის მქონე, მხოლოდ ის ცნობებია, სადაც სტატიის ავტორი მიუთითებს ნოტარიუსის მხრიდან კანონის დარღვევას, კერძოდ, სანოტარო ბიუროში ძალადობის ფაქტების იგნორირებას და ძალადობის შედეგად ხელმონერილი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მოპასუხეს დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდარი ინფორმაციის გავრცელებისათვის, უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: (1) ა. ს-ძესა და მ. დ-ძეზე, ასევე სხვა პირებზე არ განხორციელებულა ძალადობრივი ქმედებები ხელშეკრულებაზე ხელმონერის მიზნით (მათ შორის სანოტარო ბიუროში) ან (2) ნოტარიუსმა არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა განხორციელებული ზენოლის შესახებ.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების (ძალადობის ფაქტის) დადგენის მიზნით, მოპასუხე მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში, ორჯერ დააყენა შუამდგომლობა, ხელშეკრულების ხელმონერის პროცესში ნოტარიუსის ოფისში მყოფი პირების (მათ შორის აქციებზე საკუთრების უფლების მიღების) დაკითხვის შესახებ, თუმცა, ორივე შემთხვევაში, სასამართლომ 2013 წლის 13 მარტისა და 19 აპრილის საოქმო განჩინებებით არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობები იმ მოტივით, რომ „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონის“ თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა სარჩელში მოყვანილი გარემოებების მტკიცების ტვირთი, სასამართლომ 2013 წლის 19 აპრილის საოქმო განჩინებით, ასევე უარი თქვა ზემოაღნიშნულ პირთა (ხელშეკრულების ხელმონერის პროცესში ნოტარიუსის ოფისში მყოფი პირები) მიერ სასამართლოს სახელზე შედგენილი ახსნა-განმარტების მტკიცებულებათა სახით მიღებაზე, რითაც არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები და, შესაბამისად, დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა ისეთი სახის მოქმედების განხორციელება, რომლის შესრულებაც მის ძალებს აღემატება, იმ პირობებ-

ში, როცა გაზეთი „ა-ა“ საქმეში არც მოპასუხედ და არც მესამე პირის სტატუსით ჩართული არ ყოფილა დავაში და მას არ ეკისრება არანაირი ვალდებულება. ხოლო მოპასუხე არაა უფლებამოსილი ჩაერიოს დამოუკიდებელი კომპანიის (ჩვენს შემთხვევაში გაზეთი „ა-ა“) შიდა სარედაქციო პრაქტიკაში და განსაზღვროს იგი ან აიძულოს რაიმე სახის განცხადების განთავსება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ო. ზ-ე არის ნოტარიუსი. მისი სანოტარო ბიურო 2008-2010 წლებში (სადავო პუბლიკაციაში მითითებული სანოტარო აქტების დამონშების დროს) მდებარეობდა მისამართზე: ქ. თბილისი, ...-ის ქ. №5, მე-2 სართული, ოთახი №...;

2. დ. ბ-შვილი არის ბიზნესმენი, ამავე დროს, საინიციატივო უფლებადამცველი ჯგუფის – „...“ ხელმძღვანელი. ჯგუფი არ არის რეგისტრირებული;

3. მას შემდეგ, რაც გაზეთ „ა-ს“ №78-ში გამოქვეყნდა, გაზეთის აღნიშვნით, დატერორებულ ბიზნესმენების სია, დ. ბ-შვილი დაუკავშირდა გაზეთის ჟურნალისტ ნ. ვ-შვილს და მას იმავე თემაზე მიაწოდა გარკვეული სახის ინფორმაცია;

4. დ. ბ-შვილის მიერ გაზეთ „ა-ს“ ჟურნალისტისათვის მიწოდებული ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ა-ში“ (18.10-22-10, 2012წ. №80 (2736), 2012 წლის 18 ოქტომბერს, მის მე-14 გვერდზე. აღნიშნული პუბლიკაცია ერთგვარი ინტერვიუს სახით არის მოცემული;

5. მოპასუხე დ. ბ-შვილი, ჟურნალისტთან საუბარს იწყებს მისთვის, როგორც ბიზნესმენისათვის, ხელისუფლების მიერ შექმნილი პრობლემების შესახებ თხრობით, შემდეგ ასახელებს ოცამდე პირს, როგორც ბიზნესმენს, რომელთა მიმართაც, მისი განმარტებით, ხელისუფლებამ განახორციელა სხვადასხვა სახის ტერორი. ამ ბიზნესმენთა შორის დასახელებულია ა. ს-ძე და მ. დ-ძე, როგორც სს „ე-ს“ აქციონერები;

6. ჟურნალისტის შეკითხვაზე, წართმეულ ქონებას მაღალჩინოსნები თავად იფორმებდნენ თუ არა, დ. ბ-შვილი მიუთითებს, თუ მათ ამ საქმეში ვინ ეხმარებოდათ. სამ შემთხვევასთან, ტელეკომპანია „ი-ს“, თბილისის ... ქარხნის და სს „ე-ს“ აქ-

ციების გასხვისებასთან დაკავშირებით, მოპასუხე პირდაპირ უთითებს ...-ის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში მომუშავე ნოტარიუსზე; ... ქარხნის 26 აქციონერის მიერ აქციების დათმობის შემთხვევის შესახებ საუბრისას, მოპასუხე სანოტარო ბიუროს მისამართის მითითებისას აკონკრეტებს, რომ ის მდებარეობდა თბილისში, ...-ის ქ. №...-ში, ხოლო სს „ე-ს“ აქციების გასხვისების დეტალებზე საუბრისას, მოპასუხე, აგრეთვე, მითითებს ნოტარიუს ო. ზ-ის სახელსა და გვარს; სადავო ინტერვიუში მოპასუხე, ბიზნესმენებზე მოძალადე ხელისუფლების დამხმარე პირად (გარდა, ზოგადად დასახელებული „შსს-ს და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისა“, სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისა, „თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისა“, 20-მდე შეიარაღებული ნიღბიანი ჯვალათისა“ და სხვ.) კონკრეტულად, სახელდებით ასახელებს მხოლოდ ნოტარიუს ო. ზ-ეს; ინტერვიუს დასასრულს, მოსარჩელე, საინიციატივო უფლებადამცველი ჯგუფის – ბიზნესმენები საქართველოში, „თავისუფალი ბიზნესისათვის“ სახელით მიმართავს საზოგადოებას თხოვნით, შემდეგი სიტყვებით: „ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებისაგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ და ამ საქმეებზეც ინფორმაცია მოგვანოდონ“;

7. გაზეთმა „ა-მ“, გაზეთის დასაბეჭდად მომზადებისას და, შესაბამისად, დ. ბ-შვილის ინტერვიუსთვის გარეგნული სახის მიცემისას მიღებული გადაწყვეტილებით, პუბლიკაციის (სტატიის) შუა ნაწილში, შავ ჩარჩოში, დამუქებული შრიფტით, სავარაუდოდ, მკითხველის დაინტერესების მიზნით, განათავსა ინტერვიუს დასასრულს, საზოგადოებისადმი დ. ბ-შვილის მიერ გამოთქმული თხოვნა (მიმართვა), შემდეგი სახით: „მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, ის მოქალაქეები და ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებისგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზ-ის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ!“;

8. გაზეთ „ა-ს“ იმავე ნომერში, მის პირველ გვერდზე, გაზეთის სახელწოდების (ლოგოს) – „ა-ს“ გვერდით, დ. ბ-შვილის ინტერვიუს ერთგვარი დაანონსების მიზნით, მითითებულია პუბლიკაციის (ინტერვიუს) სახელწოდება – „სააკაშვილის ხელისუფლებისგან რეპრესირებული ბიზნესმენების სია“, რომლის ქვემოთ (იქვე, გაზეთის სახელწოდების გვერდით), განათავსებულია ინტერვიუს დასასრულს მოცემული, დ. ბ-შვილის თხოვნა (მიმართვა) საზოგადოებისადმი (იმავე სახით, როგორც ისაა მოცემული სტატიის შუა ნაწილში, შავ ჩარჩოში): „მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, ის მოქალაქეები და ბიზნესმენები,

რომლებიც ხელისუფლებისგან დაზარალდნენ, ნოტარიუს ო. ზის მონაწილეობით, გამოგვეხმაურონ“; ასევე, მითითებულია გაზეთის ის გვერდი (14), სადაც მკითხველს შეეძლო მოეძია შესაბამისი პუბლიკაცია;

9. მოპასუხე დ. ბ-შვილი ტელეკომპანია „ი-ს“ აქციების გასხვისებასთან დაკავშირებული, მის მიერ დასახელებული ინფორმაციის წყაროდ უთითებს, 2008 წლის 19 თებერვალს, ბ. პ-შვილის ბიზნესპარტნიორ გ. ჯ-შვილის მიერ, თბილისში, პ-შვილის ოჯახის რეზიდენციაში – „ა-ში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას: თბილისის საავიაციო ქარხნის აქციების ძალადობრივ გასხვისებასთან დაკავშირებული, მის მიერ მითითებული ინფორმაციის წყაროდ, მოპასუხე ასახელებს ცნობილ ტელეგადაცემაში სს „თბილისის ... ქარხნის“ დამფუძნებელ პ. თ-ს განცხადებას. მოპასუხეს აღნიშნული არ დაუდასტურებია რაიმე სახის სათანადო მტკიცებულებით;

10. სადავო პუბლიკაციაში, სს „ე-ს“ აქციების გასხვისების შესახებ ჟურნალისტისათვის მიწოდებულ ინფორმაციაში, გარდა იმისა, რომ სტატიის მესამე სვეტში ა. ს-ძე და მ. დ-ძე დასახელებული არიან, როგორც სს „ე-ს“ აქციონერები, ამავე სტატიის მეხუთე სვეტში, ნათქვამია, რომ ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ა. ს-ძე, ამავე ქარხნის გენერალური დირექტორია მ. დ-ძე. აქვე მათ მიმართ აღნიშნულია, რომ ისინი არიან დასახელებული ქარხნის მესაკუთრეები;

11. მოსარჩელემ სასამართლოს წარმოუდგინა, მის მიერ, 2008 წლის 17 სექტემბერს დამოწმებული სს „ე-ს“ აქციების ნასყიდობის ორი ხელშეკრულება დანართით;

12. სს „ე-ის“ აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების (სანოტარო აქტი №1-4045) მხარეები არიან: გამყიდველი – შპს „თ-ი“, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი დ. ა-შვილი; მყიდველი – ბ. წ-ი;

13. სს „თბილისის ... ქარხნის“ აქციების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების (სანოტარო აქტი №1-4046) მხარეები არიან: გამყიდველი – ვ. ჭ-შვილი, მყიდველი – ბ. წ-ი;

14. მოსარჩელეს, როგორც ნოტარიუსს, არ დაუმოწმებია აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც იქნებოდნენ ა. ს-ძე და მ. დ-ძე. არც მოცემული ხელშეკრულებებიდან, არც მათი დანართიდან არ ჩანს, რომ სადავო ინტერვიუში, დ. ბ-შვილის მიერ მითითებული ორი პირი – ა. ს-ძე და მ. დ-ძე იყვნენ ქარხნის აქციების მფლობელები ან დაკავშირებული იყვნენ (მაგ. რეგისტრირებული ქორწინებით) აქციების მფლობე-

ლებთან და არსებობდა მათგან ამ აქციებზე პრეტენზიის წარმოშობის კანონიერი საფუძველი;

15. მიუხედავად იმისა, რომ სს „თბილისის ... ქარხნის“ აქციების მფლობელებს არ წარმოადგენდნენ მოპასუხის მიერ მითითებული პირები – ა. ს-ძე და მ. დ-ძე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სს „თბილისის ... ქარხნის“ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულებების და მათი დანართის სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებისა და შეფასების საფუძველზე, არ დადგინდა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები (გარიგების საეჭვოდ სწრაფად დადება; შინაარსის ან კომერციულობის მხრივ, გარიგების უჩვეულობა), რომლებიც გარიგების დამონმებისას მიანიშნებდნენ მოსარჩელეს, რომელიმე ამ ხელშეკრულების იძულებით, ზენოლის ქვეშე დადებას;

16. ნოტარიუს ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „ტ-ის“ წილის ნასყიდობის რომელიმე ხელშეკრულება. შპს „ტ-თან“ დაკავშირებული (სს „კ. გ-ის“ აქციათა ნასყიდობის) ხელშეკრულებები 19.02.2008 წელს დაამონმა ნოტარიუსმა მ. ბ-მა, რომლის სანოტარო ბიუროც იმ დროისათვის მდებარეობდა, ასევე, ... ქუჩაზე, სახელდობრ, №19-ში (იხ. სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციის №...; №...);

17. აღნიშნულის საწინააღმდეგოს დამადასტურებელი, რაიმე სახის სათანადო მტკიცებულება მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია; ნოტარიუს ო. ზ-ეს არ დაუმონმებია შპს „თ-ის“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს „თ-ის“ წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება 28.07.2010 წელს დაამონმა ნოტარიუსმა ლ. ბ-ძემ, რომლის სანოტარო ბიუროც იმ დროისათვის მდებარეობდა ... ქუჩის სიახლოვეს (იხ. სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციის №...);

18. სადავო პუბლიკაციამდე რამდენიმე დღით ადრე, 2012 წლის 10-11 ოქტომბერს, მ. დ-ის და ა. ს-ის მიერ, მედიაში გავრცელდა განცხადება, რომლითაც ისინი საზოგადოებას თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დასაბრუნებლად ბრძოლის დაწყებას აუწყებდნენ. აღნიშნულ განცხადებაში, მისი ავტორები ნოტარიუს ო. ზ-ის მიმართ ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება სადავო პუბლიკაციაში დ. ბ-შვილის მიერ ნოტარიუს ო. ზ-ის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციას. მ. დ-ის და ა. ს-ის განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ო. ზ-ე, რომელმაც უარყო მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, მიიჩნია ის მისი საქმიანი რეპუტაციის, ასევე, პატივისა და ღირსების შემლახველად, რის გამოც მოითხოვა მათგან

საჯაროდ ბოდიშის მოხდა;

19. გარკვეული ხნის შემდეგ, ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია გავრცელდა მოპასუხის ხელმძღვანელობით მოქმედი საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომელსაც მაშინვე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, გამოეხმაურა მოსარჩელე, რა დროსაც განაცხადა, რომ ყოველივე არის მცდარი და მოითხოვა მის მიმართ ცილისმნამებლური განცხადებებისა თუ ინფორმაციის გავრცელების შეწყვეტა. ამავე წერილით მოპასუხე მხარისათვის ცნობილი გახდა მოსარჩელის ელექტრონული ფოსტის მისამართი (იხ. ელექტრონული წერილების ამონაბეჭდი;

20. დ. ბ-შვილმა უყურადღებოდ დატოვა მოსარჩელის განცხადებები; სადავო პუბლიკაციამდე დ. ბ-შვილი არ დაკავშირებია მოსარჩელეს და არ უცდია, მოესმინა მისი პოზიცია თუ განმარტება იმავე საკითხების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს კასატორის მითითებას იმ საპროცესოსამართლებრივ დარღვევებზე, რასაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვება. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, თუ მხარე მათზე ქვემდგომ ინსტანციებში არ აპელირებდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ შეაფასებს დ. ბ-შვილის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ გაზეთი „ა-ა“ მოცემულ საქმეში მხარედ უნდა ყოფილიყო ჩაბმული.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისმნამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ

ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ უშუალოდ მის შესახებ მოპასუხემ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

მოცემულ საქმეზე დ. ბ-შვილის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება ო. ზ-ის რეპუტაციის უფლებას, რომელიც აღიარებული და დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო



ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დაადასტურა გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა, კერძოდ, მოპასუხის მიერ მითითებული სამი გარიგებიდან ორი საერთოდ არ არის ნოტარიუს ო. ზ-ის მიერ დამონმებული, ხოლო მესამე შემთხვევაში, გარიგების მონაწილე პირები არ არიან ა. ს-ე და მ. დ-ე, რომლებიც სს „თბილისის ... ქარხნის“ აქციების მფლობელებიც კი არ იყვნენ, შესაბამისად, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მათზე ძალადობის შედეგად დადებული წილის დათმობის გარიგება დაამონმა ნოტარიუსმა ო. ზ-ემ, მცდარია. მართალია, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ გასხვისებულ აქციებს ა. ს-ისა და მ. დ-ის მეუღლეები ფლობდნენ, შესაბამისად, ზენოლა მათზე მოხდა გარიგების დადების მიზნით, მაგრამ მოპასუხემ ვერ დაადასტურა დასახელებული პირების რაიმე კავშირი სს „თბილისის ... ქარხნის“ აქციების მფლობელებთან ან მათ გასხვისებასთან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო ინტერვიუთი მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ინტერვიუში მოყვანილი გარემოებები და ფაქტები. მოპასუხემ მოსარჩელის, როგორც ნოტარიუსის, როგორც პიროვნების მიმართ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდა. მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური ფაქტების გავრცელებით მოსარჩელეს შეელება პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ ეს განცხადებები შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და არის მისთვის, როგორც ნოტარიუსისათვის, პიროვნებისათვის ზიანის მიმყენებელი – სახელის გამტეხი განცხადება. ვინაიდან მოპასუხე დ. ბ-შვილმა აშკარა და უხეში დაუდევრობის საფუძველზე გაავრცელა მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები, მისი ბრალეულობა სახეზეა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებული, კანონიერი და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-1084-1034-2014

11 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „რ. ფ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჯ-ს, ჯ. კ-სა და სს „ქ. ფ-ის“ მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებით უარყოფისა და მორალური ზიანის – 50 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2013 წლის 24 ივნისს ქ.თბილისში ...-ის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას მოჰყვა ორი ადამიანის: ზ. ნ-ძისა და ა. მ-ძის გარდაცვალება. ამ ფაქტის თაობაზე საზოგადოებას ეცნობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოპასუხეების: ჯ. კ-სა და სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ნ. ჯ-ის მიერ გაკეთებული განცხადებებით. 2013 წლის 24 ივნისიდან 25 ივლისამდე მოპასუხეების განცხადებები გავრცელდა ტელეკომპანიების: „რუსთავი 2-ის“, „მეც-

ხრე არხის“, „მაესტროს“, „პირველი არხის“, „რადიო პალიტრის“ ასევე ინტერნეტგვერდების: „www.interpressnews.ge-ს“, „gbc.ge-სა“ და „www.timer.ge-ს“ მეშვეობით.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა გაავრცელეს შპს „რ-ის ფ-ის“ სახელის გამტეხი, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და ცილისმწამებლური ინფორმაცია, მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა მოპასუხეებმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაუკავშირეს შპს „რ-ის ფ-ს“.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს იმ საფუძვლით, რომ სარჩელში მითითებული გამონათქვამები არ წარმოადგენს მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველს, მოთხოვნა კი დაუსაბუთებელია. სარჩელით არ დგინდება თუ რომელი გამონათქვამი რომელმა მოპასუხემ უნდა უარყოს და რომელი მოპასუხის რომელმა განცხადებამ მიაყენა ზიანი შპს „რ-ის ფ-ს“. მხარე ვერ ასაბუთებს სარჩელში მითითებული განცხადებების ცილისმწამებლურად მიჩნევის წინაპირობას, ასევე არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. გაურკვეველია ისიც, თუ რა პრინციპით გამოიანგარიშა მოსარჩელემ მორალური ზიანის ოდენობა ან რა გარემოებით დასტურდება მოთხოვნილი ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „რ-ის ფ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განჩინებით შპს „რ-ის ფ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების სამართლებრივი შეფასება და სააპელაციო საჩივრის პრეტენზიების გათვალისწინებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 24 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ სიუჟეტი დაეთმო სს „ქ. ფ-ის“ ოფისში მომხდარ აფეთქებას, გავრცელდა სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ნ. ჯ-ის ინტერვიუ: „ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი განხორციელდა იმის გამო, რომ ძალიან ბევრი დარღვევა, როგორც ფინანსური, ისე მაქინაციური, ჩვენ გამოვაშკარავეთ და გამოვავლინეთ. ასე რომ, ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ეს არის განხორციელებული იმ კრიმინალური ჯგუ-

ფის მიერ, რომელიც დღეს აკონტროლებს რ-ის ... ქარხანას“. იმავე სიუჟეტში ჯ. კ-მ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „მინდა დაგარნმუნოთ, რომ მაგ ოფისში გაზი არ იყო, ასე რომ გაზით აფეთქება აქ არ არის და იმედი მაქვს გამოძიება დაადგენს, ამ ბოროტმოქმედებს გამოამჟღავნებს. ეს რა თქმა უნდა დაკავშირებული არის ჩემს აქტივობასთან ბოლო დროს თუნდაც იმასთან, რომ ბევრი ადამიანი ვამხილე ჩემი განცხადებებით და ამით შემოვიფარგლები დღეს. ბოროტმოქმედებს და იმ შეთქმულებებს რომლებსაც ანარმოებდა ძველი ხელისუფლება“. ტელეკომპანია „...-მა“ აღნიშნა, რომ ჯ. კ-ის წარმომადგენლის ინფორმაციით, ინციდენტს წინ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები უძლოდა, რომლითაც პ-შვილებს რ-ის ... ქარხანასთან დაკავშირებით მაქინაციურ გარიგებებში ადანაშაულებდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“, 2013 წლის 25 ივნისს გავრცელდა, რომ ჯ. კ-ს ინფორმაციით, ინციდენტს წინ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები უძლოდა, კომპანია პ-შვილებს რუსთავის ... ქარხანასთან დაკავშირებით მაქინაციურ გარიგებებში ადანაშაულებდა. ჟ. კ-ს შემდეგი კომენტარი: „მინდა დაგარნმუნოთ, რომ მაგ ოფისში გაზი არ იყო, ასე რომ გაზით აფეთქება აქ არ არის და იმედი მაქვს რომ გამოძიება დაადგენს, ამ ბოროტმოქმედებს გამოამჟღავნებს. ეს რა თქმა უნდა დაკავშირებული არის ჩემს აქტივობასთან ბოლო დროს, თუნდაც იმასთან, რომ ბევრი ადამიანი ვამხილე ჩემი განცხადებებით და ამით შემოვიფარგლები დღეს. ბოროტმოქმედებს და იმ შეთქმულებებს რომლებსაც ანარმოებდა ძველი ხელისუფლება და მათ ანტურაჟს“.

სააპელაციო პალატის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქ.თბილისში, ...-ძის ქუჩაზე, სს „ქ. ფ-ის“ ოფისში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით 2013 წლის 24, 25, 26, 27 ივნისს, 2 და 3 ივლისს ტელეკომპანიების: „რუსთავი 2-ის“, „მეცხრე არხის“, „მაესტროს“, „პირველი არხის“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) საინფორმაციო გამოშვებებსა და დილის გადაცემაში, ინტერნეტ გვერდებზე: „ინფო9.გე“, „ჩბც.გე“, „ტიმერ.გე“ „ფორ.გე“ გავრცელებულ ჯ. კ-ს და სს „ქ. ფ-ს“ დირექტორ ნ. ჯ-ს განცხადებებში არ იყო მოხსენიებული შპს „რ-ს ფ-ი“, განცხადება ეხებოდა პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს. ნ. ჯ-ი ინტერვიუში აცხადებდა, რომ გამორიცხავდა ბუნებრივი აირით გამოწვეულ აფეთქებას და აღნიშნადა, რომ ეს ყველაფერი უკავშირდებოდა მათ მიერ გამოვლენილ ფინანსურ დარღვევებს და განხორციელებული იყო კრიმინალური ჯგუფის მიერ, რომელიც აკონტროლებდა რ-ს ... ქარხანას, უბედური შემ-

თხვევა და შემთხვევითობა კი გამოორიციხული იყო. ჯ. კ-ს ინტერვიუში აღნიშნული იყო, რომ ოფისში არ იყო გაზი, გაზით აფეთქებას ადგილი არ ჰქონდა, ეს დაკავშირებული იყო მის ბოლოდროინდელ აქტივობასთან, გამოძიება დაადგენდა ბოროტმოქმედებს, ეჭვი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ვერავის დაადანაშაულებდა, არსებობდა ორი თემა: ერთი გ. უ-სთან, ხოლო მეორე „ქ. ფ-თან“ დაკავშირებით, ბრძოლას არ შეწყვეტდნენ და სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებდა.

სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სასაპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ საქალაქო სასამართლომ დადასტურებული ფაქტები სამართლებრივად არასწორად შეაფასა, კერძოდ ის გარემოება, რომ სადავო განცხადებაში მოსარჩელე უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. ეს ფორმულირება არ გულისხმობდა იმას, რომ განცხადებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული მოსარჩელის საფირმო სახელწოდება, სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.

სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც განმარტებულია ამ კანონის მიზნებისათვის „აზრის“ მნიშვნელობა და სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ნ. ჯ-ს ინტერვიუებში ნახსენები: „ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ეს არის განხორციელებული იმ კრიმინალური ჯგუფის მიერ, რომელიც დღეს აკონტროლებს რ-ს ... ქარხანას“ მიიჩნია, რომ არ შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო კონკრეტულად შპს „რ-ს ფ-ს“ პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობად, ვინაიდან განცხადება ეხებოდა პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს, რომელშიც კონკრეტული პირების იდენტიფიცირება არ ხდებოდა, შესაბამისად, ამგვარი განცხადება ცილისწამების შესახებ სარჩელის საგანი არ შეიძლებოდა გამხდარიყო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

ჯ. კ-ს განცხადებებში ნახსენები სიტყვა „ბოროტმოქმედები“, რაზეც მიუთითებდა აპელანტი, წარმოადგენდა პირის შეფასებას ზოგადად ფაქტთან მიმართებაში, რომელიც ასევე მიმართული იყო პირთა განუსაზღვრელი ჯგუფისადმი, რაც არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობდა კონკრეტული პირების ან კომპანიის მიმართ პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობის გაგრძელებას.

არ იქნა გაზიარებული აპელანტის მსჯელობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობის თაობაზე, სადაც ნ. ჯ-ს გან-

ცხადება შპს „რ-ის ფ-ს“ მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარის მოპარვის შესახებ წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და ეყრდნობოდა 2011 წლის 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებას, საგადასახადო ანგარიშფაქტურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წერილს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება.

პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხის აღნიშნული განცხადება გავრცელდა 2011 წლის 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების, საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2013 წლის 10 მაისის №... წერილის საფუძველზე, განცხადება წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და მოპასუხე სადავო ფაქტთან დაკავშირებით ითხოვდა საზოგადოებისათვის განმარტების მიცემას ი. გ-ძის, მისი გუნდისა და შპს „რ-ის ფ-ს“ წარმომადგენლების მიერ, რაც არ შეიძლება ცილისწამებად, სახელის გამტეხ ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციად ჩათვლილიყო.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „რ-ის ფ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველზე:

არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ ნ.ჯყელის განცხადებები, შპს „რ-ის ფ-ს“ მიერ ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარის მოპარვის თაობაზე შეფასებითი მსჯელობაა და მოპასუხე ითხოვს მოსარჩელის მიერ საზოგადოებისათვის განმარტების მიცემას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ცილისწამებად.

სარჩელში მითითებული განცხადებების გავრცელების ფაქტი უდავო გარემოებას წარმოადგენს, განცხადებებით დგინდება არა მხოლოდ მოსარჩელის ვინაობა, არამედ მოპასუხეთა განზრახვა, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ზიანი მიაყენოს შპს „რ-ის ფ-ს“ საქმიან რეპუტაციას. ამდენად, სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე არ არის იდენტიფიცირებული, არ გამოდინარეობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის სწორი განმარტებიდან, ამასთან, განცხადება, რომელშიც მითითებულია დანაშაულის ჩადენის ფაქტი და არ ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, ცილისწამებად უნდა იქნას მიჩნეული.

2011 წლის დეკემბერში ნასყიდობის ხელშეკრულების სა-

ფუძველზე სს „ქ-ის ფ-ს“ აქტივების უდიდესი ნაწილი შეიძინა კასატორმა, შესაბამისად, 2013 წლის ივნისიდან ივლისამდე მოპასუხეების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ ორი ადამიანის დალუპვა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები დაკავშირებულია იმ ჯგუფთან, „რომელიც დღეს აკონტროლებს რ-ის ... ქარხანას“ არ შეიძლება ეხებოდეს არც ერთ პირს, გარდა შპს „რ-ის ფ-სა“. ამასთანავე, „ქ. ფ-სა“ და „რ-ის ფ-ს“ შორის მიმდინარეობდა დავა რ-ის ... ქარხნის აქტივების თაობაზე, ხოლო მოპასუხე სადავო განცხადებებში აქცენტს აკეთებდა ამ დავაზე, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებები სწორედ მოსარჩელის მისამართითაა გამოთქმული. გარდა აღნიშნულისა, სადავო განცხადებები სიცრუეა და ზიანის მომტანი კასატორის საქმიანი რეპუტაციისათვის.

სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა გასაჩივრებულნი გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ნ. ჯ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოსარჩელის მიერ ბიუჯეტიდან თანხის მოპარვის თაობაზე ემყარებოდა 2011 წლის 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წერილს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლოს დასკვნა, რომ ნ. ჯ-ს განცხადება წარმოადგენს აზრს, არასწორია, რადგანაც გამოძიების დაწყების ფაქტს არ შეიძლება დაეყრდნოს განცხადება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე, უფრო მეტიც, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი – თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი, რომლის თანახმადაც, შპს „რ. ფ-ს“ ან მისი ხელმძღვანელი პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე არასოდეს განხილულა და არც ამჯერად განიხილება.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხეების: ნ. ჯ-სა და ჯ. კ-ს გამონათქვამები: „კრიმინალი“ და „ბოროტმოქმედთა ჯგუფი“ ცილისმწამებლური ინფორმაცია არ არის. ეს გამონათქვამები, როგორც ცალკე აღებული, ბუნებრივია, ცილისწამებად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუმცა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოპასუხეები მიუთითებდნენ მოსარჩელის დანაშაულებრივ ქმედებაზე: ბიუჯეტიდან თანხის მოპარვაზე, ადამიანის გარდაცვალებაზე, კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით, ფინანსური მაქინაციების გზით თანხის მითვისებასა და ძალადობაზე.

ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა პატივისა და ღირსების შელახვა და ზიანის

მიყენების ფაქტი. ამ თვალსაზრისით სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცება, რომ განცხადებები იყო ცილისმწამებლური, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელდა არაერთგზის და მიზნად ისახავდა კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვას. პალატამ არ გაითვალისწინა დადგენილი სასამართლო პრაქტიკით გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ არაქონებრივი ურთიერთობები მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს და არ გააჩნია ღირებულება, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია. მოცემულ შემთხვევაში შეილახა მოსარჩელის პატივი და ღირსება, ამასთანავე, მხედველობაში მისაღები, რომ სს „ქ. ფ-ის“ სარჩელის საფუძველზე დაყადაღებულია კასატორი სანარმოს საბრუნავი ძირითადი საშუალება – ნიდა.

კასატორის მოსაზრებით, მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაზე მეტყველებს ისიც, რომ შპს „რ. ფ-ი“ მსხვილი სანარმოა, რომელსაც საქართველოში მრავალმილიონიანი ინვესტიცია აქვს განხორციელებული და საქმიანობას ეწევა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სანარმოში. ცილისწამება ყოველთვის ზიანის მომტანია და კანონი იცავს ნებისმიერი პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. იურიდიული პირის ამ უფლებათა დარღვევისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ იურიდიული პირის ცნობადობა და საქმიანობის მასშტაბები, რაც, მოცემულ შემთხვევაში, უდავოა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „რ. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს განწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ განწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელე შპს „რ. ფ-ის“ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მედიის იმავე სა-



შუალეხით უარყოფა, ასევე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება.

მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებებს, რომ მოპასუხეების: სს „ქ. ფ-ის“, ნ. ჯ-სა და ჯ. კ-ს მიერ მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით (როგორც სხვადასხვა სატელევიზიო ეთერის, ისე ინტერნეტგვერდების მეშვეობით) მოსარჩელის მიმართ გავრცელდა არსებითად მცდარი ინფორმაცია, რაც მიზნად ისახავდა მოსარჩელის დისკრედიტაციას და წარმოადგენდა ცილისწამებას, შესაბამისად, შეილახა როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული შპს „რ. ფ-ის“ პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა ამავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მოპასუხეების მიერ იმის უარყოფა, რომ: შპს „რ. ფ-ი“ და მისი ხელმძღვანელობა მონაწილეობდა 2013 წლის 24 ივნისს მომხდარ ტრაგიკულ ფაქტში, რასაც შედეგად ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა; შპს „რ. ფ-მა“ და მისმა ხელმძღვანელობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოიპარა 39 მილიონი ლარი; შპს „რ. ფ-სა“ და მისი ხელმძღვანელობის მიერ ადგილი ჰქონდა ადამიანთა იძულებას; ასევე შპს „რ. ფ-სა“ და მისი ხელმძღვანელობის კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით, ფინანსური მაქინაციებით, სახელმწიფო მანქანის ტოტალური მხარდაჭერით განხორციელდა ჯ. კ-ს კუთვნილი კომპანიების გაკოტრება, ნაციონალური მოძრაობის წარჩინების დაცვა, სახელმწიფოს, სასამართლოსა და საზოგადოების დაშანტაჟება და შეურაცხყოფა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის 50 000 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი იმ საფუძველზე განუცხადეს, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენდა არა ცილისწამებას, არამედ შეფასებით მსჯელობას, ამასთანავე, ზოგიერთ მათგანში მოსარჩელე არ იყო ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

კასატორის ძირითადი პრეტენზია მიძღვნილია გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების უსწორობისკენ, კერძოდ, შპს „რ. ფ-ი“ მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა სადავო განცხადებებს და არასწორად მიიჩნია, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ცილისმწამებლურს, ამასთანავე, სასამართლოს განმარტება მოსარჩელის იდენტიფიცირების თაობაზე არ გამომდინარეობს კანონის სწორი განმარ-

ტებიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მისადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა, ამდენად, დავის არსებითად განხილვამდე, უნდა შემოწმდეს, ვინ, ვისგან, რას, რის საფუძველზე ითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფითა და მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენაა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება – გამოხატვის თავისუფლება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პერეცედენტული გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ ამ ნორმის სუბიექტად აღიარებულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-10 მუხლი ვრცელდება „ყველაზე“, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე (Autronic AG v Switzerland, 1990, §47). გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს იმ „იდებებს“ თუ „ინფორმაციასაც“, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი ან შეურაცხმყოფელია. ამ მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება უხეში, უტირირებული ფორმითაც გამოთქმული აზრი. დაცვის ხარისხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმ კონტექსტზე, რომელშიც გამოყენებულია ეს ინფორმაცია და მეორეს მხრივ, იმ მიზნებზე, რომელთაც მოცემული კრიტიკა ემსახურება (Thorgeir Thorgeirson v. Iceland, 1992 წელი).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავას ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირს შორის (Steel and Morris v. the United Kingdom) არ გაიზიარა მოდავე მხარის მტკიცება, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორც „მაკდონალდსია“, პრინციპულად უნდა ჩამორ-

თმეოდა დიფამაციური ბრალდებებისაგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. სიმართლეა ის, რომ ძლიერი კომპანიები შეგნებულად და აუცდენლად იყენებენ თავს მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღია ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისათვის... დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებაში გაცილებით უფრო ფართოა (იხ. *Fayed v. the United Kingdom*, 1994 წ.). თუმცა, ბიზნესის პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად, არსებობს კომპანიების კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის რეპუტაციას, და შეამციროს ზიანი (იხ. *Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany*, 1989 წელი).

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება მოგვევლინონ იურიდიული პირებიც, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე ზიანი.

მოსარჩელის მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები. 2004 წლის 16 ივლისამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ

ისინი სინამდვილეს შეეფერება.

2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, ახლებურად მონესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა და ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების რეალიზაცია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებთან ერთად, შესაძლებელი გახდა სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

ისეთ პირობებში, როდესაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენს ცილისწამების შემთხვევაში უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს, რომლის დადგომაც დამოკიდებულია სასამართლოში აღძრული დავის საგნის სწორ ფორმულირებაზე, სასამართლო ამონმებს მოთხოვნის შესაბამისობას უფლებადამცავ ნორმებთან, ისე, რომ სასამართლო პასიურია დაეხმაროს მხარეს არასწორი მოთხოვნის სწორად ფორმულირებაში. სხვაგვარად საქმე გვექნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დარღვევასთან, რომლის მიხედვითაც სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

პალატის აღნიშნული მსჯელობა სავსებით შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ. სუსგ, №ას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი; №ას-334-654-09, 8 ოქტომბერი, 2009 წელი; №ას-677-638-2011, 24 სექტემბერი, 2012 წელი).

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელე ითხოვს არა სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, არამედ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებით უარყოფას, რაც არ გამომდინარეობს სპეციალური კანონით დადგენილი საფუძვლები-

დან, შესაბამისად, მოთხოვნა თავშივე უსაფუძვლოა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას, საკასაციო პალატა შპს „რ. ფ-ს“ ამ მოთხოვნასაც უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რადგანაც თავად მორალური ზიანი წარმოადგენს მეორად მოთხოვნას და მისი ანაზღაურების საკითხი დღის წესრიგში დგება მას შემდეგ, რაც დადასტურდება მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელება.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე განიმარტა, სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, იმ საკითხის გარკვევა სწორად მოხდა თუ არა სარჩელისა და შესაგებლის საფუძველად მითითებული ფაქტების სამართლებრივი შეფასება, აზრს მოკლებულია. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე: საქმეში წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, შპს „რ. ფ-ი“ მორალური ზიანის დაკისრების ფაქტობრივ საფუძველად მიუთითებს იმას, რომ მოპასუხეების მიერ სადავო ინფორმაციის გავრცელება მიზნად ისახავდა მოსარჩელის დისკრედიტაციას, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, დანაშაულის მოსარჩელე საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელობისათვის დაბრალებას, რაც დასტურდება ცილისმწამებლური ინფორმაციის ყველა წამყვანი საშუალებით არაერთხელ გავრცელებით. მოსარჩელის განმარტებით, მას, როგორც მსხვილ ბიზნეს-ორგანიზაციას სერიოზული ზიანი მიადგა, შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

დასახელებული ნორმიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), მართალია, გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დად-

გენილია დამატებითი შეზღუდვები.

იურიდიული პირის მიმართ დიფამაციური განცხადების გავრცელების საკითხის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს მოდავე სუბიექტის კანონით დაცული ის არაქონებრივი უფლებები, რომელთა ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სუსგ №3კ/924-01) განმარტა შემდეგი: „იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა“.

უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო შესაძლოა განხილულ იქნას მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ასევე მოითხოვს არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებას მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის მოტივით.

იმისათვის, რათა გადაწყდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, პასუხი უნდა გავცეს მთავარ კითხვას: რა არის საქმიანი რეპუტაცია?

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მო-

ნაწილობადაა ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა“ (იხ. სუსგ №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი). მითითებული განმარტების იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს გარკვეული განცხადებების გავრცელების ფაქტი, კასატორი სადავოდ ხდის მხოლოდ გავრცელებული განცხადებების სამართლებრივ შეფასებას. დადგენილია, რომ სადავო შემთხვევასთან მიმართებით გავრცელდა შემდეგი:

1. 2013 წლის 24 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“, რომლის სიუჟეტი დაეთმო სს „ქ. ფ-ის“ ოფისში მომხდარ აფეთქებას, გავრცელდა სს „ქ. ფ-ს“ დირექტორ ნ. ჯ-ს ინტერვიუ: „ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი განხორციელდა იმის გამო, რომ ძალიან ბევრი დარღვევა, როგორც ფინანსური, ისე მაქინაციური, ჩვენ გამოვააშკარავეთ და გამოვაგლინეთ. ასე, რომ ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ეს არის განხორციელებული იმ კრიმინალური ჯგუფის მიერ, რომელიც დღეს აკონტროლებს რუსთავის ... ქარხანას“. იმავე სიუჟეტში ჯ. კ-მ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „მინდა დაგარწმუნოთ რომ, მაგ ოფისში გაზი არ იყო, ასე რომ გაზით აფეთქება აქ არ არის და იმედი მაქვს გამოძიება დაადგენს, ამ ბოროტმოქმედებს გამოამჟღავნებს. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებული არის ჩემს აქტივობასთან ბოლო დროს თუნდაც იმასთან, რომ ბევრი ადამიანი ვამხილე ჩემი განცხადებებით და ამით შემოვიფარგლედი დღეს. ბოროტმოქმედებს და იმ შეთქმულებებს რომლებსაც აწარმოებდა ძველი ხელისუფლება“. ტელეკომპანია „...-მა“ აღნიშნა, რომ ჯ. კ-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, „ინციდენტს წინ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები უძლოდა, რომლითაც პ-ს რუსთავის ... ქარხანასთან დაკავშირებით მაქინაციურ გარიგებებში

ადანაშაულებდა“;

2. 2013 წლის 24 ივნისს ტელეკომპანია „...-ის“ 9-საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, რომლის სიუჟეტი დაეთმო სს „ქ. ფ-ს“ ოფისში მომხდარ აფეთქებას, გავრცელდა სს „ქ. ფ-ს“ დირექტორ ნ. ჯ-ს შემდეგი ინტერვიუ: „ყველაფერი ეს დაკავშირებულია იმ განცხადებებთან და იმ მოვლენებთან, რაც უკავშირდება რუსთავის ... ქარხანას. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ეს არის განხორციელებული იმ კრიმინალური ჯგუფის მიერ რომელიც დღეს აკონტროლებს რუსთავის ... ქარხანას“;

3. ტელეკომპანია „...-ს“ ეთერით ახალი ამბების გამოშვებაში 2013 წლის 24 ივნისს ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, შენობაში სადაც აფეთქება მოხდა სს „ქ. ფ-ს“ ოფისი მდებარეობს, კომპანიის დირექტორი ნ. ჯ-ი გამორიცხავს, რომ აფეთქება ბუნებრივმა აირმა განაპირობა, ჯ-ს თქმით დღევანდელი აფეთქება იმ პირების მოწყობილია ვინც ამჟამად რ-ს ... ქარხანას ფლობს. კომპანიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მომხდარი სწორედ მათთან არის დაკავშირებული. ნ. ჯ-ი აცხადებს: „ეს არის იმ კრიმინალური ჯგუფის მიერ გაკეთებული, ვინც დღეს აკონტროლებს რ-ს ... ქარხანას. ბუნებრივ აირს მე პირადად გამოვრიცხავ, რადგან იქ ბუნებრივი აირი სამი კვირა საერთოდ არ იყო“;

4. ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემაში „...“, 2013 წლის 25 ივნისს გავრცელდა, რომ ჯ. კ-ს ინფორმაციით, ინციდენტს წინ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები უძლოდა, კომპანია კ-შვილებს რ-ის ... ქარხანასთან დაკავშირებით მაქინაციურ გარიგებებში ადანაშაულებდა. ჯ. კ-ს შემდეგი კომენტარი: „მინდა დაგარწმუნოთ, რომ მაგ ოფისში გაზი არ იყო, ასე რომ გაზით აფეთქება აქ არ არის და იმედი მაქვს რომ გამოძიება დაადგენს, ამ ბოროტმოქმედებს გამოამჟღავნებს. ეს რა თქმა უნდა დაკავშირებული არის ჩემს აქტივობასთან ბოლო დროს, თუნდაც იმასთან, რომ ბევრი ადამიანი ვამხილე ჩემი განცხადებებით და ამით შემოვიფარგლები დღეს. ბოროტმოქმედებს და იმ შეთქმულებებს რომელსაც აწარმოებდა ძველი ხელისუფლება და მათ ანტურაჟს“;

5. პირველი არხის (საზოგადოებრივი მაუწყებლის) ეთერში, გადაცემაში „...“ 2013 წლის 25 ივნისს გავრცელდა ჯ. კ-ს შემდეგი კომენტარი: „თბილისში ააფეთქეს ჩემი ოფისი ნუცუბიძეზე და ერთი ადამიანი მოკვდა, მეორე დამწვარია 95%-ით. წავიკითხე თითქოსდა გაზიო, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ რომ მაგ ოფისში გაზი არ იყო, ასე რომ გაზით აფეთქება აქ არ არის. იმედი მაქვს რომ გამოძიება ამ ბოროტმოქმედებს გამოამჟღავნებს.“



ეს რა თქმა უნდა ალბათ დაკავშირებულია ჩემს აქტივობასთან... ეჭვი ბევრი მაქვს ესე ვერავის დავადანაშაულებ“;

6. 2013 წლის 25 ივნისს „...-ის“ გადაცემაში გავრცელდა ჯ. კ-ს შემდეგი კომენტარი: „ეს რა თქმა უნდა დაკავშირებული არის ჩემს აქტივობასთან ბოლო დროს, მე ვგულისხმობ იმ ბოროტ-მოქმედებებს და იმ შეთქმულებებს, რომელსაც აწარმოებდა ძველი ხელისუფლება და მათ ანტურაჟს“. იმავე გადაცემაში ნ. ჯ-ი აცხადებს: „ზ. ნ-ძეზე ვამბობ, ის ადამიანი რომელიც ფინანსურ პოლიციაში არის მთავარი მონმე და ჩვენ ისეთ რალაცე-ებზე დავინყეთ ხმამალა საუბარი, თუნდაც ქარხნის თემაზე, რომელიც ძალიან ბევრ ადამიანს, ძალიან ბევრ გავლენიან ადამიანს არ აძლევდა ხელს“. „...-ის“ სიუჟეტში აღნიშნული იყო შემდეგი: „ქართული ... მფლობელი ჯ. კ-ი და მისი კომპანია რ-ის ... ქარხანას ფლობდა, თუმცა სააკაშვილის მთავრობასა და პ-შვილის ოჯახს შორის 2011 წლის 6 ივლისს გაფორმებული მემორანდუმის შედეგად ქარხანა ოჯახს გადაეცა. დაახლოებით 2 კვირის წინ კ-მ პრესკომფერენცია გამართა, სადაც მან ... ქარხნის ამჟამინდელი მფლობელები ფინანსურ მაქინაციებში და ბიუჯეტისთვის 39 მილიონი ლარის დამალვაში დაადანაშაულა. კ-მ განაცხადა, რომ პ-შვილების წინააღმდეგ ქარხნის დასაბრუნებლად სამართლებრივ დავას აგრძელებს“.

7. 2013 წლის 26 ივნისის გადაცემაში „...“, ტელეკომპანია „...-ს“ ეთერში ჯ. კ-მ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „არსებობს გარკვეული ეჭვები, შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ იცით არსებობს ორი თემა, ერთი არის გ. უ-სთან მიმართებაში და მეორე თემა დაკავშირებულია ქართული ფოლადის საქმესთან. ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებს“:

8. 2013 წლის 26 ივნისს „...-ის“ გადაცემაში „...“, მოპასუხე ჯ. კ-მ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „ქართული ... დღეს აწარმოებს სამართლებრივ დავას, სადაც ეს ორი ადამიანი, ერთი, რომელიც სამწუხაროდ უკვე გარდაიცვალა და მეორე, რომელიც ებრძვის სიკვდილს, არიან და იყვნენ აქტივისტები, ქართული ფოლადის ერთგული აქტივისტები. ქართული ... აუცილებლად გაიმარჯვებს, ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებს“;

9. 2013 წლის 26 ივნისს ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემაში „...“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯ. კ-ი მომხდარს (აფეთქებას ...-ის ქუჩაზე) კომპანია ...-ს უკავშირებს თუმცა კონკრეტული პირების დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს“. ამავე გადაცემით გავრცელდა მოპასუხე ჯ. კ-ს შემდეგი კომენტა-

რი: „თქვენ თუ ძალიან გაინტერესებთ ვინ, სად და რა ოჯახია ჩართული, მაშინ მოგიწოდებთ, რომ მოვიძიოთ ის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოეწერა 6 ივლისს 2011 წელს. რომელიც გახდა საბედისწერო ქართული ფოლადისათვის და რომლის მეშვეობითაც ჩვენ გამოგვაძვეს იქედან ჯარის მეშვეობით სააკაშვილის ხელისუფლებამ და მერე გადასცა ბოროტმოქმედ ჯგუფს, რომელიც დღეს ფარფაშობს ... ქარხანაში, რომელიც მეკუთვნის მე და ამ ბრძოლას არ შევწყვეტთ, ვიბრძოლებ ბოლო სისხლის წვეთამდე და ეს სისხლი, რომელიც დაიღვარა უდანაშაულო ხალხის, იმედია ამ ბოროტმოქმედებს თუ არიან ბოროტმოქმედები არ შერჩებათ“.

10. 2013 წლის 27 ივნისს პირველი არხის (საზოგადოებრივი მაუწყებლის) გადაცემაში „...“ გავრცელდა მოპასუხე სს „ქ. ფ-ს“ შემდეგი განცხადება: „ზ. ნ-ძე იყო გაბედული ადამიანი, რომელიც ებრძოდა უკანონობას და უ-ა-კ-შვილის კრიმინალურ დაჯგუფებას. ის გახლდათ მთავარი მოწმე ... ქარხნის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. მთელი გუნდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ა. მ-ძის და უკვე ზ. ნ-ძის დაღუპვის გამო და მოითხოვს, სასწრაფოდ და სათანადო გულისყურით ჩატარდეს გამოძიება, რათა შეწყდეს „ქ. ფ-სა“ და მისი თანამშრომლების დევნა“;

11. ინტერნეტ-გვერდზე ... 2013 წლის 24 ივნისს, ...-ის ქუჩაზე მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაში მოცემულია მოპასუხე ჯ. კ-ს კომენტარი: „კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით, ფინანსური მაქინაციაებით, მაშინდელი სახელმწიფო მანქანის ტოტალური მხარდაჭერით მათ ჩემი კომპანიები გააკოტრეს და „ქ. ფ-სა“ და „თ. XXI-ის“ აქტივები ორი დღით ადრე შექმნილ შპს „რ. ფ-ს“ გადასცეს, რომელიც დღეს ჩემს ... ქარხანას აკონტროლებს“. აქვე ჯ. კ-ი კომპანიას საქართველოს მოქალაქეების გაძარცვაში, კერძოდ ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარის მოპარვაში ადანაშაულებს;

12. ინტერნეტ-გვერდზე ... 2013 წლის 24 ივნისს, ამავე დღეს ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით, გავრცელდა მოპასუხე სს „ქ. ფ-ს“ დირექტორ ნ. ჯ-ს განცხადება: „როგორც ცნობილია მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ... ქარხნის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ძიების პროცესში გამოვლინდა არაერთი უმძიმესი დანაშაული, რომელიც იმ კრიმინალურმა დაჯგუფებამ ჩაიდინა, ვინც უკანონოდ შეიჭრა და დაისაკუთრა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა“;

13. ინტერნეტ-გვერდზე ... 2013 წლის 25 ივნისს გავრცელდა

შემდეგი ინფორმაცია: „ნ. ჯ-ს განცხადებით, ოფისში ბუნებრივი აირი არ იყო, ამდენად მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ თავდასხმას. „ქ. ფ-ს“ წარმომადგენელი მომხდარს ... ქარხნის დაბრუნებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესს უკავშირებს და აცხადებს, რომ „ძიების პროცესში არა ერთი უმძიმესი დანაშაული გამოვლინდა იმ კრიმინალური დაჯგუფების მხრიდან, რომელიც უკანონოდ შეიჭრა და დაისაკუთრა ქარხანა“;

14. 2013 წლის 25 ივნისს „რადიო პალიტრას“ მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია თბილისში, ...-ის ქუჩაზე მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით. გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ „ჯ. კ-ს ინფორმაციით, ინციდენტს წინ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები უძლოდა, რომლითაც კომპანია პ-შივლებს ... ქარხანასთან დაკავშირებულ მაქინაციურ გარიგებებში ადანაშაულებდა“.

15. 2013 წლის 2 ივლისის გადაცემაში, „...“ ჯ. კ-მ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „საკაშვილის ხელისუფლებისა და ი. გ-ძის გაერთიანება მოხდა ჩემს წინააღმდეგ, მათ გადანყვიტეს, რომ ჩამოეყალიბებინათ ერთობლივი დანაშაულებრივი, დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებსაც უკვე ვხედავთ, რომ მკვლელობისგანაც არ იხევენ უკან. ჩემთვის სააკაშვილის ხელისუფლება, გ. უ-ა, ი. გ-ძე არიან ერთნი“. იმავე გადაცემაში გავრცელდა შემდეგი ინფორმაცია: „ჯ. კ-ი საყურადღებო დეტალს უწოდებს აფეთქებამდე ორი თვით ადრე კომპანია ქ. ფ-ის საპროტესტო აქციას. როგორც კომპანია ქ. ფ-ს მფლობელი აცხადებს, ... კომბინატის იძულებით წართმევა მისმა თანამშრომლებმა ა. მ-ძემ და ზ. ნ-ძემ კარიკატურებით გააპროტესტეს. კარიკატურები, რომელიც ი. გ-ძისა და მ. ს-შვილის გარიგების თემას ეხებოდა“;

16. 2013 წლის 3 ივლისს ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემაში სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა შემდეგი კომენტარი: „მათი წინასწარი დასკვნა და შეფასება მომხდარის არის ასეთი. უბედური შემთხვევა და შემთხვევითობა აქ გამორიცხულია. ქ. ფ-ს ოფისზე თავდასხმის მოტივი ჰქონდათ იმ ადამიანებს, ვინც ვამხილეთ თუნდაც ბიუჯეტიდან 39 მილიონის მოპარვაში“;

17. 2013 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია პირველი არხის გადაცემაში „...“ სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა კომენტარი: „რამდენიმე თვეა უკვე ვსაუბრობთ იმაზე, რომ გასაჯაროვდეს 2011 წლის 6 ივლისის ხელშეკრულება რომელიც დაიდო ი. გ-ძესა და მ. ს-შვილის ხელისუფლებას შორის. ამ ორ ჯგუფს ჰქონდა ინტერესი, რომ ეს ტერაქტი მომხდარიყო“;

18. 2013 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია „...-ს“ ეთერში სს „ქ.

ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა კომენტარი: „უბედურ შემთხვევაზე და საერთოდ შემთხვევითობაზე საუბარი ასი პროცენტით უკვე გამორიცხულია. თქვენ გაინტერესებთ მოტივაცია, ვის შეიძლებოდა საერთოდ მოტივი ჰქონოდა ამ ქმედების. ... ქარხანას აკონტროლებს ი. გ-ძე და მისი ჯგუფი, მისი კრიმინალური ჯგუფი, მინდა ვთქვა, ეს შეთანხმება დადებულია, 2011 წლის 6 ივლისის შეთანხმებაზე ვსაუბრობ, ი. გ-ძესა და მ. ს-შვილის მთავრობას შორის“;

19. 2013 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია „...-ის“ ეთერში სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა კომენტარი: „გასაჯაროვდეს ის შეთანხმება, რომელიც დაიდო 2011 წლის 6 ივლისს ი. გ-ძესა და მ. ს-შვილის მთავრობას შორის, ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ... ქარხნის დღევანდელმა მენეჯმენტმა, ანუ „რ. ფ-ს“ მენეჯმენტმა საქართველოს ბიუჯეტიდან მოიპარა 39 მილიონი“;

20. 2013 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია „...-ს“ ეთერში სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა კომენტარი: „უბედურ შემთხვევაზე და, ზოგადად, შემთხვევითობაზე საუბარი ასი პროცენტით უნდა გამორიცხოს. თქვენ გაინტერესებთ მოტივაცია, ვის შეიძლება საერთოდ მოტივი ჰქონოდა ამ ქმედების. რუსთავის ... ქარხანას დღეს აკონტროლებს ი. გ-ძე და მისი ჯგუფი, მისი კრიმინალური ჯგუფი, ეს შეთანხმება დადებულია, 2011 წლის 6 ივლისის შეთანხმებაზე ვსაუბრობ, ი. გ-ძესა და მ. ს-შვილის მთავრობას შორის“;

21. 2013 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია „...-ის“ ეთერში სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა კომენტარი: „გასაჯაროვდეს 2011 წლის 6 ივლისის ხელშეკრულება რომელიც დაიდო ი. გ-ძისა და მ. ს-შვილის ხელისუფლებას შორის, მე არ მესმის ი. გ-ძე და მისი კრიმინალური ჯგუფი ასე გამალებით რატომ იცავს ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებს, ამ შემთხვევაში გ. უ-ა მაქვს მხედველობაში. ამ ორ ჯგუფს ჰქონდა ინტერესი რომ ეს ტერაქტი მომხდარიყო“;

22. 2013 წლის 15 ივლისს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდების მეშვეობით გავრცელდა სს „ქ. ფ-ს“ დირექტორ ნ. ჯ-ს განცხადება, რომელშიც ის აღნიშნავს: „თ. ბ-ს და შპს „რ. ფ-ს“ მფლობელებს ურჩევნიათ საზოგადოების რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს გასცეს პასუხი:

1. 2011 წლის 6 ივლისს რა შეთანხმებას მოაწერა ხელი ი. გ-ძემ და მ. ს-შვილმა?

2. 2011 წლის 6 ივლისს რატომ შემოიყვანეს ჯარი ... ქარხანაში და ძალის გამოყენებით რატომ წაართვეს კანონიერ მეპატ-

რონეს თავისი ქარხანა?

3. როგორ მოიპარეს საქართველოს ბიუჯეტიდან წინა ხელი-სუფლებების მხარდაჭერით, სწორედ იმ წილის ამორალური გაყიდვით 39 მილიონი ლარი?

4. რატომ ჰგავს გაჭრილი ვაშლივით ი. გ-ძის და მისი ხელქვეითების გაცხადებები გ. უ-სა და გ. ვ-ძის განცხადებებს მიმდინარე სასამართლოს საქმეებზე?

5. და საერთოდ, რატომ აძლევს ი. გ-ძე და მისი გუნდი თავის თავს უფლებას დაამანტაჟოს ქართული სახელმწიფო, სასამართლო, საზოგადოება...? ი. გ-ძეს და მის გუნდს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ 2012 წლის პირველ ოქტომბერს „ნაციონალების“ მმართველობა დასრულდა, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში შანტაჟის და სპეკულაციების დრო დამთავრდა“;

23. 2013 წლის 18 ივლისს საინფორმაციო საშუალებების „...-ს“ მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სს „ქ. ფ-ს“ დირექტორი ნ. ჯ-ი მოითხოვს 2013 წლის 24 ივნისს მომხდარი აფეთქების საფუძველზე დაწყებული გამოძიების კვალიფიკაციის შეცვლას, რადგან, მისივე განცხადებით, იმ შენობაში გაზი არ ყოფილა და რომ იქ გაზი გაჩნდა, ეს არაა შემთხვევითობა. ეს არის ხელოვნურად მოწყობილი ტერორისტული აქტი, რომლის უკან ყოფილი ხელისუფლება და ბ. პ-ს ოჯახი დგას.

**ჟურნალისტი:** ტერორისტული აქტის ორგანიზატორად თქვენ ბ. პ-შვილის ოჯახი და წინა ხელისუფლება დაასახელეთ. თუ გაქვთ მტკიცებულება, რომელიც მათ დანაშაულს დაადასტურებს?

**ნ. ჯ-ი:** ბ. ნ-ძე, ა. მ-ძე იყვნენ ადამიანები, რომლებსაც პირადი მტერი არ ჰყოლიათ, ამ ადამიანებმა ისე იცხოვრეს, რომ სიკეთის გარდა არაფერი უკეთებიათ. მათი პირადი ინტერესი ნამდვილად არავის ჰქონია გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები იდგნენ სიმართლის და სამართლიანობის გვერდით, იბრძოდნენ ჩვენს გვერდით. უბრალოდ, ვინც შეუკვეთა და შეასრულა ეს ტერორისტული აქტი, მათ გათვლა უფრო მეტ მსხვერპლზე ჰქონდათ, ვიდრე იმაზე რაც მიიღეს. ამით უნდოდათ მთელი ჯგუფის განადგურება. სამწუხაროდ, ეს ორი ადამიანი შეენირა ამ ბრძოლას. მე არ მესმის რა მოტივი შეიძლება გქონდეს, როცა საუბარია ორი ან 10 ადამიანის სიკვდილზე, რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ყველაფერი იმას უკავშირდება, რომ ჩვენ ბოლო რამდენიმე თვეა, ვითხოვთ 2011 წლის 6 ივნისს ხელისუფლებასა და ი. გ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლითაც ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარის უკანონო მითვისება დასტურდება და ამ ხელშეკრულებით „ქ. ფ-ი“ ... ქარხნი-

დან ჯარის მეშვეობით გამოავდეს.

**ჟურნალისტი:** ანუ პ-შვილის ოჯახმა 39 მილიონი ლარი მითვისა, რაც თქვენ გაახმაურეთ და ამის გამო დაიგეგმა ეს ტერორისტული აქტი?

**ნ. ჯ-ი:** დიას.

**ჟურნალისტი:** როგორ და რა გზით მითვისა ი. გ-ქემ 39 მილიონი?

**ნ. ჯ-ი:** 39 მილიონის თემა წარმოქმნილია იქიდან, რომ ი. გ-ქემ და მისმა ჯგუფმა ხელოვნურად შექმნილი მაქინაციებით ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარი მოიპარეს, ჩვენ ხმამაღლა ვსაუბრობდით რამდენიმე თემაზე და მათ შორის 39 მილიონის მითვისებაზე. ზ. და ა. იყვნენ „ქ. ფ-ს“ თანამშრომლები, ისინი იყვნენ ჩემი თანამშრომლები და ამ ბრძოლაში, რომელიც პირველ ოქტომბერს არჩევნების შემდეგ ... ქარხნის დასაბრუნებლად დავიწყეთ, ვიყავით ერთად. უბრალოდ, ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა, რომ ეს ორი ადამიანი შეენირა ბრძოლას. ი. გ-ქემ და მისმა ჯგუფმა ბიუჯეტიდან 39 მილიონი მოიპარა. 2011 წლის 6 ივნისს ჯარის გამოყენებით ძალით გამოგვყარეს ქარხნიდან. ვითხოვდით და ახლაც ვითხოვთ გაასაჯაროონ 2011 წლის 6 ივნისის ხელშეკრულება, რომელიც ი. გ-ქემ გააფორმა მ. ს-შვილის მთავრობასთან. ამ ხელშეკრულების გასაჯაროებით ძალიან ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

**ჟურნალისტი:** თქვენ დაახლოებით თუ იცით რა წერია ამ ხელშეკრულებაში, რომელიც ყოფილ ხელისუფლებასა და ი. გ-ს შორის დაიდო?

**ნ. ჯ-ი:** ამ დოკუმენტს, რატომღაც დღეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ზ. ნ-ქე იყო ის ადამიანი რომელიც კარდაკარ არკვევდა როგორ შეიძლებოდა ამ დოკუმენტის გასაჯაროება, რომ იურიდიული გზით სწორად ნავსულიყავით. რაც შეეხება იმას, ვიცი თუ არა ამ დოკუმენტში რა წერია, თბილისი პატარა და ჭორიკანა ქალაქია, 2 წლის განმავლობაში სხვადასხვა წყაროებიდან ერთი და იგივე ინფორმაცია მომდის იმაზე რა წერია ამ დოკუმენტში და მინდა გითხრათ, რომ კარგი არაფერი არ წერია. აბსოლუტურად განსხვავებული წყაროები არ შეიძლება ერთი და იგივეს გვიყვებოდნენ. 99%-ის სიზუსტით ვიცი რა წერია ამ შეთანხმებაში. მარტო ამ დოკუმენტის გამო არა, ყველა იმ ქმედების გამო მოხდა ეს უბედურება, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით. ძალიან მკვეთრ განცხადებებზე გადავედით, ამას ემატება ჯ. ქ-ს განცხადებები და ჩვენებები ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს თ. ბ-ს, გ. ვ-ძის და გ. უ-ს მიერ ჯ. ქ-ს მისამართით გაკე-

თებულის გაცხადებები“;

24. 2013 წლის 18 ივლისს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, რომლებმაც გააშუქა შპს „რ. ფ-ს“ მუშა-მოსამსახურეთა აქცია, სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა გააკეთა შემდეგი განცხადება: „დღეს, ი. გ-ქემ და მისმა გუნდმა ... ქარხნის თანამშრომლები აიძულა გასულიყვენ და მცდარი ინფორმაცია მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის. გასაკვირი არაფერია, იძულება მათი ხელწერაა, ასე აიძულებდნენ ამ ადამიანებს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების წინ ხმა ნაციონალური მოძრაობისთვის მიეცათ. მათ დღეს იყენებენ რათა მათი მეშვეობით დაამანტაჟონ სახელმწიფო, სასამართლო, საზოგადოება, ცდილობენ ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარის მოპარვის ფაქტი გადაფარონ! დიახ, ეს ყადაღა მათი კრიმინალური მაქინაციების შედეგია! ი. გ-ქემ და მისმა გუნდმა ბიუჯეტიდან 39 მილიონი მოიპარა და ახლა ასეთი მეთოდებით ცდილობს თავის გადაარჩენას, იარაღად კი ხალხს იყენებს“; იმავე საკითხზე, „რუსთავი 2-ის“ მეშვეობით ნ. ჯ-მა განაცხადა: „ი. გ-ძისა და მისი ჯგუფის დღევანდელი ქმედება უსუსური მცდელობაა სახელმწიფოს, საზოგადოების და სასამართლოს დაშინტაჟების. დღევანდელი მათი ქმედებით ისინი ცდილობენ ბიუჯეტიდან მოპარული 39 მილიონის თემის გადაფარვას, რომელიც სწორედ წილის გადაყიდვის მაქინაციებით შეძლეს“; პირველი არხის მეშვეობით ნ. ჯ-მა განაცხადა: „ჩვენი კომენტარი, როგორც ქ. ფ-ს დირექტორის, იქნება ასეთი: იძულება და ძალადობა საერთოდ ი. გ-ძის და მისი ჯგუფის ხელწერაა. დღესაც ადამიანები აიძულებს მცდარი ინფორმაცია მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის“;

25. საინფორმაციო საშუალება „პირველის“ მეშვეობით, 2013 წლის 25 ივლისს სს „ქ. ფ-ს“ დირექტორმა ნ. ჯ-მა შემდეგი განცხადება გაავრცელა: „საინტერესოა შპს „რ. ფ-ს“ წარმომადგენლები რატომ აძლევენ თავს უფლებას შეურაცხეონ სახელმწიფო, სასამართლო და ქართული საზოგადოება. იქნებ უმჯობესია საქმის განხილვისას რაიმე არგუმენტი წარმოადგინონ. კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვითხოვ ი. გ-ქემ და შპს „რ. ფ-ს“ წარმომადგენელმა განუმარტონ საზოგადოებას:

1. რა ქონებაში გაუცვალეს ტელეკომპანია „...“ მ. ს-შვილის ხელისუფლებას და რა გარიგებას მოაწერა ხელი ი. გ-ქემ და მ. ს-შვილმა 2011 წლის 6 ივლისს?

2. წინა ხელისუფლების მხარდაჭერით, წილის ამორალური გადაყიდვით როგორ მოიპარეს საქართველოს ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარი?

3. როდემდე უნდა აშინტაჟოს ი. გ-ქემ და მისმა გუნდმა ქარ-

თული სახელმწიფო, სასამართლო და საზოგადოება?!“

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შესაბამისად, იგი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კერძო პირია, რომლის მიმართ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას, უნდა შეფასდეს ამავე კანონის მე-13 მუხლის კონტექსტში. მითითებული ნორმით კი, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ) გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი; გ) იურიდიული პირის შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაცია ზიანს უნდა აყენებდეს მის საქმიან რეპუტაციას. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა მოიხმობს ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, რომელშიც გადმოცემულია „აზრის“ დეფინიცია და კანონმდებელი აზრის სტატუსის მატარებლად განიხილავს შეფასებით მსჯელობს, თვალსაზრისს, კომენტარს, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვას, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ,



ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე (*Lingens v. Austria*).

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას სადავო განცხადებების შეფასებით მსჯელობად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილთაგან უმრავლესი (№1-5; №7-8; №10; №12-13; №15-18; №20-21) წარმოადგენს მოპასუხეების დამოკიდებულებას მომხდარ უბედურ შემთხვევასთან, გადმოცემულია მათი შეფასებები, რაც სრულად ჯდება „აზრის“ კვალიფიკაციაში, რამდენადაც არ შე-

იცავს დადასტურებად ფაქტებს, რომელიც შეიძლება მტკიცებ-  
ბას დაუუქვემდებაროთ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფ-  
ლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი  
პუნქტის თანახმად კი, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილე-  
გიით, რაც მისი ავტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფ-  
ლების აბსოლუტური საფუძველია.

რაც შეეხება განცხადებათა დანარჩენ ნაწილს, ისინი შეიცა-  
ვენ როგორც „აზრის“, ისე „ფაქტის“ ელემენტებს, კერძოდ, „...-ის“  
სიუჟეტში (№6) საუბარია ფინანსურ მაქინაციებსა და ბიუჯეტი-  
დან თანხის მოპარვაზე, თუმცა ადრესატი არაა ერთმნიშვნელოვ-  
ნად იდენტიფიცირებული, არამედ საუბარია ზოგადად „... ქარხნის  
ამჟამინდელ მფლობელებზე“; 2013 წლის 26 ივნისს ტელეკომპა-  
ნია „...-ის“ ეთერში გავრცელებულ ინფორმაციაში (№9) ჟურნალის-  
ტი გადმოსცემს ჯ. კ-ს შეფასებით მსჯელობას, მის მოსაზრებას.  
ჟ. კ-ს ინტერვიუში კი გადმოცემულია რესპოდენტის ვარაუდი, მო-  
საზრება, სადაც კ-ი იმედს გამოთქვამს, რომ მომხდარი არ შერჩე-  
ბათ ბოროტმოქმედებს, თუ არიან ბოროტმოქმედები; „...-ზე“ გავ-  
რცელებული ინფორმაცია (№11), საკასაციო სასამართლოს შეფა-  
სებით, ასევე აზრის სტატუსის მატარებელია, ხოლო ჟურნალის-  
ტის მითითებაში, რომ კ-ი ადანაშაულებს კომპანიას, არ არის იდენ-  
ტიფიცირებული ადრესატი, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მო-  
სარჩელის მიმართ გავრცელებულ განცხადებად.

პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლე-  
ბის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნ-  
ქტზე, რომლის თანახმადაც, ცილისწამების თაობაზე სასამარ-  
თლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რო-  
მელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც  
მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებუ-  
ლი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს,  
რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული ის განცხადებები, სა-  
დაც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირე-  
ბული, არ შეიძლება შეფასდეს მისი საქმიანი რეპუტაციის შემ-  
ლახავი ცნობის გავრცელებად.

საკასაციო პალატა ასევე მოიხმობს ტელეკომპანია ...-ის  
ეთერში გავრცელებულ სს „ქ. ფ-ს“ ღირექტორ ნ. ჯ-ს განცხა-  
დებას (№19), სადაც გადმოცემულია ფაქტი, ასევე მოხსენიე-  
ბულია მოსარჩელე, თუმცა გამოთქმის კონტექსტის, ასევე ნ.  
ჯ-ს შემდგომი განცხადებების (№22; 23; 24; 25) შესწავლით დას-  
ტურდება განცხადების ადრესატი – ი. გ-ძე, მ. ს-შვილი, პ-შვი-  
ლის ოჯახი ... ამასთანავე, ამ განცხადებებში ასევე გადმოცე-  
მულია ფაქტები, რომელთაც საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს,

ვინაიდან განცხადებაში მითითებული პირები წინამდებარე დავაში მოსარჩელე მხარეს არ წარმოადგენენ, რაც შეეხება „...-ის“ მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა ჯ. კ-ს განცხადებას (№14), საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მასში გადმოცემულია ჟურნალისტის შეფასება, ამასთანავე, განცხადების ადრესატი არ არის მოსარჩელე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო გავრცელებული განცხადებებით მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის დამტკიცება, რაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შეზღუდვის ინიციატორს ეკისრებოდა. ამავე ნორმით კი, დადგენილია, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „რ. ფ. ს.“ მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

რაც შეეხება კასატორის მიერ 2015 წლის 22 იანვარს წარმოდგენილ №ა-170-15 განცხადებაზე დართულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, პალატა მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს მათ წარმომდგენს, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით დასტურდება მოპასუხეების მიერ გავრცელებული რიგი განცხადებების უკანონობა, ხოლო მათ დაგვიანებით წარმოდგენის მიზეზად უთითებს ამ გადაწყვეტილებების გამოტანის თარიღს. პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც განსაზღვრულია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალური ფარგლები და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „რ. ფ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორს დაუბრუნდეს 2015 წლის 22 იანვრის განცხადებაზე დართული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები 26 ფურცლად.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მორალური ზიანის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ას-962-920-2013

7 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ზ. ძლიერიშვილი,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების გადახდა, მორალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ს-ძემ და ზ. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს მოპასუხე შპს „H. T. C-ისა“ და ს. რ. ა. ჰ-ს მიმართ და მოითხოვეს შპს „H. T. C-ისათვის“ მოსარჩელე მ. ს-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 12 250 ლარის (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ერთი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაციის ჩათვლით), ზ. მ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 5 250 ლარის (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ერთი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაციის ჩათვლით) გადახდა, მოსარჩელების სასარგებლოდ

დაყოვნების ყოველ დღეზე თითოეულისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 %-ის ანაზღაურების დაკისრება 2012 წლის 25 ივნისიდან დაყოვნებული თანხის სრულ დაფარვამდე, ასევე ს. რ. ა. ჰ-სათვის მოსარჩელეთა საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული მორალური ზიანის – 60 000 ლარის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობა დაიწყო რესტორან „ზ-ს“ გახსნის დღიდან. მოსარჩელები 2 თვის გამოსაცდელი ვადით იყვნენ დაქირავებულნი. მათი ხელფასი შეადგენდა მ. ს-ძისთვის – 1 500 ლარს, ხოლო ზ. მ-შვილისათვის – 1 000 ლარს. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა განაპირობა შესრულებული სამუშაოს არადამაკმაყოფილებელმა შედეგმა. მოსარჩელეთა საქმიანი რეპუტაცია კი მოპასუხეს არ შეუღალახავს. მათ ანაზღაურებული აქვთ ორი თვის ხელფასი, ჯამში – 5 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ს-ძისა და ზ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „H. T. C.-ს“ მ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 8750 ლარის, შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული კომპენსაციის – 3500 ლარის, 2012 წლის 25 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაყოვნების ყოველ დღეზე დაყოვნებული თანხის – 12 250 ლარის 0,07 პროცენტის გადახდა, შპს „H. T. C.-ს“ ზ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 3 750 ლარის, შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული კომპენსაციის – 1 500 ლარის, 2012 წლის 25 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაყოვნების ყოველ დღეზე დაყოვნებული თანხის – 5 250 ლარის 0,07 პროცენტის გადახდა, ს. რ. ა. ჰ-ს მ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 9 000 ლარის, ზ. მ-შვილის სასარგებლოდ კი 3000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

შპს „H. T. C.“ დაფუძნდა 2011 წელს ეგვიპტის მოქალაქეების მიერ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს წარმოადგენენ რ. ა. ჰ. მ-რ (რომელიც ამავე დროს არის

შპს-ს დირექტორი და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი), ს. რ. ა. ჰ-ბ (მოპასუხე) და მ. ბ. თ. ბ-რ. შპს „H. T. C.“ უფლებამოსილია, განახორციელოს სარესტორნო საქმიანობა.

შპს „H. T. C.-ის“ დირექტორი და პარტნიორი რ. ა. ჰ. მ-რ და კომპანიის პარტნიორი, მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ი არიან მამა-შვილი.

მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ი არის მამის, მოპასუხე კომპანიის დირექტორის მინდობილი პირი. ამ მხრივ, საყურადღებოა ასევე მოსარჩელების წარმომადგენლის მიმართ რ. ა. ჰ-ს მიერ გაგზავნილი ელექტრონილი წერილი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ რესტორნის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მასთან ერთად მონაწილეობდა მისი შვილი. ასევე, მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც განხორციელდა ს. რ. ა. ჰ-ს მიერ, მოიწონა რ. ა. ჰ-მა.

პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავოდ არ გამხდარა, რომ მოსარჩელების და მოპასუხე კომპანიის მხრიდან, მამა-შვილ ს. რ. ა. ჰ-სა და რ. ა. ჰ-ს საქმიანი შეხვედრა შედგა საერთო ნაცნობების მეშვეობით 2012 წლის თებერვლის ბოლოს. წინადადებების, მოსაზრებების, მიზნების, პოზიციების ურთიერთგაცნობისა და შეჯერების შემდეგ, მოპასუხე კომპანიის უფლებამოსილი პირები გაეცნენ მოსარჩელების მიერ წარდგენილ ბიზნეს გეგმას, რომელიც ეხებოდა რესტორნის მომავალ საქმიანობას. მოპასუხე კომპანიის მფლობელებმა მოიწონეს მოსარჩელეთა მიერ შემუშავებული ბიზნესგეგმა.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ 2012 წლის 5 მარტს, მოპასუხე შპს-ს დირექტორს და მოსარჩელებს შორის ზეპირი ფორმით, განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება. შეთანხმების დადებას, ასევე, ესწრებოდა შპს-ს ერთ-ერთი პარტნიორისა და კომპანიის დირექტორის მინდობილი პირი, მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ი.

მოსარჩელები შრომით საქმიანობას ფაქტობრივად შეუდგნენ მოპასუხე კომპანიასთან შეთანხმების მეორე დღეს – 2012 წლის 6 მარტს.

დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში, მიმდინარეობდა რესტორნის რემონტი. სარემონტო სამუშაოები განხორციელდა მოსარჩელების მუდმივი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ელექტრონიული წერილებით, რომლითაც მ. ს-ძე ს. რ. ჰ-ს აცნობებს რესტორნის გახსნამდე საჭირო ხარჯების თაობაზე.

2012 წლის მარტში მოსარჩევეების შრომით საქმიანობას ადასტურებს 2012 წლის 23 მარტს ზ. მ-შვილის მიერ ფართის მესაკუთრისათვის მოპასუხე კომპანიისაგან იჯარის საფასურის – 2 428.50 ლარის გადახდის სალაროს შემოსავლის ორდერი. საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ პარალელურად მიმდინარეობდა კადრების მოძიება (მათთან გასაუბრება) და შერჩევა, მენიუს შედგენა (საგულისხმოა ელექტრონული მიმონერა სარესტორნო-საბუღალტრო პროგრამის „...-ის“ მფლობელთან, სადისტრიბუციო კომპანიებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში არსებობდა ურთიერთობა მხოლოდ იდეის ფარგლებში, წინადადების გაცნობის დონეზე.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მოსარჩევე მ. ს-ძის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 3 500 ლარით, ზ. მ-შვილის – 1 500 ლარით (ჯამში – 5 000 ლარით). მ. ს-ძის და ზ. მ-შვილის მიერ ყოველთვიური შრომის ანაზღაურების სახით 5 000 ლარით განსაზღვრაზე უთითებს რ. ა. ჰ-ს მიერ მოსარჩევეთა წარმომადგენლის სახელზე გაგზავნილი ელექტრონული წერილიც. კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ ზ. მ-შვილი და მ. ს-ძე ანაზღაურებას ითხოვდნენ 5 000 ლარის ოდენობით. როგორც წერილითვე ირკვევა, აღნიშნული ოდენობა კომპანიამ „გადამეტებულ თანხად“ მიიჩნია, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი დათანხმდა აემუშავებინა ეს ადგილი გამოსაცდელი ვადით, ერთი თვით. ამდენად, თავად მოპასუხე ელექტრონული მიმონერაში ადასტურებს მოსარჩევეთა შრომითი ანაზღაურების 5 000 ლარით განსაზღვრას, რაც შეეხება გამოსაცდელ ვადას, შრომითი ურთიერთობის გამოსაცდელი ვადით დაწყების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ახსნა-განმარტების ეტაპზე მოპასუხე მხარემ საერთოდ უარყო თავისი მითითება შრომითი ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადების თაობაზე.

ელექტრონულ წერილებთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან

შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი ელექტრონული მიმონერის მასალები შეიცავს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე ინფორმაციას. ასეთ დოკუმენტებს კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, გააჩნიათ მტკიცებულებითი ძალა.

სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩელები არიან მეუღლეები. მ. ს-ძე არის საქართველოში ცნობილი ტელესახე, ტელენამყვანი, ტელეგადაცემათა და სატელევიზიო პროექტის ავტორი. აქვს სხვადასხვა ტელეკომპანიაში მენეჯერად მუშაობის გამოცდილება. ზ. მ-შვილი არის ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი, მუშაობდა სხვადასხვა მუსიკალური პროექტების თუ სტუდიების მენეჯერად და პროდიუსერად. აქვს სარესტორნო ბიზნესში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება. გავლილი აქვს შოუბიზნესის მენეჯმენტის კურსები ლოიოლას უნივერსიტეტში (ნიუ ორლეანი, აშშ).

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელებს შრომითი ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ ჯამში 5 000 ლარი. მოსარჩელე მარინა სალუქვაძის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრებოდა 3 500 ლარით, ხოლო ზ. მ-შვილისა – 1 500 ლარით, ამდენად, მოსარჩელებს მიღებული აქვთ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

პალატამ ასევე დაადგინა და სადავოდ არ გამხდარა, რომ რესტორანი გაიხსნა 2012 წლის 14 მაისს. ჩატარდა რესტორნის გახსნასთან დაკავშირებული წვეულება მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. რესტორნის პირველი ერთი თვის ნავაჭრმა შეადგინა 44 800.2 ლარი.

2012 წლის 18 ივნისს მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-მა მოსარჩელებს განუცხადა, რომ აღარ სურს მათთან თანამშრომლობა და მოითხოვა დაეტოვებინათ რესტორანი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად გააჩნიათ თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელი საპროცესო მოვალეობები, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით. ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სა-



თანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა მოსარჩელეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, ან არაჯეროვან შესრულებას.

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ რესტორან „ზ-ში“ მომხდარ უთანხმოებასთან დაკავშირებით მედიით გავრცელდა სიუჟეტი, კერძოდ, პალიტრა ტვ-რადიოს ტელეეთერით გადაიკა ვიდეო ინტერვიუ ს. რ. ა. ჰ-თან, როგორც „ზ-ს“ მფლობელთან. მისი განმარტებით, ბიზნეს-გეგმა არ იყო შესრულებული, რამაც განაპირობა მოსარჩელების დათხოვნა სამსახურიდან. ინტერვიუს დროს კადრში ჩანს რესტორანში დაფაზე ცარციტ ქართულ ენაზე შესრულებული უზამსობის შემცველი წარწერა ეგვიპტელების მისამართით, რომელზეც მოპასუხე მიუთითებს, როგორც მოსარჩელების ნამოქმედარზე. მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ დათხოვნის შემდეგ მოსარჩელებმა ეს ადგილი ფაქტობრივად გაანადგურეს, ყვავილებიც კი მოგლიჯეს და მიწაზე დაყარეს.

ტელეკომპანია „მეესტროს“ გადაცემა „ახალ ამბებში“ მომზადებულ სიუჟეტში წარდგენილ იქნა ორივე მხარის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით. მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ი (იგივე ს. ჰ-ი) განმარტავს, რომ მოსარჩელების გათავისუფლება მოხდა მათ მიერ ბიზნესგეგმის შეუსრულებლობის გამო, ამასთან, მან გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მოსარჩელები საქმის დეტალებში არ ახედებდნენ, არ აძლევდნენ გადანყვეტილების მიღების უფლებას.

მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით შეილახა მოსარჩელების საქმიანი რეპუტაცია. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მისი ზეგავლენით, რამდენიმე რესტორანმა თავი შეიკავა მოსარჩელებთან საქმიანი ურთიერთობისაგან და უარყო მათი შეთავაზებები.

მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგების გათვალისწინებით, თითოეული მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის მოცულობა განსხვავებულია, შესაბამისად, სასამართლო მიყენებული მორალური ზიანის გონივრულ ოდენობად მიიჩნევს მ. ს-ქესთან მიმართებით – 9 000 ლარს, ხოლო ზ. მ-შვილთან მიმართებით – 3 000 ლარს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის 12

000 ლარით განსაზღვრა გონივრულია. რაც შეეხება მორალური ზიანის მოსარჩელეთა შორის პროპორციულად გადანაწილების საკითხს, აღნიშნული მათ (თავად მოსარჩელებს) სადავოდ არ გაუხდიათ.

შრომითი ურთიერთობის დაწყების და დასრულების თარიღების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელებს მიღებული აქვთ მხოლოდ ერთი თვის შრომის ანაზღაურება, დადგენილია, რომ მოპასუხე კომპანიას თითოეული მოსარჩელისათვის გადასახდელი აქვს 2,5 თვის შრომის ანაზღაურება მ. ს-ისათვის – 8 750 ლარის, ხოლო ზ. მ-შვილისათვის – 3 750 ლარის ოდენობით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის საფუძველზე, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლით, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით, მე-6 მუხლით, 31-ე მუხლის პირველი ნაწილით, 6.1. მუხლით და მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებობდა შრომითი ურთიერთობა. დამსაქმებელმა არ აანაზღაურა 2,5 თვის შრომის ანაზღაურება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად დააკისრა დამსაქმებელ კომპანიას შრომის ანაზღაურების სახით მ. ს-ის სასარგებლოდ 8750 ლარის, ხოლო ზ. მ-შვილის სასარგებლოდ – 3 750 ლარის გადახდა.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, 38-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილის, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა მოსარჩელეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობას, ან არაჯეროვან შესრულებას, ამდენად, დგინდება, რომ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და მოსარჩელების მიმართ ვერ გავრცელდება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მუხლის დანაწესი. მოპასუხე კომპანია (დამსაქმებელი) ვალდე-

ბულია, მოსარჩელებს გადაუხადოს შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული, არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

მითითებული სამართლებრივი საფუძვლით შპს „H. T. C.-ს“ მ. ს-ძისა და ზ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული კომპენსაციის გადახდა ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

შრომის კოდექსის 34-ე მუხლის, 31-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხე კომპანიას მართებულად დაეკისრა მ. ს-ძის სასარგებლოდ 12 250 ლარის დაყოვნების ყოველ დღეზე დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის, ზ. მ-შვილის სასარგებლოდ კი, 5 250 ლარის დაყოვნების ყოველ დღეზე დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის გადახდა 2012 წლის 25 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის მეორე, მეექვსე ნაწილების, „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი განცხადებები (ინფორმაცია) ინტერვიუს მიცემით გაავრცელა მოპასუხე ს. ჰ-მა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთმეჯერებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ინტერვიუებით მოპასუხემ მოსარჩელების მიმართ გაავრცელა ცილისწამებლური ფაქტები (და უხამსობის შემცველი განცხადებები). საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ

დადასტურდა ინტერვიუებში მოყვანილი გარემოებები და ფაქტები. მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-მა მოსარჩევეების, როგორც პროფესიონალის (ასევე, როგორც პიროვნების) შესახებ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდა. მოპასუხის მიერ ცილისმნამებლური ფაქტების გავრცელებით მოსარჩევეები იქნენ შეურაცხყოფილი, საზოგადოების თვალში შეილახა მათი საქმიანი რეპუტაცია, რითაც მათ მიადგათ მორალური ზიანი. ვინაიდან მოპასუხე ს. ჰ-მა გაავრცელა ცილისმნამებლური (უხამსობის შემცველი) განცხადებები, არსებობს მისი ბრალეულობა.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მორალური ზიანის სულ 12 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა სამართლიანი და გონივრულია.

სააპელაციო პალატის განჩინება ს. რ. ა. ჰ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მორალური ზიანის – 9000 ლარის მ. ს-ძისა და 3000 ლარის ზ. მ-შვილის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩევეებისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩევეთა საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევეთა საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა.

საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოპასუხესთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე და რესტორან „ზ-ს“ მართვამდე მ. ს-ძეს და ზ. მ-შვილს საქართველოში არ ჰქონიათ არავითარი ცნობადობა და საქმიანი რეპუტაცია სარესტორნო საკლუბო ბიზნესის თვალსაზრისით. მ. ს-ძე ცნობილი იყო ჟურნალისტური და ტელემენეჯმენტის კუთხით, ხოლო ზ. მ-შვილი, როგორც მაღალი დონის პიანისტი და მუსიკოსი. საქართველოს საზოგადოებაში მათ სწორედ ამ სფეროში ჰქონდათ და აქვთ დამსახურებული ავტორიტეტი და კარგი რეპუტაცია.

რაც შეეხება სარესტორნო საქმეს, მოსარჩევეებს ამ კუთხით საქართველოში 2012 წლის თებერვლამდე არავითარი ცნობადობა და საქმიანი რეპუტაცია არ გააჩნიათ. მათ სწორედ კომპანია „ჰ-სთან“ საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ გა-

დანყვიტეს სარესტორნო სფეროში საქმიანობა და ამავე წლის მარტიდან შეუდგნენ რესტორან „ზ-ს“ მართვას, რასაც ახორციელებდნენ არასრული 4 თვის განმავლობაში – 2012 წლის 12 ივნისამდე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. რ. ა. ჰ-მა გადაწყვიტა რა საქმიანი ურთიერთობა მოსარჩელებთან, ვიდეო ინტერვიუში აღნიშნა მხოლოდ ის, რომ მ. ს-ქემ და ზ. მ-შვილმა ვერ შეასრულეს ბიზნესგეგმა, რის გამოც დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდან.

აღნიშნული განცხადებით ს. ჰ-ს არ უთქვამს, რომ ისინი ზოგადად არიან ცუდი მენეჯერები და ასევე არ შეხებია მათ იმ გამოცდილებას, რაც უდავოა. განცხადების კონტექსტიდან და იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელშიც გაკეთდა სადავო განცხადება, იგულისხმებოდა მხოლოდ ის, რომ მოსარჩელებმა ვერ შეასრულეს ბიზნესგეგმა კონკრეტულ რესტორანში, რაზეც მას გააჩნია შესაბამისი არგუმენტები.

რაც შეეხება უხამსობის შემცველ განცხადებას, რომელიც ჩანდა რესტორანში ვიდეო ინტერვიუს დროს, ს. ჰ-მა მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს ნარწერა შესაძლოა ყოფილიყო მოსარჩელეთა ნამოქმედარი და მას მოსარჩელებთან განვითარებული კონფლიქტის ფონზე ემოციურ დონეზე ჰქონდა ამ ვარაუდის საფუძველი. ამდენად, მ. ჰ-ს აღნიშნული გამონათქვამი სრულად თავსდება კანონით დაცულ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და იგი არ შეიძლება, შეფასდეს როგორც ცილისწამება.

შესაბამისად, ამ კუთხითაც ს. ჰ-სთვის მორალური ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების დაკისრება საფუძველს მოკლებულია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ს. რ. ა. ჰ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას გამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, და-

ვის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

შპს „H. T. C.“ დაფუძნდა 2011 წელს ეგვიპტის მოქალაქეების მიერ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს წარმოადგენენ რ. ა. ჰ. მ-რ (რომელიც ამავე დროს არის შპს-ს დირექტორი და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი), ს. რ. ა. ჰ-ბ (მოპასუხე) და მ. ბ. თ. ბ-რ.

მოსარჩელებს და შპს „H. T. C.“-ის წარმომადგენლებს შორის 2012 წლის თებერვალში შედგა საქმიანი შეხვედრა, სადაც შპს „H. T. C.“-ის პარტნიორებმა მოიწონეს მოსარჩელეთა მიერ შემუშავებული ბიზნეს გეგმა.

2012 წლის 5 მარტს, შპს „H. T. C.“-ის დირექტორს და მოსარჩელებს შორის ზეპირი ფორმით, განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება. მოსარჩელები შრომით საქმიანობას ფაქტიურად შეუდგნენ მოპასუხე კომპანიასთან შეთანხმების მეორე დღეს, 2012 წლის 6 მარტს.

რესტორანი გაიხსნა 2012 წლის 14 მაისს. ჩატარდა რესტორნის გახსნასთან დაკავშირებული წვეულება, მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. რესტორნის პირველი ერთი თვის ნავაჭრმა შეადგინა 44800.2 ლარი.

2012 წლის 18 ივნისს მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-მა მოსარჩელებს განუცხადა, რომ აღარ სურს მათთან თანამშრომლობა და მოითხოვა დაეტოვებინათ რესტორანი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

მხარეებს შორის მომხდარ უთანხმოებასთან დაკავშირებით, მედიით გავრცელდა სიუჟეტი, კერძოდ, პალიტრა ტვ-რადიოს ტელეეთერით გადაიკა ვიდეო ინტერვიუ ს. რ. ა. ჰ-თან, როგორც რესტორან „ზ-ს“ მფლობელთან. მისი განმარტებით, „ბიზნეს-გეგმა არ იყო შესრულებული, რამაც განაპირობა მოსარჩელების დათხოვნა სამსახურიდან“. ინტერვიუს დროს კადრში ჩანს, რესტორანში, დაფაზე ცარციტ ქართულ ენაზე შესრულებული უხამსობის შემცველი წარწერა ეგვიპტელების მისამართით, რომელზეც მოპასუხე მიუთითებს, როგორც მოსარჩელების ნამოქმედარზე. მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ „დათხოვნის შემდეგ, მოსარჩელებმა ეს ადგილი ფაქტიურად გაანადგურეს, ყვავილებიც კი მოგლიჯეს და მიწაზე დაყარეს.“. ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ახალ ამბებში“ მომზადებულ სიუჟეტი წარმოდგენილი იქნა ორივე მხარის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით. მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ი (იგივე ს. ჰ-ი) განმარტავს, რომ „მოსარჩელების გათავისუფლება მოხდა მათ მიერ

ბიზნეს გეგმის შეუსრულებლობის გამო, ამასთან, მან გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მოსარჩელები საქმის დეტალებში არ ახედებდნენ, არ აძლევდნენ გადანყვებილების მიღების უფლებას“.

მოსარჩელეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას ადგილი არ ჰქონია.

მოპასუხე ს. რ. ა. ჰ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით შეილახა მოსარჩელების საქმიანი რეპუტაცია, კერძოდ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მისი ზეგავლენით, რამდენიმე რესტორანმა თავი შეიკავა მოსარჩელებთან საქმიანი ურთიერთობისაგან და უარყო მათი შეთავაზებები.

მოსარჩელები არიან მეუღლეები. მ. ს-ძე არის საქართველოში ცნობილი ტელესახე, ტელენამყვანი, ტელეგადაცემათა და სატელევიზიო პროექტის ავტორი. აქვს სხვადასხვა ტელეკომპანიაში მენეჯერად მუშაობის გამოცდილება. ზ. მ-შვილი არის ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი, მუშაობდა სხვადასხვა მუსიკალური პროექტების თუ სტუდიების მენეჯერად და პროდიუსერად. აქვს სარესტორნო ბიზნესში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება. გავლილი აქვს შოუბიზნესის მენეჯმენტის კურსები ლოიოლას უნივერსიტეტში (ნიუ ორლეანი, აშშ).

მოპასუხე ცილისმწამებლური (უხამსობის შემცველი) განცხადებების გავრცელებისას მოქმედებდა ბრალეულად.

სასამართლომ მორალური ზიანის გონივრულ ოდენობად მ. ს-სთან მიმართებაში დაადგინა 9000 ლარი, ხოლო ზ. მ-შვილთან მიმართებაში – 3000 ლარი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად მართებულად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, ამასთან, სწორად განახორციელა ნორმათა ინტერპრეტირება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქ-

მიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 18.2 მუხლის ჩანაწერი – „კანონით დადგენილი წესით“ გულისხმობს, როგორც საკუთრივ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალურ კანონს, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან. აღნიშნულ კანონთან მიმართებაში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, მასში მოცემულია, როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი, ასევე პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ნორმები (მაგ. 4.1. მუხლის მიხედვით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით).

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ) გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი; გ) გავრცელებული ინფორმაცია ზიანს უნდა აყენებდეს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

ზემოთ ვახსენეთ, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას. მართალია საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას აზრისა ფაქტის გამიჯვნის პრობლემასთან მიმართებაში, თუმცა, ვინაიდან ერთი და მეორეც სამართლის საკითხს განეკუთვნება, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმეზე დადგენილი და მასმედით გავრცელებული მოპასუხის გამონათქვამები წარმოადგენენ „ზრებს“ თუ „ფაქტებს“. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის სასარგებლო იქნება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოშველიება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი,



ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის

დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს (დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები, სადაც ის აცხადებს, რომ: „ბიზნეს-გეგმა არ იყო შესრულებული, რამაც განაპირობა მოსარჩელების დათხოვნა სამსახურიდან“, „დათხოვნის შემდეგ, მოსარჩელებმა ეს ადგილი ფაქტიურად გაანადგურეს, ყვავილებიც კი მოგლიჯეს და მიწაზე დაყარეს“, „მოსარჩელების გათავისუფლება მოხდა მათ მიერ ბიზნეს გეგმის შეუსრულებლობის გამო“, „მოსარჩელები საქმის დეტალებში არ ახედებდნენ, არ აძლევდნენ გადანყვეტილების მიღების უფლებას“, არ შეიძლება განვიხილოთ შეფასებით მსჯელობად, თვალსაზრისად, კომენტარად, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვად, რომელიც ასახავს მოპასუხის დამოკიდებულებას მოსარჩელეთა მიმართ. ყველა ჩამოთვლილი გამონათქვამი მხარეთა შორის წარსულში არსებული ურთიერთობის კონტექსტიდან გამომდინარე, ფაქტების შემცველია, რომელთა იდენტიფიცირება და ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია, რომლის თანახმადაც, პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დამდგარიყო, თუ მოპასუხე იტყოდა, რომ მოსარჩელები არიან „ცუდი მენეჯერები“. საკასაციო პალატის შეფასებით, მსგავსი გამონათქვამის გავრცელების შემთხვევაში, მას ვერ მივაკუთვნებდით ფაქტის კატეგორიას, ვინაიდან ასეთი გამონათქვამი პიროვნებისადმი (მენეჯერისადმი) სუბიექტურ და-

მოკიდებულებას (შეფასებას) ასახავს. ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია, დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით არ დადასტურდა მოსარჩელეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი. საკასაციო საჩივარი არც ამ კუთხით შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელები მიჩნეულები არიან კერძო პირებად და სასამართლომ მათ მიმართ კერძო პირის ცილისწამების სტანდარტით იხელმძღვანელა, რაც საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მოსარჩელეთა საქმიანი რეპუტაციის შელახვას, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებებით, რომ მოპასუხესთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე და რესტორნის მართვაში აღებაამდე მ. ს-ძეს და ზ. მ-შვილს საქართველოში არ ჰქონიათ არავითარი ცნობადობა და საქმიანი რეპუტაცია სარესტორნო, საკულტო ბიზნესის თვალსაზრისით. კასატორის ამ მოსაზრების გასაბიძგებლად, საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებზე, რომელთა თანახმადაც, მ. ს-ძეს, გარდა იმისა, რომ არის საქართველოში ცნობილი ტელესახე, ტელენამყვანი, ტელეგადაცემათა და სატელევიზიო პროექტის ავტორი, აქვს სხვადასხვა ტელეკომპანიაში მენეჯერად მუშაობის გამოცდილება, ხოლო ზ. მ-შვილს აქვს სხვადასხვა მუსიკალური პროექტების თუ სტუდიების მენეჯერად და პროდიუსერად, ასევე სარესტორნო ბიზნესში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება, ასევე გავლილი აქვს შოუბიზნესის მენეჯმენტის კურსები ლოიოლას უნივერსიტეტში (ნიუ ორლეანი, აშშ). საკასაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელეთა პროფესიული მოღვაწეობის განვლილი ეტაპები განაპირობებენ მათ ცნობადობას და პროფესიული საქმიანობის პერსპექტივებს. მენეჯერული უნარები სწორედ აუცილებელი კრიტერიუმია ამა თუ იმ კომპანიის მართვის პოზიციის დასაკავებლად. სასამართლოს მოსაზრებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსარჩელეთა ამგვარმა თვისებებმა განაპირობა შპს „H. T. C.“-ის წარმომადგენელთა დათანხმება მოსარჩელებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაზე. პალატის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს სარჩელეზე დართული მტკიცებულებები, რომელთა შეფასებითაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, რამდენიმე რესტო-

რანმა თავი შეიკავა მოსარჩელებთან საქმიანი ურთიერთობისაგან და უარყო მათი შეთავაზებები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში რესტორნების მეპატრონეები დაელოდნენ დავის გადანყვეტას.

სააკუელაციო სასამართლო მ. ს-ისა და ზ. მ-შვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანის რეპუტაციის შელახვად მიიჩნევს აგრეთვე კადრში ნაჩვენებ დაფაზე ცარცით, ქართულ ენაზე შესრულებული უხამსობის შემცველი ნარწერის ავტორებად მოსარჩელეთა მოხსენიებას. უხამსობის დეფინიცია მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

უხამსობის შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე – „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (7 დეკემბერი, 1976 წელი) არსებული განმარტება, რომელშიც ახსნილია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი დაცულობის საერთო ფარგლები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულის მსგავსად განმარტა ასევე საქმეზე – (იხ. ასევე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“). მითითებულ გადანყვეტილებებში აღნიშნულია, რომ გამოხატვის თავისუფლება, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შეადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ის გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობილად მიიღება ან განიხილება როგორც უვნებელი ან როგორც ინდიფერენტიზმის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხყოფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს. ეს არის პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და საღი აზროვნების არსებითი ნიშანი, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: რადგან დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაზრისის მოთხოვნების გარეშე, ამიტომ, სახელმწიფომ, ისე როგორც ხალხმაც უნდა აიტანოს მათთვის შეურაც-

ხმყოფელი, გამაოგნებელი თუ შემამოფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი შეზღუდვა ლოგიკურად მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი. (№ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტზე, რომელიც დადგენილია საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, კერძოდ იმგვარ ჩარევას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადანყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასამუშავები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ვიწროა, მაგრამ კრიტიკის ვიწრო ფარგლების აღიარება, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ ბალანსის სამართლიანობაზე მოქმედი სხვა ფაქტორ-

რები მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, თუ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და იგი საჯარო დისკუსიის კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული, ანდა კონფლიქტში პრესის თავისუფლებაც მონაწილეობს, ეს ფაქტორები სერიოზულად გაართულებენ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთებას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ საქმეთა დიდი ნაწილი, სადაც სადავოდ იქცა კერძო პირთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების დაცულობა, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხებოდა, შესაბამისად, ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრისას გათვალისწინებას მოითხოვდა საზოგადოების უფლება, მიეღო მასზე ინფორმაცია. ამ ფაქტორების არსებობით, კრიტიკის ვიწრო ფარგლების მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში სასწორი გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ იხრება. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე დებატების კონტექსტში კერძო პირის მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია ცილისწამებად საქმეზე „ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ“ (29 თებერვალი, 2000 წელი).

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია და არც საკასაციო საჩივარი შეიცავს ამ თვალსაზრისით პრეტენზიას იმის შესახებ, რომ გავრცელებული განცხადება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდა ან ინფორმაცია გავრცელდა საჯარო დისკუსიის ფარგლებში. ამდენად კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, გააქარწყლებდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას. შესაბამისად, კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**დაადგინა:**

1. ს. რ. ა. ჰ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. იურიდიული პირები

### სანარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

#### ბანკინება

№516-489-2014

14 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სანარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში  
ცვლილებების შეტანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „კორპორაცია ...“ სარჩელი აღძრა სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ და მოითხოვა სს „კორპორაცია ...“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა და გენერალურ დირექტორად ს. დ-ს დარეგისტრირება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 17 აპრილს პ. ფ-ძემ, როგორც სს „კორპორაცია ...“ წარმომადგენელმა, მიმართა მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურს კორპორაციის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით. 2013 წლის 17 აპრილის ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებით განმცხადებელს ეცნობა, რომ 2011 წლის 13 მაისის წესდების მე-6 მუხლის თანახმად, დირექტორთა საბჭო წარმომადგენს სს „კორპორაცია ...“ მმართველობის ორგანოს და წარდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება დირექტორთა საბჭოს არცერთი წევრის ნება, იყვნენ დირექტორები. შესაბამისად, განმცხადებელს დაევალა, სათანადო წესით დამონმებული და კანონთან შესაბამისობაში მოყვანილი სადამფუძნებლო დოკუმენტაციის წარდგენა. 2013 წლის 18 აპრილს პ. ფ-ძემ სარეგისტრაციო წარმოებაზე დამატებით წარადგინა ს. დ-ის განცხადება სუბიექტის დირექტორად დანიშვნის თანხმობით და პ. ფ-ძის პირადი განცხადება, რომელშიც მიეთითა, რომ ითხოვს მხოლოდ გენერალური დირექტორის ცვლილების რეგისტრაციას. მან 2013 წლის 24 აპრილს დამატებით კიდევ წარადგინა პირადი განცხადება სარეგისტრაციო წარმოებაზე ახსნა-განმარტების სა-



ხით. 2013 წლის 21 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო №130401153/6 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომლის თანახმადაც, შეწყდა სს „კორპორაცია ...“ მიერ ინიცირებული სარეგისტრაციო წარმოება, რითაც მოთხოვნილი იყო მის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს, განახლდეს სარეგისტრაციო წარმოება და განხორციელდეს ნავსადგურის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების რეგისტრაცია, კერძოდ, მოხდეს ს. დ-ის რეგისტრაცია სს „კორპორაცია ...“ დირექტორად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „კორპორაცია ...“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა სს „კორპორაცია ...“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა და სს „კორპორაცია ...“ გენერალურ დირექტორად ს. დ-ის დარეგისტრირება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 27.12.2004 წელს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე (წარმომადგენლობაზე) უფლებამოსილ პირად ამონაწერში მითითებულია ჯ. ფ. ქ-ი;

16.04.2013 წელს სს „კორპორაცია ...“ აქციონერთა მეორე (გადადებული) საერთო კრების ოქმის თანახმად, დღის წესრიგიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის, პირადი განცხადების საფუძველზე ჯ. ფ-ს ქროულის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აქციონერთა 80% გადაწყვე-

ტილებით გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ს. დ-ს დანიშვნის თაობაზე;

სს „კორპორაცია ...“ წესდების 5.7 მუხლის შესაბამისად, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ყველა აქციონერი. თუ საერთო კრების დადგენილ დროს კვორუმის მიღწევა არ მოხერხდა, ასეთ შემთხვევაში საერთო კრება ხელახლა ჩატარდება პირველი დაგეგმილი კრების შემდეგ არა უადრეს 20 სამუშაო დღისა და განმეორებით მოწვეულ კრებაზე კვორუმი ჩაითვალება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია აქციათა უმრავლესობის მფლობელი აქციონერები;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კორპორაცია „...“ 16.04.2013 წლის კრების ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის თაობაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ ნავსადგურის წესდების მე-6 მუხლის თანახმად, დირექტორთა საბჭო წარმოადგენდა სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოს, თუმცა წარდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდებოდა დირექტორთა საბჭოს არცერთი წევრის ნება, ყოფილიყვნენ დირექტორები. საჯარო რეესტრს წარედგინა სტინ დევიდსენის თანხმობა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ასევე განმარტება, რომ წესდების 6.7 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ გენერალური დირექტორი წარმოადგენდა „ნ-ს“ მესამე პირებთან ურთიერთობაში, დირექტორთა საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და არ ითხოვდნენ მათ რეგისტრაციას;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 21.05.2013 წლის გადაწყვეტილებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემ;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.09.2013 წლის გადაწყვეტილებით სს „კორპორაცია ...“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე უთხრა უარი იმ საფუძველით, რომ კანონით დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

13.05.2011 წლის აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული სს „კორპორაცია ...“ წესდების 6.5 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებას ეყოლება გენერალური დირექტორი, რომელსაც წარადგენს APMT და დანიშნავს და გაანთავისუფლებს საერთო კრება („გენერა-

ლური დირექტორი“). თითოეული აქციონერი ყოველთვის გამოიყენებს ხმის უფლებას ისე, რათა უზრუნველყოს წინამდებარე 6.5 მუხლის შესაბამისად წარდგენილი გენერალური დირექტორის არჩევა ან შეცვლა. 6.7. მუხლიდან გამომდინარე გენერალური დირექტორს გააჩნია წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში;

სს „კორპორაცია ...“ წესდების 6.2. პუნქტით, დირექტორთა საბჭო შედგება არა უმეტეს ხუთი დირექტორისაგან. წესდება არ შეიცავს მითითებას მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორთა საბჭოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. ამასთან, წესდებით ნათლად არის გამოვლენილი ნება იმის შესახებ, რომ დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს ენიჭება მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება (წესდების 6.7 მუხლი). საქმეში წარმოდგენილია 13.05.2013 წლის აქციონერთა საერთო კრების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ წესდების დამტკიცების შემდგომ, კრებამ წესდების შესაბამისად დანიშნა დირექტორთა საბჭოს წევრები (დირექტორები). ოქმში აღნიშნულია, რომ ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად დირექტორთა საბჭოს წევრები არ ექვემდებარებიან სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას;

პალატამ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე, მე-9 მუხლებით, მე-5 მუხლის მე-12 პუნქტით და აღნიშნა, რომ სს „კორპორაცია ...“ 16.04.2013 წლის მეორე საერთო კრებაზე აქციონერთა 80%-ის მხარდაჭერით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის, პირადი განცხადების საფუძველზე ჯ. ფ. ქ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მის ნაცვლად ს. დ-ის დანიშვნის თაობაზე. სს „კორპორაცია ...“ წესდებიდან გამომდინარე არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო და მისი ფუნქციები გადანაწილებულია დირექტორთა საბჭოზე. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ სს „კორპორაცია ...“ წესდების მე-6 მუხლი სანარმოს ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად უთითებს გენერალურ დირექტორს და არა დირექტორთა საბჭოს, რომელიც საჯარო რეესტრში არაა რეგისტრირებული და მათი რეგისტრაციის შესახებ არც მოთხოვნა ყოფილა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი ითვალისწინებს იმ პირთა ნების გამოხატვის დადასტურებას, რომელთა რეგისტრაციც სავალდებულოა სამენარმეო რეესტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიაჩნია უსაფუძვლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა დირექტორთა საბჭოს წევრთა ნების გამოხატვის თაობაზე.

პალატის აზრით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სარჩელი სს „კორპორაცია ...“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანისა და სს „კორპორაცია ...“ გენერალურ დირექტორად ს. დ-ის დარეგისტრირების მოთხოვნის თაობაზე და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორმა მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5, მე-9 მუხლებზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმები იმპერატიულიად არ ადგენს (იშვიათი გამონაკლისების გარდა) სანარმოს ორგანიზებული მოწყობის საკითხებს. ის მხოლოდ სთავაზობს სანარმოს მოწყობის ერთ ვარიანტს და მიუთითებს წესდებით განსხვავებული რეგულირების დაწესების შესაძლებლობაზე. კასატორის აზრით, განსახილველ შემთხვევაში, წესდებით განსაზღვრული საზოგადოების მართვისა და ორგანიზაციული მოწყობის წესები კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესისგან ნაწილობრივ განსხვავებულია, კერძოდ, წესდების მე-5 მუხლის თანახმად, საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომლის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ამავე მუხლითაა დადგენილი. წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საზოგადოებას ჰყავს დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების კონტროლსა და მართვაზე. ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობისა და ამ წესდების თანახმად, არ ხვდება საერთო კრების უფლებამოსილების სფეროში. წესდების მე-6 მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილია დირექტორთა საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განიმარტება, როგორც ხელმძღვანე-

ლობითი უფლებამოსილება. ამ ანალიზის შედეგად, საზოგადოებას ჰყავს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ორი მმართველობითი კოლეგიური ორგანო: საერთო კრება და დირექტორთა საბჭო, რომელიც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ კოლეგიური მმართველობითი ორგანოს ყველა წევრს გააჩნია მართვის/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება. წესდებით დეტალურად რეგულირდება ამ უფლებამოსილების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი – მათი დანიშვნის/არჩევის წესები.

რაც შეეხება დირექტორებს, კასატორის განმარტებით, მათ როგორც დირექტორთა საბჭოს წევრებს, წესდებით დადგენილი აქვთ მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არ მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ამგვარი პოზიცია გამომდინარეობს იქედან, რომ წესდებით ნათლადაა გამოვლენილი პარტნიორთა ნება იმის შესახებ, რომ დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს, ენიჭება მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვა იმ საფუძველით, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება სანარმო მმართველობის ორგანო, ხოლო ეს ნორმა განიმარტება იმგვარად, რომ რეესტრში ასევე უნდა მიეთითოს მართვის ამ უფლებამოსილების განმარტებული პირები.

იმის გათვალისწინებით, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარადგინა სათანადო დოკუმენტაცია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კასატორის აზრით, სწორად იქნა გადაწყვეტილება მიღებული სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაც სასამართლომ არასწორად შეაფასა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნუ-

ლი სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით დადგინდა, რომ სს „კორპორაცია ...“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 27.12.2004 წელს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე (წარმომადგენლობაზე) უფლებამოსილ პირად ამონაწერში მითითებულია ჯ. ფ. ქ-ი;

16.04.2013 წელს სს „კორპორაცია ფოთის ...“ აქციონერთა მეორე (გადადებული) საერთო კრების ოქმის თანახმად, დღის წესრიგიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცლილებების შეტანის, პირადი განცხადების საფუძველზე ჯ. ფ. ქ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აქციონერთა 80%-ის გადაწყვეტილებით გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ს. დ-ის დანიშნის თაობაზე;

სს „კორპორაცია ...“ წესდების 5.7 მუხლის შესაბამისად, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ყველა აქციონერი. თუ საერთო კრების დადგენილ დროს კვორუმის მიღწევა არ მოხერხდა, ასეთ შემთხვევაში საერთო კრება ხელახლა ჩატარდება პირველი დაგეგმილი კრების შემდეგ არა უადრეს 20 სამუშაო დღისა და განმეორებით მოწვეულ კრებაზე კვორუმი ჩაითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია აქციონერთა უმრავლესობის მფლობელი აქციონერები;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სს „კორპორაცია ...“ 16.04.2013 წლის კრების ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის თაობაზე უარი ეთქვა იმ საფუძველზე, რომ ნავსადგურის წესდების მე-6 მუხლის თანახმად, დირექტორთა საბჭო წარმომადგენდა სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოს, თუმცა წარდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდებოდა დირექტორთა საბჭოს არცერთი წევრის ნება, ყოფილიყვნენ დირექტორები. საჯარო რეესტრს წარედგინა ს. დ-ის თანხმობა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ასევე განმარტება, რომ წესდების 6.7 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ გენერალური დირექტორი წარმომადგენდა „ნ-ს“ მესამე პირებთან ურთიერთობაში, დირექტორთა საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლე-

ბამოსილება და არ ითხოვდნენ მათ რეგისტრაციას;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 21.05.2013 წლის გადაწყვეტილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემ;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.09.2013 წლის გადაწყვეტილებით სს „კორპორაცია ...“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ კანონით დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

13.05.2011 წლის აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული სს „კორპორაცია ...“ წესდების 6.5 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებას ეყოლება გენერალური დირექტორი, რომელსაც წარადგენს APMT და დანიშნავს და გაანთავისუფლებს საერთო კრება („გენერალური დირექტორი“). თითოეული აქციონერი ყოველთვის გამოიყენებს ხმის უფლებას ისე, რათა უზრუნველყოს წინამდებარე 6.5 მუხლის შესაბამისად წარდგენილი გენერალური დირექტორის არჩევა ან შეცვლა. 6.7. მუხლიდან გამომდინარე გენერალური დირექტორს გააჩნია წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში;

სს „კორპორაცია ...“ წესდების 6.2. პუნქტით, დირექტორთა საბჭო შედგება არა უმეტეს ხუთი დირექტორისაგან. წესდება არ შეიცავს მითითებას მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორთა საბჭოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. ამასთან, წესდებით ნათლად არის გამოვლენილი ნება იმის შესახებ, რომ დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს ენიჭება მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება (წესდების 6.7 მუხლი). საქმეში წარმოდგენილია 13.05.2013 წლის აქციონერთა საერთო კრების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ წესდების დამტკიცების შემდგომ, კრებამ წესდების შესაბამისად დანიშნა დირექტორთა საბჭოს წევრები (დირექტორები). ოქმში აღნიშნულია, რომ ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად დირექტორთა საბჭოს წევრები არ ექვემდებარებიან სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სა-

კასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ასეთი პრეტენზია მხარეების მხრიდან წარმოდგენილი არ არის, ამიტომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ ითვლება.

კასატორის პრეტენზიას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-9 მუხლების არასწორი განმარტება, კერძოდ, საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით, „მენარმეთა შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული მუხლების არასწორი განმარტების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ არ არსებობდა სამენარმეო რეესტრში სს „კორპორაცია ...“ დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ვალდებულება და, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი საწარმოს გენერალურ დირექტორად ს. დ-ის რეგისტრაციის თაობაზე.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება ინფორმაცია საწარმოს მმართველობის ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს) წევრების შესახებ, თუმცა მიიჩნევს რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა საწარმოს გენერალური დირექტორის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს შემდეგ გარემოებათა გამო:

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილია მენარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები, კერძოდ, განსაზღვრულია რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს მენარმე სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საწარმოს სარეგისტრაციო განაცხადში სავალდებულოა საწარმოს მმართველობის ორგანოს და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ მონაცემის მითითება, ხოლო იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება „საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა“. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქა-



ლაქისათვის დადგენილ ექვევალენტურ მონაცემებს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 12 პუნქტის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) დანიშვნისათვის/რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს ამ პირის (პირების) ნება.

ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, სს „კორპორაცია ...“ წესდების თანახმად, სააქციო საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომლის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები დადგენილია წესდების მე-5 მუხლით. ამავე დროს, წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოებას ჰყავს დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების კონტროლსა და მართვაზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების თანახმად, არ ხვდება საერთო კრების უფლებამოსილებათა სფეროში. დირექტორთა საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება წესდების მე-6 მუხლით დადგენილი წესით. იმავე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრულია დირექტორთა საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები, რაც გულისხმობს საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას. აღნიშნული კი, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განიმარტება, როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

დირექტორთა საბჭოს წევრებს წესდებით დადგენილი აქვთ მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, რაც „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად არ მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

წესდებით ნათლად არის დადგენილი, რომ მესამე პირებთან

საზოგადოების წარმოდგენის უფლებამოსილება ენიჭება დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დირექტორთა საბჭოს წევრები, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, მიუხედავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონისა, ექემდებარებიან სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას, ისევე როგორც, საწარმოს გენერალური დირექტორი, რომელიც სარგებლობს როგორც ხელმძღვანელობითი, ისე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ როგორც გენერალური დირექტორის, ისე დირექტორთა საბჭოს სხვა წევრების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელია სარეგისტრაციო დოკუმენტაციით დასტურდებოდეს საწარმოს ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ აღნიშნულ პირთა თანხმობა.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციის წესდების თანახმად, საწარმოს გენერალურ დირექტორს გააჩნია დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრებისაგან განსხვავებული სტატუსი და უფლებამოსილებანი (კერძოდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება), საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ გენერალური დირექტორის ცვლილების რეგისტრაციისათვის აუცილებელია დირექტორთა საბჭოს სხვა წევრების თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრების ცვლილების რეგისტრაცია კორპორაციის მხრიდან არ არის მოთხოვნილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელის წარმომადგენელმა საჯარო რეესტრის ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს დადგინილი ხარვეზის შევსების მიზნით 2013 წლის 18 აპრილს წარუდგინა ახლად დანიშნული გენერალური დირექტორის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა, ხოლო 2013 წლის 24 აპრილის დამატებითი განცხადებით მიუთითა კორპორაციის სურვილზე, მომხდარიყო მხოლოდ გენერალური დირექტორის ცვლილების რეგისტრაცია, დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრების მხრიდან თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა არ ქმნიდა საწარმოს გენერალური დირექტორის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კორპორაციის გენერალური დირექტორის რეგისტრაციის მოთხოვნის ნაწილში სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტას ჰქონდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კომპანიის პარტნიორობისა და დირექტორის  
პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო  
ვალდებულებებისათვის**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სასჯელით**

№ას-1307-1245-2014

6 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელი აღძრა შპს „ლ. 2009“-ის, ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 223 370 ლარის გადახდის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

შპს „ლ. 2009“-ს 2010 წლის 20 მაისის კამერალური საგადასახადო შემონმების აქტის მიხედვით დაერიცხა 786 657 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოში შპს „ლ. 2009“-ის ხელმძღვანელ პირთა მიმართ დაიწყო გამოძიება დიდი ოდენობით გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი იქნა სახელმწიფო. ზიანის თანხა განისაზღვრა 786 657 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენით შპს „ლ. 2009“-ის ხელმძღვანელი პირები დამნაშავედ იქნენ ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ლ. ბ-ძის და მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებს ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანი 786 657 ლარი არ გადაუხდიათ და ის 2013 წლის 23 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 2 223 370 ლარს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ლ. ბ-ძემ შესაგებელში აღნიშნა, რომ დავალიანება ჰქონდა შპს „ლ. 2009“-ს და მას არანაირი ზიანი მიუყენებია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

შპს „ლ. 2009“-მ და მ. ჭ-ძემ თავის შესაგებელში აღნიშნეს, რომ შპს „ლ. 2009“-ზე თანხების დარიცხვა განხორციელდა უკანონოდ. ამასთან, მოსარჩელე არასწორად მოითხოვს თანხის დაკისრებას სოლიდარულად, რადგან შპს „ლ. 2009“ არის სუბიექტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონით, ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სწორედ ეს დეფინიცია გამოიყენება მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს „ლ. 2009“-ს, ლ. ბ-ძეს, მ. ჭ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 786 657 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვა შპს „ლ. 2009“-სთვის საგადასახადო სანქციების დაკისრებაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელზე შპს „ლ. 2009“-ის მიმართ, საგადასახადო სანქციების დაკისრების ნაწილში, საქმის წარმოება შეწყდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ლ. 2009“-ს 2010 წლის 20 მაისის კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტით დაერიცხა 786 657 ლარი. საწარმომ ეს აქტი გაასაჩივრა, თუმცა მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

პალატამ ასევე დაადგინა, რომ საწარმოს დარიცხული თანხა არ გადაუხდია და საურავების ჩათვლით მისი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ შეადგენს 2 223 370 ლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის გა-

ნაჩენით შპს „ლ. 2009“-ის პარტნიორებს, ლ. ბ-ძესა და მ. ჭ-ძეს მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებისათვის. ეს განაჩენი დარჩა უცვლელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრები მიიჩნია დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლომ განაჩენის შესაბამისად დაადგინა, რომ მსჯავრდებულებმა 2008-2009 წლების საანგარიშო პერიოდში განზრახ თავი აარიდეს გადასახადის, 786 657 ლარის გადახდას.

პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება შპს „ლ. 2009“-ის, ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძისათვის 786 657 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო მხოლოდ მონინალმდეგე მხარისათვის ამ თანხაზე დარიცხული საგადასახადო სანქციების დაკისრება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, გადასახადების ოდენობის განსაზღვრის, სანქციების დაწესებისა და გადასახადის გადამხდელის მიერ გადაუხდელი გადასახადის ან/და სანქციით დაკისრებული თანხის ამოღების უფლებამოსილება გააჩნიათ საგადასახადო ორგანოებს.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურმა წაუყენა შპს „ლ. 2009“-ს აღიარებული ვალდებულებების შესრულების საგადასახადო მოთხოვნა და ამ თანხის ამოსაღებად დაიწყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. ამის გამო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო არ არის კომპეტენტური განიხილოს შპს „ლ. 2009“-ის მიმართ საგადასახადო სანქციების დაკისრების საკითხი. მითუმეტეს, რომ ეს თანხა საწარმოს კანონიერი და შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციული აქტით უკვე დაკისრებული აქვს და ამ აქტის აღსრულების უფლებამოსილება, სწორედ აპელანტს გააჩნია.

პალატის განმარტებით, ვითარებას არ ცვლის ის, რომ ამ სა-

წარმოს პარტნიორებს მსჯავრი დაედოთ გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდების გამო. განაჩენი არის მხოლოდ მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია დადასტურდეს სარჩელში მოყვანილი ფაქტები. სასარჩელო მოთხოვნა კი, არსებითად, საწარმოსათვის გადაუხდელი და აღიარებული გადასახადის ხელმეორედ დაკისრებაა. ამის გამო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ლ. 2009“-თვის საგადასახადო სანქციების დაკისრების ნაწილში, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამ ნორმის საფუძველზე, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია არსებობდეს ზიანის ფაქტი და ეს ზიანი გამოწვეული იყოს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ანუ არსებობდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, ზიანი არის ქონებრივი ანდა არაქონებრივი და სამართლებრივად დასაძრახი დანაკლისი, რომელსაც უფლებამოსილი პირი განიცდის ვალდებული პირის მოქმედებით ან უმოქმედობით. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მოქმედებით სახელმწიფომ ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯერონად რომ შესრულებულიყო. ამიტომ, უშულოდ, მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით აპელანტს მიადგა ზიანი და ეს ზიანი ვალდებულ პირებს უნდა აუნაზღაურებინათ.

თუმცა, ამავდროულად, პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, საურავის დარიცხვა ხორციელდება გადასახადის თანხაზე და იგი არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის.

რის. ეს ნიშნავს, რომ საურავი, როგორც საგადასახადო სანქცია ეკისრება გადასახადის გადამხდელს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა შპს „ლ. 2009“-ს და არა მის პარტნიორებს და ამიტომ ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძისათვის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საურავების დაკისრება დაუშვებელი იყო.

პალატის აზრით, მოპასუხეებს ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინათ, ე.ი. გადასახადისათვის თავი რომ არ აერიდებინათ, აპელანტი მიიღებდა მხოლოდ კუთვნილ გადასახადს. ე.ი. აპელანტის მიუღებელი შემოსავალი, ანუ მოპასუხეთა ქმედებით მისთვის მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო უშუალოდ მიუღებელი გადასახადებისა და არა მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავების ოდენობით.

სასამართლომ განაჩენების შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ბ-ძემ და მ. ჭ-ძემ თავი აარიდეს 786 657 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას. შესაბამისად, ლ. ბ-ძემ და მ. ჭ-ძემ აპელანტს ერთობლივად მიაყენეს მხოლოდ 786 657 ლარის ოდენობის ზიანი და ამიტომ მათთვის აპელანტის სასარგებლოდ თანხის დამატებით დაკისრების საფუძვლები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სსიპ შემოსავლების სამსახურმა შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ 2 223 845.52 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ უცვლელად დატოვების ნაწილში მიღებულია კანონის დარღვევით, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომელ მტკიცებულებას დაეყრდნო სასამართლო როდესაც არ დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის სასარჩელო მოთხოვნა დამდგარი ზიანის ნაწილში ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ არ განსაზღვრა, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა ამ კონკრეტული თანხის



ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენით შპს „ლ. 2009“-ის ხელმძღვანელი პირები ლ. ბ-ძე და მ. ჭ-ძე დამნაშავედ იქნენ ცნობილი. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად. მიუხედავად ამისა ზემოაღნიშნული პირების მიერ ბიუჯეტის მიმართ რიცხული დავალიანების ანაზღაურება არ მომხდარა.

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, გამოძიების შედეგად დადგენილი ზიანის თანხა და შემონმების აქტით დარიცხული თანხები, რომელთა კანონშესაბამისობა დადგენილია კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის №3-506/10 გადაწყვეტილებით, მოპასუხეთა მიერ გადახდილი არ იქნა, რის გამოც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მასზე დარიცხული იქნა საურავი, რომელიც ზიანის თანხის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

კასატორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შპს „ლ. 2009“-ის, ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ წარდგენილი იქნა ადმინისტრაციული ორგანოს, შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილი დოკუმენტი – შედარების აქტი, რომლითაც დგინდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის გათვალისწინებით სარჩელის აღქმის დროისათვის სახელმწიფო ბიუჯეტზე მიყენებული ზიანის ერთიანი ოდენობა, რაც სრულიად უკანონოდ არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მეორე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის შესაბამისად, გადასახადებით დაბეგვისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისთვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა. 53-ე მუხლის 1-3-ე ნაწილების თანახმად, საგადასახადო ვალდებულებად ითვლება პირის ვალდებულება, გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული, აგრეთვე ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული გადასახადი. პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის

გადახდას. საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება გადასახადის თანხის დადგენილ ვადაში გადახდა, ამასთან გადასახადის გადაუხდელობა იწვევს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ სანქციას, რომლის სახეები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის მე-13 კარით – საურავი და ჯარიმა. საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით საურავი პირს ეკისრება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობისათვის და ითვალისწინებს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კუთვნილი გადასახადის 0,06 %-ის ბიუჯეტში გადახდას (გადასახადის ძირითად თანხასთან), რაც დაკავშირებულია სწორედ იმ ზიანის კომპენსაციასთან, რომელიც ადგება ბიუჯეტს კუთვნილი თანხის გადაუხდელობით, რომელიც დარჩა (მოცემულ შემთხვევაში დღემდე რჩება) მოვალის ვალდებულებაში.

კასატორმა აქვე მიუთითა საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. ამავე კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის დებულებათა გავალისწინებით საგადასახადო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ გამოიყენონ სანქცია იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელმაც დაარღვია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რაც ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს მართალია ზიანის სახით დააკისრა გადასახადის ძირითადი თანხის 786 657 ლარის გადახდა, მაგრამ არ უმსჯელია საურავზე და ჯარიმაზე, რომლებიც საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების, ანუ საგადასახადო დავალიანების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ხდება, რაც დასტურდება საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 23-ე ნაწილის დეფინიციით, რომლის თანახმად, საგადასახადო დავალიანება არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საგადასახადო სანქციის გამოყენების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, უსაფუძვლოდ უთხრა ამ ნაწილში შემოსავლების სამსახურს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინეს მონინა-

აღმდეგე მხარეებმა, ლ. ბ-ქემ და მ. ჭ-ქემ, რომლებიც არ დაეთანხმნენ საკასაციო პრეტენზიას და აღნიშნეს, რომ არასწორია კასატორის მოსაზრება საურავების ზიანის თანხის განუყოფელ ნაწილად მიჩნევის თაობაზე, ვინაიდან ზიანის თანხა არის კონკრეტული თანხა, ხოლო საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის. მითუმეტეს, რომ მხარემ წარმოადგინა შედარების აქტი, რომელზედაც საერთოდ არცერთი მხარის ხელმოწერა არ არის, რის გამოც, ხელმოუწერელი დოკუმენტი ვერ გახდება ლ. ბ-სა და მ. ჭ-თვის რაიმე თანხის დაკისრების საფუძველი. გარდა ამისა, შესაგებლის ავტორებმა მიუთითეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე (რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით) და აღნიშნეს, რომ საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებს არა საზოგადოების დამფუძნებელი, დირექტორი და ა.შ., არამედ თვითონ საზოგადოება მთელი თავისი ქონებით. აქედან გამომდინარე, თანხა უნდა დაკისრებოდა შპს „ლ. 2009“ და არა ლ. ბ-ქეს და მ. ჭ-ქეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი გაზრდილი საკასაციო პრეტენზიის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად, ხოლო დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩე-

ლის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია.

მოცემულ საქმეზე საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ითხოვდა მოპასუხეებზე სოლიდარულად ჯამში 2 223 370 ლარის დაკისრებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა 786 657 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო 1 436 713 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოპასუხეებზე თანხის სრულად – 2 223 370 ლარის ოდენობით დაკისრება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებით ლ. ბ-ძისა და მ. ჭძის მიმართ სოლიდარულად 2 223 845.52 ლარის დაკისრება, რაც 475.52 ლარით აღემატება სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარჩელო მოთხოვნას. ამრიგად, სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან ადგილი აქვს საკასაციო სასამართლოზე დავის საგნის გადიდებას 475.52 ლარით ( $2\ 223\ 845.52 - 2\ 223\ 370 = 475.52$ ), რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIX თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, კოდექსის XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIX თავი არ შეიცავს ამა თუ იმ ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას, უფლებამოსილია, გამოიყენოს ურთიერთობის მარეგულირებელი ის ნორ-

მა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გახილვა-გადანყვეტისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (საკასაციო საჩივარს) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საქმის წარმოების შეწყვეტა ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება გამომდინარეობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი 475.52 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად.

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ლ. 2009“-ს 2010 წლის 20 მაისის კამერალური საგადასახადო შემონმების აქტით დაერიცხა 786 657 ლარი. საწარმომ ეს აქტი გაასაჩივრა, თუმცა მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

საწარმოს დარიცხული თანხა არ გადაუხდია და, საურავეების ჩათვლით, მისი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ შეადგენს 2 223 370 ლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენით შპს „ლ. 2009“-ის პარტნიორებს ლ. ბ-ძესა და მ. ჭ-ძეს მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. განაჩენის თანახმად მსჯავრდებულებმა 2008-2009 წლების საანგარიშო პერიოდში განზრახ თავი აარიდეს გადასახადის 786 657 ლარის გადახდას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ლ. 2009“-ის პარტნიორი ლ. ბ-ძე იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დი-

რექტორს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ასეთი პრეტენზია მხარეების მხრიდან წარმოდგენილი არ არის, ამიტომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ ითვლება.

სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს შპს „ლ. 2009“-ის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-ძისა და პარტნიორის მ. ჭ-ძის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით როგორც კომპანიის ძირითადი საგადასახადო დავალიანების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დაკისრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი და მე-8 მუხლის 23-ე ნაწილი, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა მხარეთა მტკიცების ტვირთი.

გამომდინარე იქიდან, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებიათ კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ს და კომპანიის პარტნიორს მ. ჭ-ს, მათ მიმართ შპს „ლ. 2009“-ის საგადასახადო ვალდებულების ძირითადი თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, თუმცა იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, ეკისრებათ თუ არა აღნიშნულ პირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულება, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს შპს „ლ. 2009“-ის საგადასახადო ვალდებულებებისათვის მისი დრექტორისა და პარტნიორების პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველზე.

მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლომ უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინ

ნებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „ლ. 2009“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე გააჩნია საგადასახადო დავალიანება, რომელიც საურავის ჩათვლით შეადგენს 2 223 370 ლარს. აღნიშნული დავალიანების ამოღება შპს „ლ. 2009“-დან სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა კომპანიის დირექტორისა და პარნიორებისაგან მოითხოვა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიადგა ზიანი, რის გამოც მოთხოვნილია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყევტილება მიღებულ უნდა იქნას შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება და სააპელაციო (და პირველი ინსტანციის) სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო, კომპანიისა და მისი კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის შინაარსის განსაზღვრად აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კომპანიის ვალდებულებებისათვის ერთის მხრივ, პარტნიორებისა და, მეორეს მხრივ, კომპანიის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები.

ზოგადად კითხვაზე, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის, პასუხი ცალსახაა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების



მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირტესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორეს მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (ბარგაინინგ პონერ), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებს, როგორც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც, საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება.

მხედველობაში ჰქონდა რა საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათი, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიუთითონ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე, როცა ისინი იყენებენ განსაკუთრებულ ზომებს მათი საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირებთან მიმართებაში დამატებითი გარანტიების შექმნით.<sup>1</sup> იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა გერმანიის ფედერალური საგადა-

---

<sup>1</sup> ECJ, Case C-212/97, March 9, 1999, note 37 – *Centros*

სახადო სასამართლოც, როდესაც დაადასტურა, რომ საგადასახადო ვალდებულებების აღსრულებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება გერმანიის საკონსტიტუციო სამართლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს.<sup>2</sup>

მრავალ ქვეყანაში ასეთი დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენება კომპანიის დირექტორებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადგენილია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეუძლია.

საქართველოს კანონმდებლობა ასეთ პირდაპირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. თუმცა მენარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ.

სანარმოს ვალდებულებებისათვის პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ასევე, საკასაციო სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს შემდეგზე:

#### **ა. კომპანიის პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი**

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამენარმეო სამართალში „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოემვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპა-

<sup>2</sup> Bundesfinanzhof, January 21, 1972, 1972 BStB1.364

ნის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პარტნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით სამოსამართლო სამართალი განეწესა აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“.<sup>3</sup>

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელმეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

---

<sup>3</sup> Melvin Aron Eisenberg, *Corporations and Other Business Organizations, Cases and Materials*, at 220-257, Foundation Press (9<sup>th</sup> ed. 2005)

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.<sup>4</sup>

როგორც უკვე აღნიშნა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებ-

<sup>4</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადღასაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §13,Rn.45; Wiedmann ZGR 2003,283,288; BGH GmbHR 1986, S.78; BGH GmbHR 1994, S.390; BGH GmbHR 2006,S.426; BGH GmbHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm.,18.Aufl. §13,Rn.19; BGH GmbHR 2008, S.805; Altmeppen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHR 2008, S.800f; Altmeppen in Roth/Altmeppen GmbHG Komm. 7.Aufl., §13,Rn.149; Altmeppen,

Abschied von Durchgriff in “Kapitalgesellschaft” NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in MxKo zum GmbHG Anh. §13,Rn.593.)

ლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ:

პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ბ-ძე და მ. ჭ-ძე წარმოადგენდნენ საზოგადოების პარტნიორებს.

სააპელაციო სასამართლომ ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის საფუძველზე დაადგინა, რომ ლ. ბ-ძემ და მ. ჭ-ძემ განზრახ თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ 786 657 ლარის გადასახადების გადახდას.

აღნიშნული გარემოების დადგენისას სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ საქმეში მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში აღნიშნული ფაქტები დადასტურებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რასაც ვერ დაეთანხმება საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, რადგან მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორების მიმართ სისხლის სამარ-

თლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ლ. ბ-ძეს და მ. ჭ-ძეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ, ამიტომ, ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოსთვის მათ მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დადგენილ ფაქტები სავალდებულოდ მიიჩნევა.

სასამართლოს განაჩენით კი, დადასტურებულია, რომ ლ. ბ-ძე და მ. ჭ-ძე იყვნენ შპს „ლ. 2009“-ის დამფუძნებელი პარტნიორები. ლ. ბ-ძე იმავდროულად ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობას (წარმოადგენდა საზოგადოების ერთადერთ დირექტორს), ხოლო მ. ჭ-ძე იყო კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის ექვედიტორ-რეალიზატორი. შპს „ლ. 2009“-ის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში სარეალიზაციოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა. კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის რეალიზაციას და მომწოდებლებთან ძირითად მოლაპარაკებებს ახორციელებდა მ. ჭ-ძე, რომელიც ამავდროულად კომპანიაში შემოსული ნავაჭრი თანხების მოძრაობის მაკონტროლებელი იყო. კომპანია არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა სალარო აპარატში ამოჭრილ მონაცემებს. კომპანიის მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასები აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასებთან. კომპანიას არ ჰქონდა სრულად ასახული საქონელი. იქიდან გამომდინარე, რომ სარეალიზაციო ფასები არ შეესაბამებოდა რეალობას, ადგილი ჰქონდა შემოსავლის შემცირების ფაქტს.

ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ძის და მ. ჭ-ძის ქმედებები წარმოადგენს

პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის.

## **ბ. კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი**

დადგენილია, რომ კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ლ. ბ-მე ამავედროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს. აღნიშნული ფაქტისა და კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს ასევე კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კომპანიაში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. რაკი კომპანიას ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კომპანიის

ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამენარმეო ურთიერთობების კონტექსტში.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.<sup>5</sup>

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნას მიღწეული მთავარი მიზანი – კომპანიის მოგების გაზრდა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს მოვალეობა დაადგეს ამ გზას: პირველი, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართე-

<sup>5</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Merkt in M&Kო zum GmbHG, §13,Rn.343; Raiser in Ulmer/Habersack/Lübbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §13,Rn.51; Fleischer in M&Kო zum GmbHG, §43,Rn.276; Walter G. Paefgen in Ulmer/Habersack/Lübbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §43,Rn.214; Haas/Ziemons in Michalski GmbHG Kommentar, 2.Aufl. §43,Rn.34; BGHZ 173, S.246; Zöllner /Noack in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §43,Rn.62a; Paefgen DB 2007, S1910f.



ბული ბიზნეს გადაწყვეტილებების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელება კომპანიის ხელმძღვანელებს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ კერძო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე კომპანიის წინაშე პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ, მაგრამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დანერგილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც<sup>6</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ ეს უნდა განხორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ლ. 2009“-ის პარტნიორი ლ. ბ-ქე იმავდროულად წარმოადგენდა კომპანიის დირექტორს. ამიტომ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპანიის გადასახადებისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით ლ. ბ-ქემ, როგორც კომპანიის დირექტორმა დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, რაც იწვევს „წინარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

საზოგადოების უარი დირექტორის მიმართ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

<sup>6</sup> Wolfgang Schün, Tax and Corporate Governance at 40, MPI Studies on Intellectual Property, Competition and Tax Law, Volume 3, Max Planck Institute for Intellectual Property, Competition and Tax Law, Springer – Verlag Berlin Heidelberg (2008)

ამრიგად, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოება ვალდებულია მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საშუალება კომპანიას არ გააჩნია.

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან. მოცემულ შემთხვევაში კომპანიას ასეთი მოთხოვნა დირექტორის მიმართ არ დაუყენებია.

ასეთ პირობებში, „მენარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს საზოგადოებას დააყენოს დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა. იმავე კანონის ნორმებიდან გამომდინარე, საზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საწარმოს ჰყავს სამი პარტნიორი, რომელთაგან ერთი იმავდროულად საწარმოს ერთადერთი დირექტორია, მეორე პარტნიორი კი თავად არის პასუხისმგებლობის ობიექტი.

ასეთ ვითარებაში სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას კრედიტორის მხრიდან რაიმე შედეგი ექნება თუ არა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას არავითარი შედეგი არ ექნება, შესაძლებელია კრედიტორმა უშუალოდ მოითხოვოს მის მიმართ საზოგადოების ვალდებულების ანაზღაურება საზოგადოების დირექტორისაგან. აღნიშნული გამომდინარეობს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან, რომელიც საწარმოს უარს დირექტორისაგან რეგულური ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილად მიიჩნევს თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია. ამიტომ ასეთი აუცილებლობის არსებობის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს უფ-

ლება უნდა მიენიჭოს უშუალოდ მოითხოვოს ანაზღაურება დირექტორისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს საწარმოს ვალდებულებების მიმართ კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სუბსიდიურობა, ე.ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია.

### **გ. კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა**

კომპანიის კრედიტორის წინაშე პარტნიორებისა და დირექტორის ვალდებულების მოცულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ კომპანიის ძირითად საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ძეს და პარტნიორს მ. ჭ-ძეს უნდა დაეკისროთ საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულებაც შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებსაქენ არის მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩება.<sup>7</sup>

<sup>7</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Gottwald, in MsKo BGB, 6. Aufl. Band II §340, Rn.15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340, Rn.71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aufl., Rn.6; BGH NJW 1963, S.1197.

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტია სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მართივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელმეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად ითვლება პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელმეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელმეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონის-

მიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც არის იგი დადგენილი კანონმდებლის მიერ. მეორე განმასხვავებელ ნიშნად, მისი განსაზღვრულობა გვევლინება – კანონმდებელი ყოველთვის ადგენს მის კონკრეტულ ოდენობას, ან წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას იგი განსაზღვრული.

საურავი, ისევე როგორც ჯარიმა, წარმოადგენს პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას გადაუხადოს დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი (იხ., სუს 07.11.2011წ.-ის განჩინება №ას-1298-1318-2011). ასევე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, მიმწოდებლისა და აფთიაქისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ამ წესით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლისა და აფთიაქის სასარგებლოდ გადაიხადოს 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზღაურებელი თანხის 0,02%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს მთლიანი თანხის გადახდის ვალდებულებისაგან (იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება №ას-1284-1226-2013).

შესრულებისა და საურავის მოთხოვნა კრედიტორს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. შესრულების ვადის გადაცილებისათვის დადგენილი საურავი იმავე ინტერესს მოიცავს, რასაც ვალდებულების შესრულების ვადის

გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია აირჩიოს – მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდევინება თუ ორივე. ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების და პირგასამტეხლოს კუმულაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირგასამტეხლო და ზიანი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებას არ გულისხმობს.

საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველმყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლო, კერძოდ, აღნიშნული მუხლის განმარტების თანახმად, საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ერიცხება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობისათვის (საურავი).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საურავი ერიცხება გადაუხდელი გადასახადის თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც მიმართულია ბიუჯეტის მიერ მისაღები კუთვნილი თანხების გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაკენ. იგი გადაიხდება გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებით გადასახდელი თანხის სახით, რაც შეადგენს კანონით განსაზღვრული გადასახდელი თანხის გარკვეულ პროცენტს (0,06%). საურავი მისი სამართლებრივი ბუნებით არის გადასახადის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული ფულადი საზღაური, მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ერთობლივად გადასახდელი თანხა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირებისას

სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ 28.12.2012წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება გამოიყენება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით და ვერ იქნება გამოყენებული განსახილველი შემთხვევის მიმართ, რადგან სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა (ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება საქმე №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება საქმე N№ას-1284-1226-2013).

### **დ. კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის ფორმა. სოლიდარული პასუხისმგებლობა**

კომპანიის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-ძისა და პარტნიორის მ. ჭ-ძის პასუხისმგებლობის ფორმასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის/კასატორის მსჯელობას, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებების მიმართ კომპანიასთან ერთად სოლიდარულია, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ შესაძლებელია სოლიდარული იყოს.

საკასაციო პალატა პასუხისმგებლობის სოლიდარული ფორმის მნიშვნელობიდან და აგრეთვე, საკასაციო სამართალწარ-

მოების ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნეეს იმსჯელოს ზოგადად სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თავისებურებებზე.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა უმეტესობა მარტივი სახისაა და როგორც წესი, მასში მონაწილეობს ერთი კრედიტორი და ერთი მოვალე. როგორც სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის დანაწესიდან ჩანს, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოდელიც, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი მოვალისა და ერთი კრედიტორის არსებობის პრეზუმფციიდან გამოდის. დღევანდელ ეკონომიკურ-სამართლებრივ რეალობაში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რთულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა მატების ტენდენცია, რომელშიც ერთ ან მეორე მხარეზე, ან ორივეზე ერთდროულად რამდენიმე კრედიტორი ან მოვალე მონაწილეობს.

სოლიდარული ვალდებულება ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული და რთული სახეა.

სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ უნდა გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანდა თითოეულ მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ანდა თითოეული მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან. ვალდებულებაში წილობრივად მონაწილე ნებისმიერ პირს ვალდებულების შესრულება მხოლოდ კუთვნილი წილის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს და შესაბამისად, მას მხოლოდ ამ წილის ოდენობით ეკისრება შესრულების ვალდებულება.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია ორ ნაწილად დავყოთ – „გარე“ და „შიდა“ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებად და მოვალეობებად. „გარე“ ურთიერთობა გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც ვალდებულების ერთ-



ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს ვალდებულების მეორე მხარის მიმართ გააჩნია. რაც შეეხება შიდა ურთიერთობას, იგი ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს ერთმანეთთან მიმართებაში.

როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს ნილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში ნილობრივი ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მონესრიგებული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა ნილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვავებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“ ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი ანდა მის მიღებაზე უფლებამოსილი.

წილადი მონაწილეობისაგან განსხვავებით, ვალდებულებაში სოლიდარული მონაწილეობის დროს კანონი იძლევა პასუხს სოლიდარულ მონაწილე პირთა წილების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულებაში მონაწილე სოლიდარულ უფლებამოსილ პირებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სოლიდარული ვალდებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს. მუხლის დანაწესით, თუკი რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლიდარული მოვალეები ეწოდებათ. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი. გარდა ამი-

სა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებული. ამასთან, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება თითოეულის ვალდებულება კრედიტორის წინაშე. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, კრედიტორის მოთხოვნები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ერთიანი სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობდეს.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არის დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულს და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, თითოეული მათგანი მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე იყოს პასუხისმგებელი. ამით განსხვავდება სოლიდარული ვალდებულება წილობრივი ვალდებულებისგან. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია.

სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია. სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძველით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა.

კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ზიანის დადგომაში მონაწილე პირების

სოლიდარულ პასუხისმგებლობას ანეხებს. განსაკუთრებით ხშირია კანონისმიერი საფუძვლები საკორპორაციო სამართალში. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების (კს) პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები), მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებისათვის სოლიდარულად. ასევე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სანარმოს დაფუძნებამდე სანარმოს სახელით მოქმედ პირებსა და სანარმოს დამფუძნებლებს.

სოლიდარული ვალდებულების დროს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება დაწარჩენ მოვალეებსაც ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან.

მოცემულ საქმეში იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის პარტნიორებზე და დირექტორზე ძირითადი საგადასახადო ვალდებულების კომპანიასთან სოლიდარულად დაკისრების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის, საკასაციო პალატა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ საურავის სოლიდარულად დაკისრების საკითხთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ს და პარტნიორს მ. ჭ-ს ეკისრებათ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის სოლიდარული ვალდებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ საკითზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად 1 436 713 ლარის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება – ლ. ბ-ძეს და მ. ჭ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შპს „ლ. 2009“-ის მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 1 436 713 ლარის გადახდა.

### **ე. სასამართლო ხარჯები**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე სსიპ შემოსავლების სამსახური სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია, შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში მოპასუხეებს – ლ. ბ-ძეს და მ. ჭ-ძეს უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის იმ ოდენობით გადახდა, რასაც მოსარჩელე გადაიხდიდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველი რომ არ არსებულებოდა, კერძოდ, სარჩელზე დავის საგნის ღირებულების 3%, სააპელაციო საჩივარზე 1 436 713 ლარის 4%, ხოლო ხოლო საკასაციო საჩივარზე – 1 436 713 ლარის 5%. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იურიდიული პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს, ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ.ბ“ და „გ.ბ“

ქვეპუნქტების შესაბამისად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში შესაბამისად - 7000 და 8000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში, რაკი დავის საგნის ღირებულების 3%, 4%, 5% თითოეულ შემთხვევაში აღემატება შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში იურიდიული პირის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალურ მოცულობას, სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული მაქსიმალური ოდენობები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ლ. ბ-ძესა და მ. ჭ-ძეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაეკისრათ ფიზიკური პირებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა – 3000 ლარი. თუმცა იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, მათ მიმართ დასაკისრებელი ბაჟის ოდენობა წარმოადგენს იურიდიული პირებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალურ ოდენობას – 5000 ლარს. შესაბამისად, მოპასუხეებს პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით დამატებით სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 2000 ლარი, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში – იურიდიული პირებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა 15 000 ლარი (7000+8000=15000). ჯამში სახელმწიფო ბაჟის სახით ლ. ბ-ძესა და მ. ჭ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 17 000 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 399-ე, 406-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად 475.52 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს განუხილველად;

2. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად 1 436 713 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა ლ. ბ-ძისა და მ. ჭ-ძის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად 1 436 713 ლარის დაკისრების შესახებ და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

4. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და მოპასუხეებს – ლ. ბ-ძესა და მ. ჭ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შპს „ლ. 2009“-ის ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დაეკისროთ 1 436 713 ლარის გადახდა;

5. ლ. ბ-ძესა (პირადი №...) და მ. ჭ-ძეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით 17 000 ლარის გადახდა.

6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კომპანიის პარტნიორობისა და დირექტორის  
პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო  
ვალდებულებებისათვის**

**ბანკინება**

№ას-1158-1104-2014

6 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების შპს „თ. და კ-ს“, თ. ფ-ს, მ. კ-ძისა და გ. კ-ძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის – 233 636 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია, რომ 2010 წლის 29 სექტემბრის საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე შპს „თ. და კ-ს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადასახდელად დაერიცხა 124 170 ლარის გადახდა. შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის მიერ გაცა საგადასახადო მოთხოვნა შპს „თ. და კ-სათვის“ 170 527 ლარის დარიცხვის თაობაზე. საზოგადოებამ სადავო გახადა თანხის დარიცხვის კანონიერება და საგადასახადო მოთხოვნა გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროში, თუმცა მისი საჩივარი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 3 დეკემბრის №2462 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა.

მოგვიანებით, 2010 წლის 3 დეკემბრის №2462 ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „თ. და კ-ს“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საკონტროლო სალარო აპარატის გამოუყენებლობისათვის დარიცხული ჯარიმის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში მას უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელის მითითებით, შპს „თ. და კ-ს“ დარიცხული თანხა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ გადაიხადა, რის გამოც,

2011 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურჯისტანის სამმართველოში საზოგადოების ხელმძღვანელ და დამფუძნებელ პირთა მიმართ დაიწყო გამოძიება დიდი ოდენობით გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე. საქმეში სსიპ შემოსავლების სამსახური ცნობილ იქნა დაზარალებულად. ზიანის ოდენობა განისაზღვრა 68 582 ლარით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს განაჩენებით შპს „თ. და კ-ს“ დამფუძნებლები მ. კ-ძე და თ. ფ-ა ცნობილ იქნენ დამნაშავედ შპს „თ. და კ-სათვის“ დარიცხული დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტზე და სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით. ამავე სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენით კი, იმავე დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილ იქნა შპს-ს დირექტორი გ. კ-ძეც და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს 233 636 ლარის ოდენობის ზიანი და მათ უნდა დაკისრებოდათ აღნიშნული თანხის სოლიდარულად გადახდა.

მოპასუხე გ. კ-ძემ სარჩელი არ ცნო და შპს „თ. და კ-სათვის“ დარიცხული თანხის გადახდის მისთვის დაკისრება არასწორად მიიჩნია, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კრედიტორის წინაშე შპს-ს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საწარმოს ქონებით. საზოგადოებამ საგადასახადო ვალდებულება უნდა შეასრულოს უშუალოდ, საკუთარი და არა დირექტორის ქონებით. მოპასუხის მითითებით, საზოგადოება გაკოტრდა და სწორედ აღნიშნული მიზეზით ვერ მოხერხდა გადასახადების გადახდა, შესაბამისად, ზიანი გამოიწვია არა დირექტორის უკანონო ქმედებამ, არამედ საწარმოში არსებულმა მძიმე ფინანსურმა ვითარებამ.

სარჩელი არ ცნო მ. კ-ძემაც და განმარტა, რომ ზიანი მის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას არ გამოუწვევია. ამასთან, მითითებული გადასახადი დაეკისრა საწარმოს, რომლის ვალეზზე პარტნიორი პასუხისმგებელი არ არის.

მოპასუხე თ. ფ-მ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა საწარმოს დამფუძნებელს, რაიმე სხვა თანამდებობა არ ეკავა და არ იყო ვალდებული, საზოგადოების სახელით ანგარიშსწორება მოეხდინა ბიუჯეტთან. აღნიშნულის მიუხედავად, საწარმოსათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული



თანხის გადაუხდელობა სასამართლომ ჩაუთვალა დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებად და მის მიმართ დადგა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. მართალია, მითითებული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, თუმცა მოპასუხე თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, საქმის წარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის გამო შპს „თ. და კ-ს“ მიმართ შეწყდა, მხარეებს განემარტა, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი გ. კ-ძის, მ. კ-ძისა და თ. ფ-ს მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. კ-ძეს, მ. კ-ძესა და თ. ფ-ს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ, შპს „თ. და კ-ს“ ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დაეკისრათ 60 814 ლარის გადახდა, გ. კ-ძესა და მ. კ-ძეს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დამატებით, შპს „თ. და კ-ს“ ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დაეკისროთ 7768 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ მ. კ-ძე და თ. ფ-ა არიან შპს „თ. და კ-ს“ პარტნიორები, ხოლო გ. კ-ძე ამ საწარმოს დირექტორია.

2007 წლიდან 2009 წლამდე ეს საწარმო ახდენდა სარეცხი საშუალებების იმპორტსა და რეალიზაციას, თუმცა საწარმოს პარტნიორები და დირექტორი, გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად, სრულყოფილად არ აღრიცხავდნენ სავაჭრო ოპერაციებს. ამის გამო, საწარმომ თავი აარიდა 68 582 ლარის გადასახადის გადახდას. ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე შეადგინა 233636 ლარი. ეს დავალიანება შპს „თ. და კ-მ“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აღიარა, თუმცა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გამო, დავალიანების ამოღება აპელანტმა ვერ მოახერხა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრისა

და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის განაჩენებით გ. კ-ქს, მ. კ-ქსა და თ. ფ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ე.ი. დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებისათვის. ეს განაჩენები მსჯავრდებულებს არ გაუ-საჩივრებიათ.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით და მიუთითა, რომ ამ ნორმის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ზიანის ფაქტი და ეს ზიანი გამონწვეული იყოს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ანუ არსებობდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

პალატამ მიიჩნია, რომ ზიანი არის ქონებრივი ან/და არაქონებრივი და სამართლებრივად დასაძრახი დანაკლისი, რომელსაც უფლებამოსილი პირი განიცდის ვალდებული პირის მოქმედებით ან უმოქმედობით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

აპელანტის მიერ წარმოდგენილი განაჩენებით დადგენილია, რომ გ. კ-ქემ, მ. კ-ქემ და თ. ფ-მ განზრახ თავი აარიდეს გადასახადებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხეთა მიმართ გამოტანილ განაჩენებში მითითებული ფაქტები დადასტურებულია, თუმცა, რომც ჩაითვალოს, რომ სასამართლოს საქმე გამარტივებული წარმოების წესით არ განუხილავს, უდავოა, რომ განაჩენებში მითითებული და დამტკიცებული ფაქტების საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხეებს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ და მათზე არც მიუთითებიათ. ამიტომ აპელანტის მონინააღმდეგე მხარეების მიმართ გამოტანილ განაჩენებში მითითებული ფაქტები სასამართლომ დადგენილად მიიჩნია.

პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხეებს მსჯავრი დაედოთ დარიცხული გადასახადის 45 დღის ვადაში გადაუხდელობის გამო. სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა გადასახადების გადაუხდელობის, არამედ გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდე-

ბისათვის. ამ მუხლის მე-2 პენიშენაში არსებული დათქმა კი, უკვე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ემსახურება. ე.ი. მოპასუხეებს მსჯავრი დაედოთ არა იმიტომ, რომ მათ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 45 დღის ვადაში გადასახადი ვერ გადაიხადეს, არამედ იმიტომ, რომ მათ განზრახ არ აღრიცხეს დასაბეგრი ოპერაციები და სახელმწიფოს დაუმალეს გადასახადები, ანუ განზრახ თავი აარიდეს მათ გადახდას. გადასახადებისათვის თავის არიდება, არა მარტო მართლსაწინააღმდეგო, არამედ, ზოგ შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებაა.

ამრიგად, პალატამ დაადგინა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო და განზრახი, ე.ი. – ბრალეული. მსჯავრდებული პირების მოქმედებით სახელმწიფომ ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ის, რომ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების, ანუ დასაბეგრი ოპერაციების აღრიცხვისა და დეკლარირების შემთხვევაში შემოსავლების სამსახური მოთხოვნილ თანხას მაინც ვერ მიიღებდა, მოპასუხეებს არ მიუთითებიათ და არც დაუსაბუთებიათ.

შესაბამისად, პალატამ დაადგინა, რომ უშულოდ მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით აპელანტს მიადგა ზიანი და ეს ზიანი ვალდებულმა პირებმა უნდა აანაზღაურონ, თუმცა, ამავდროულად, პალატის აზრით, მოპასუხეებს ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინათ, აპელანტი მიიღებდა მხოლოდ კუთვნილ გადასახადს. ე.ი. აპელანტის მიუღებელი შემოსავალი, ანუ მისთვის მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს უშუალოდ მიუღებელი გადასახადებისა და არა მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავების ოდენობით.

სასამართლომ განაჩენების საფუძველზე დაადგინა, რომ გ. კ-ქმ და მ. კ-ქმ თავი აარიდეს 68 582 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას. თ. ფ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენით კი დგინდება, რომ მან მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ, 2007-2008 წლების, ანუ 449430+11384=60 814 ლარის გადასახადისაგან თავის არიდებაში.

აღნიშნულის შესაბამისად, გ. კ-ქმ, მ. კ-ქმ და თ. ფ-მ აპელანტს ერთობლივად მიაყენეს 60 814 ლარის ოდენობის ზიანი, დანარჩენი 68 582-60814=7768 ლარის ზიანი კი, აპელანტს მიაყენეს მხოლოდ გ. და მ. კ-ქმებმა.

ამავდროულად, პალატამ აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახ-

მად, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს-ს პარტნიორების მიერ გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდება იმაზე მითითებით, რომ ისინი პერსონალურად არ აგებენ პასუხს საწარმოს ვალდებულებებისათვის, არის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება და, ამ შემთხვევაში, მათ პირადად უნდა აგონ პასუხი კრედიტორების წინაშე, თუმცა, ამავდროულად, ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებებზე სუბსიდიურია, ე.ი. ისინი პასუხს აგებენ საწარმოს ვალეებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს“, ანუ, თუ ამ „ბოროტი გამოყენების შედეგად“ კრედიტორი ვერ მოახერხებს ანაზღაურების მიღებას, უშუალოდ, საწარმოსაგან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მსგავსად არეგულირებს ერთ-ერთ სამართლებრივ ურთიერთობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მესამე პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა და მისი ქონებიდან უზრუნველყოს საგადასახადის გადახდევინება, თუ საგადასახადის გადამხდელის ქონება იმდენად მცირეა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელებამ ვერ უზრუნველყო აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სხვა მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ მესამე პირს აქვს საგადასახადის გადამხდელის დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია.

ზემოხსენებულ ნორმათა საფუძველზე, მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიხადონ საწარმოს ვალი, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება ვერ უზრუნველყოფს აღიარებული საგადასა-

ხადო დავალიანების დაფარვას.

სასამართლომ უდავოდ ჩათვალა ის ფაქტი, რომ გადასახადის გადახდის ვალდებულება აქვს შპს „თ. და კ-ს“, თუმცა, უდავოა ისიც, რომ ეს საწარმო, არსებითად, გადახდისუუნაროა და ვალდებულებების შესრულების საშუალებები არ გააჩნია. ამის გამო, აპელანტის მოთხოვნა მოპასუხე ფიზიკური პირების მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ საფუძვლიანია, მაგრამ ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნამდე, აპელანტმა ჯერ შპს „თ. და კ-ს“ მიმართ უნდა ამოწეროს დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები და ისინი უნდა იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ უშედეგო. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთმანეთის მიმართ მოპასუხე ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შედეგად მცდარი გადანყვეტილების მიღება მოჰყვა, ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში სსიპ შემოსავლების სამსახურმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადანყვეტილების მიღების დროს არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, იურიდიულად იმდენად არასრულად დაასაბუთა გადანყვეტილება, რომ მისი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილი და არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი.

მხარის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ადგენს მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის სახეებს, კერძოდ: ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ დანაკლისს და მიუღებელ შემოსავალს.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული ნორმის ინტერპრეტაცია არასწორი და უსაფუძვლოა.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით დადგენილ „ფაქტობრივ დანაკლისისა“ და „მიუღებელი შემოსავლის“ ცნებებზე უნდა გავრცელდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნები. სასამართლომ კი მიუთითა, რომ საურავი წარმოადგენს სანქციას გადასახადის ძირითადი თანხის გადაუხდელობისათვის, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მხოლოდ გამამხდელი და საურავის გადახდა სანარმოს ხელმძღვანელობას არ დააკისრა.

შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ საურავი არის ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი, რომელიც წინასწარ იყო ცნობილი სანარმოს ხელმძღვანელობისათვის. მოპასუხეები აცნობიერებდნენ, რომ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საზოგადოებას დაერიცხებოდა საურავი. ამდენად, საურავი ზიანის გამომწვევი უშუალო შედეგია და, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ანაზღაურდეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით, საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ერიცხება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობისათვის.

ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ საურავი ერიცხება გადაუხდელი გადასახადის თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც მიმართულია ბიუჯეტის მიერ მისაღები კუთვნილი თანხების გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაკენ. იგი გადაიხდება გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებით გადასახდელი თანხის სახით, რაც შეადგენს კანონით განსაზღვრული გადასახდელი თანხის გარკვეულ პროცენტს (0,07%). საურავი მისი სამართლებრივი ბუნებით არის გადასახადის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული ფულადი საზღაური, მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ერთობლივად გადასახდელი თანხა.

ზიანის მიმყენებელი მხარე ვალდებულია, აანაზღაუროს როგორც ძირითადი ზიანი, ისე უშუალოდ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგიც და მიუღებელი შემოსავალიც. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, საურავი არის მიყენებული ზიანით „ერთობლიობაში დამდგარი უშუალო შედეგი“ და ერთობლივად გადასახდელი თანხა, თუ „მიუღებელი შემოსავალი“. შემოსავლების სამსახურს მიაჩნია, რომ ორივე შემთხვევაში დელიქტის წარმომშობი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი.

სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად შეაფასა ფაქტობ-

რივი გარემოებანი, შესაბამისად, მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა ოდენობა დააკისრა. სისხლის სამართლის განაჩენით კი დადგენილია, რომ მოპასუხეები ხელმძღვანელობდნენ და მოქმედებდნენ ერთად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ფ-მაც, მოითხოვა მისი გაუქმება იმ წინააღმდეგობით, რომლითაც თ. ფ-ს გ. და მ. კ-ძეებთან ერთად სოლიდარულად დაეკისრა 60814 ლარის გადახდა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რატომ არ დააკისრა თ. ფ-ს სხვებთან ერთად 7768 ლარის გადახდა. მართალია, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე გამოტანილი განაჩენის მიხედვით, თ. ფ-მ მონაწილეობა მიიღო გადასახადების დამალვაში 2007-2008 წლებში, რის გამოც მას არ უნდა დაეკისროს 2009 წლის დამალული გადასახადის გადახდა, მაგრამ ასეთი გარემოება არც ერთი განაჩენით არ დადგენილა. მეტიც, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დადასტურებულია, რომ თ. ფ-ს მსჯავრი დაედო 2007-2009 წლებში გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში, ამდენად, კასატორმა თავი აარიდა მთლიანად 68 582 ლარის გადახდას. აღნიშნული წარმოჩინდა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ზემოთ მითითებული განაჩენებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. თუ სააპელაციო პალატამ განაჩენის საფუძველზე ჩათვალა, რომ 2009 წლის გადასახადების ოდენობა იყო 9524 და არა 7768 ლარი, სასამართლოს აღნიშნულით უნდა ეხელმძღვანელა.

სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ თ. ფ-ს განაჩენი არ გაუსაჩივრებია. ფაქტობრივად, მხარემ იგი ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა ერთი დღით დაარღვია გასაჩივრების ვადა, რაც სასამართლომ აღარ აღუდგინა. ასევე არასწორია მითითება, რომ თ. ფ-მ გაასაჩივრა საგადასახადო შეტყობინა. აღნიშნული აქტის არსებობის შესახებ მხარემ შეიტყუო მხოლოდ მისი დაკავების მომენტიდან და მანამდე ვერც შეიტყუბდა, რადგან 2007 წლიდან კ-ძეებთან ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა. 2008 წლის მასში მათთან მოლაპარაკების დროს კ-ძეებთან დოკუმენტიც კი შეადგინეს, რომელიც ასახავდა, რა დავალიანება ჰქონდათ მამა-შვილს. მიუხედავად ამისა, კ-ძეებს თანხა ფირმის ანგარიშზე არ შეუტანიათ და არც გადასახადები გადაუხდიათ. ფაქტობრივად, პროდუქცია ისე რეალიზდებოდა, რომ საზოგადოებას თანხა არ მიეწოდებოდა, რის გამოც თ. ფ-მ მიმართა საგა-

მოძიებო ორგანოებს და მოითხოვა საგადასახადო შემონმებაც. აღნიშნულის შედეგად გამოვლინდა დამალული გადასახადებიც.

კასატორმა დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ იგი ფირმის საქმიანობაში არ მონაწილეობდა, კავშირი არ ჰქონდა ფინანსებთან და აღრიცხვასთან. კ-ძეების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ფირმიდან თაღლითური გზით თანხის მითვისების ფაქტზე, სადაც თ. ფ-ა ცნობილია დაზარალებულად.

თ. ფ-მ აღნიშნა, რომ მას მსჯავრი დაედო კ-ძეებთან ერთად გადასახადების გადახდისათვის თავის არიდების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით და კ-ძეებთან განზრახ წინასწარი შეთანხმებით თ. ფ-ს მოქმედების შემთხვევაში, მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო ამავე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. თუ მათ შორის შეთანხმება არ არსებობდა, თ. ფ-ა გადასახადების დამალვას ვერ შეძლებდა, რადგან საზოგადოების ბუღალტერიაზე ხელი არ მიუწვდებოდა.

კასატორის მოსაზრებით, თ. ფ-ს მიმართ განაჩენის არსებობა საკემარისი არ არის მისთვის სადავო თანხის უპირობოდ დაკისრებისათვის. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-8 მუხლების შესაბამისად, საზოგადოების დირექტორს წარმოადგენდა გ. კ-ძე, ხოლო მ. კ-ძეს ეკავა დომინანტური მდგომარეობა. ისინი საწარმოს მართვის საკითხებში კასატორს არ ახედებდნენ. სწორედ ამ მიზეზით მიმართა თ. ფ-მ საგამოძიებო ორგანოებს, ამავე კანონის მე-9, 56-ე, 57-ე მუხლების საფუძველზე მას არ ჰქონდა რაიმე ვალდებულება საზოგადოების მართვასთან, მით უმეტეს საგადასახადო ორგანოებში წარსადგენი დოკუმენტების შედგენასა ან ხელმოწერასთან დაკავშირებით. ამრიგად, სადავო დავალიანება მისი ბრალეული ქმედების შედეგად არ წარმოშობილა. იგი თავად დაზარალდა სხვისი დანაშაულის გამო, რადგან მოუწია საწარმოს ვალეების დაფარვა და უკანონოდ დაედო მსჯავრი.

მოცემულ შემთხვევაში, ვერ დადასტურდა თ. ფ-ს მიერ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტი, შესაბამისად, მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309-ე, მე-16 და მე-17 პრიმა მუხლების საფუძველზე ვერ წარმოიშობა, რადგან, ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, პალატამ თავად მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი არის არა ერთადერთი, არამედ



მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინებით – სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, ხოლო 26 ნოემბრის განჩინებით თენგიზ ფალავას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით კი ცნობილი იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და მეორე მხრივ, თენგიზ ფალავას საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. კ-ძე და თ. ფ-ა არიან შპს „თ. და კ-ს“ პარტნიორები, ხოლო გ. კ-ძე ამ საწარმოს დირექტორია.

2007 წლიდან 2009 შპს „თ. და კ-ს“ ახდენდა სარეცხი საშუალებების იმპორტსა და რეალიზაციას, თუმცა საწარმოს პარტნიორები და დირექტორი, გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად, სრულყოფილად არ აღრიცხავდნენ სავაჭრო ოპერაციებს. ამის გამო, საწარმომ თავი აარიდა 68 582 ლარის გადასახადის გადახდას. ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე შეადგინა 233 636 ლარი. ეს დავალიანება შპს „თ. და კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აღიარა, თუმცა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გამო, დავალიანების ამოღება სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის განჩინებით გ. კ-ძეს, მ. კ-ძესა და თ. ფ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ე.ი. დიდი ოდენობით გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ვინაიდან განსახილველი საკასაციო საჩივრები ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიას (შედავებას) არ შეიცავს, ისინი სავალდებულოა საკასაციო პალატისათვის.

სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს შპს „თ. და კ-ს“ დირექტორისა და პარტნიორებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, როგორც კომპანიის ძირითადი საგადასახადო დავალიანების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დაკისრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი.

გამომდინარე იქიდან, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია კომპანიის დირექტორს – გ. კ-ძეს, ხოლო კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორის – მ. კ-ძის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, გ. კ-ძისა და მ. კ-ძისათვის შპს „თ. და კ-ს“ საგადასახადო ვალდებულების გამო ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. თუმცა, იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, ეკისრებათ თუ არა აღნიშნულ პირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულება, საკასაციო პალატა იმსჯელებს შპს „თ. და კ-ს“ საგადასახადო ვალდებულებებისათვის მისი დირექტორისა და პარტნიორების პასუხისმგებლობის ზოგად სამართლებრივ საფუძვლებზე.

მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლომ უპირველესი ამოცანა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს,

რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „თ. და კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე გააჩნია საგადასახადო დავალიანება, რომელიც ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით შეადგენს 233 636 ლარს. აღნიშნული დავალიანება შპს „თ. და კ-მ“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აღიარა, თუმცა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გამო, დავალიანების ამოღება სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძველით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორებისაგან მოითხოვა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის გამოც მოთხოვნილია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებული იქნას კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავო ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზე დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-4-ე მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო, კომპანიისა და მისი კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის შინაარსის განსაზღვრად აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კომპანიის ვალდებულებებისათვის ერთის მხრივ, პარტნიორებისა და, მეორეს მხრივ, კომპანიის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველები.

ზოგადად კითხვაზე თუ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის, პასუხი ცალსახაა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირტესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორე მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (ბარგაინინგ პონერ), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო კრედიტორებს, როგორც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც, საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება.

მხედველობაში ჰქონდა რა საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათი, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიუთითონ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე, როცა ისინი იყენებენ განსაკუთრებულ ზომებს მათი საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად შეზღუდუ-

ლი პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირებთან მიმართებაში დამატებითი გარანტიების შექმნით. იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა გერმანიის ფედერალური საგადასახადო სასამართლოც, როდესაც დაადასტურა, რომ საგადასახადო ვალდებულებების აღსრულებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება გერმანიის საკონსტიტუციო სამართლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს.<sup>1</sup>

მრავალ ქვეყანაში ასეთი დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენება კომპანიის დირექტორებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადგენილია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეუძლია.

საქართველოს კანონმდებლობა ასეთ პირდაპირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, თუმცა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ.

სანარმოს ვალდებულებებისათვის პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ასევე, საკასაციო სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს შემდეგზე:

### **1. კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი**

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება.

---

<sup>1</sup> ECJ, Case C-212/97, March 9, 1999, note 37-Centros; Bundesfinanzhof, January 21, 1972, 1972 BStBl.364

ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კომპანიაში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. რაკი კომპანიას ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამენარმეო ურთიერთობების კონტექსტში.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.<sup>2</sup>

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კომპანიის მომგებიანობის

---

<sup>2</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Merkt in M&Kö zum GmbHG, §13,Rn.343; Raiser in Ulmer/Habersack/Lübbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §13,Rn.51; Fleischer in M&Kö zum GmbHG, §43,Rn.276; Walter G. Paefgen in Ulmer/Habersack/Lübbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §43,Rn.214; Haas/Ziemons in Michalski GmbHG Kommentar, 2.Aufl., §43,Rn.34; BGHZ 173, S.246; Zöllner /Noack in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §43,Rn.62a; Paefgen DB 2007, S1910f.

გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნას მიღწეული მთავარი მიზანი – კომპანიის მოგების გაზრდა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს უფლება დაადგეს ამ გზას: პირველი, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილები“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელება კომპანიის ხელმძღვანელებს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ კერძო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე კომპანიის წინაშე პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ, მაგრამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დარეგულირებული სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც.<sup>3</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ ეს უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

მოცემულ საქმეში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ კომპანიის დირექტორის გ. კ-ძის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე დადგენილია, რომ გ. კ-ძემ, კომპანიის პარტნიორებთან მ. კ-ძესთან და თ. ფ-სთან ერთად, თავი აარიდა კომპანიის გადასახადე-

<sup>3</sup> Wolfgang Schim, Tax and Corporate Governance at 40, MPI Studies on Intellectual Property, Competition and Tax Law, Volume 3, Max Planck Institute for Intellectual Property, Competition and Tax Law, Springer \_ Verlag Berlin Heidelberg (2008)



ბის, კერძოდ, 68 582 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას. გ. კ-ქმს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ მიიჩნევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპანიის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით დირექტორმა გ. კ-ქმ დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, რაც იწვევს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

საზოგადოების უარი დირექტორის მიმართ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადანყვითლებების შესასრულებლად.

ამრიგად, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოება ვალდებულია მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საშუალება კომპანიას არ გააჩნია და სანარმო, არსებითად, გადახდისუუნაროა.

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) სანარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ) სანარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნა დირექტორის მიმართ კომპანიას არ დაუყენებია.

ასეთ შემთხვევაში, „მენარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს საზოგადოებას დააყენოს დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა. იმავე კანონის ნორმებიდან გამომდინარე, სა-

ზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სანარმოს ჰყავს ერთი დირექტორი და ორი პარტნიორი, რომლებიც თავად არიან პასუხისმგებლობის სუბიექტები. ამიტომ საკასაციო პალატამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევაში, როცა ამკარაა, რომ სანარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას კრედიტორის მხრიდან არავითარი შედეგი არ ექნება, კრედიტორმა მის მიმართ საზოგადოების ვალდებულების შესრულება მოითხოვოს უშუალოდ საზოგადოების დირექტორისაგან?

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც სანარმოს უარს დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილად მიიჩნევს, თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს უფლება აქვს უშუალოდ მოთხოვოს ანაზღაურება დირექტორისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე ნათელია, რომ კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა სანარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ე.ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია.

რაც შეეხება კრედიტორის წინაშე დირექტორის ვალდებულების მოცულობას, აღნიშნულის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ გ. კ-ძეს დააკისრა სუბსიდიური პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ დარიცხული გადასახადის მხოლოდ ძირითადი თანხის ოდენობით, საგადახადო კოდექსით გათვალისწინებული საურავის ნაწილში კი უარი უთხრა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ დირექტორს უნდა დაეკისროს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდაც შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლე-

ბა დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისა-  
გან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ  
ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება.  
პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის  
გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთა-  
ვარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს  
მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფ-  
ლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგი-  
ვე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამო-  
უკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან.<sup>4</sup>

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც  
უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება —  
ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენო-  
ბის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოე-  
ბას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასია-  
თის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამა-  
ტებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვე-  
ვის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქ-  
მნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პი-  
რის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას,  
მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს  
ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მი-  
ერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულე-  
ბაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა  
ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნ-  
ქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შეს-  
რულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს  
ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზე-  
მოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯე-  
როვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქ-  
მედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულე-

---

<sup>4</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურე-  
ბებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და  
პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-  
გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად  
ib., Gottwald, in *MeKo BGB*, 6. Aufl. Band II §340, Rn.15; Rieble in *Staudinger*  
*BGB* Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340, Rn.71; *BGH NJW* 1975, S.  
164f. *Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm.* 2. Aufl., Rn.6; *BGH*  
*NJW* 1963, S.1197.

ბის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მართივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელმეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად ითვლება პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტივითაა დადგენილი. მასასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელმეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელმეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც არის იგი დადგენილი კანონმდებლის მიერ. მეორე განმასხვავებელ ნიშნად, მისი განსაზღვრულობა გვევლინება – კანონმდებელი ყოვეთვის ადგენს მის ან კონკრეტულ ოდენობას, ანდა წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა.

საურავი, ისევე როგორც ჯარიმა, წარმოადგენს პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულები პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას გადაუხადოს დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი (იხ., სუს 07.11.2011წ.-ის განჩინება №ას-1298-1318-2011). ასევე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის სახელმწიფო სადაზ-

ღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, მიმწოდებლისა და აფთიაქისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ამ წესით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლისა და აფთიაქის სასარგებლოდ გადაიხადოს 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზღაურებელი თანხის 0,02%, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს მთლიანი თანხის გადახდის ვალდებულებისაგან (იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება №ას-1284-1226-2013).

შესრულებისა და საურავის მოთხოვნა კრედიტორს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. შესრულების ვადის გადაცილებისათვის დადგენილი საურავი იმავე ინტერესს მოიცავს, რასაც ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია აირჩიოს – მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდევინება თუ ორივე. ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების და პირგასამტეხლოს კუმულაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირგასამტეხლო და ზიანი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესების დაკმაყოფილებას არ გულისხმობს.

საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველმყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი.

საკაცაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლო. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომე-

ლიც პირს ერიცხება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობისათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საურავი ერიცხება გადაუხდელი გადასახადის თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც მიმართულია ბიუჯეტის მიერ მისაღები კუთვნილი თანხების გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაკენ. იგი გადაიხდება გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებით გადასახდელი თანხის სახით, შეადგენს კანონით განსაზღვრული გადასახდელი თანხის გარკვეულ პროცენტს. მისი ოდენობა საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად (28.12.2012წ.-მდე მოქმედი რედაქცია) შეადგენდა 0,07%-ს. საურავი მისი სამართლებრივი ბუნებით არის გადასახადის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული ფულადი საზღაური, მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ერთობლივად გადასახდელი თანხა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ 28.12.2012წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მონესრიგება, გამოიყენება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით და ვერ იქნება გამოყენებული განსახილველი შემთხვევის მიმართ, რადგან სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა. ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება საქმე №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება საქმე №ას-1284-1226-2013.

## 2. კომპანიის პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამენარმეო სამართალში „კორპორატიული საფარველის გაჭოლის“ ან სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, ვალდებულების შესრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პატნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით, სამოსამართლო სამართალი განეგრცო აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმოადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრა-

ვალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არანებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.<sup>5</sup>

---

<sup>5</sup> საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §13,Rn.45; Wiedmann ZGR 2003,283,288; BGH GmbHR 1986, S.78; BGH GmbHR 1994, S.390; BGH GmbHR 2006,S.426; BGH GmbHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm.,18.Aufl. §13,Rn.19; BGH GmbHR 2008, S.805; Altmeppen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHR 2008, S.800f; Altmeppen in Roth/Altmeppen GmbHG Komm. 7.Aufl., §13,Rn.149; Altmeppen, Abschied von Durchgriff in `Kapitalgesellschaft~ NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in M&K zum GmbHG Anh. §13,Rn.593.



როგორც უკვე აღნიშნა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორატიული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. კ-ძე და თ. ფ-ა წარმოადგენდნენ საზოგადოების პარტნიორებს. სასამართლომ მ. კ-ძისა და თ. ფ-ს მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განაჩენის საფუძველზე დაადგინა, რომ მ. კ-ძემ და თ. ფ-მ განზრახ თავი აარიდეს გადასახადებს, კერძოდ მ. კ-მ თავი აარიდა 68 582 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას, ხოლო თ. ფ-მ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 2007-2008 წლების, ანუ 60 814 ლარის გადასახადისაგან თავი არიდებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში მითითებული ფაქტები დადასტურებულია, რასაც არ

იზიარებს საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ამ საქმესთან მიმართებაში სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ განუხილველად იქნა დატოვებული, ამიტომ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოსთვის მ. კ-ძის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დადგენილ ფაქტები სავალდებულოა.

სასამართლოს განაჩენით კი, დადასტურებულია, რომ მ. კ-ძე ახორციელებდა შპს „თ. და კ-ს“ ფაქტობრივ ხელმძღვანელობას და წყვეტდა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ქირაობდა თანამშრომლებს, უზენადაა მათ ხელფასს, ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას, შემოჰქონდა საქონელი, ადგენდა საქონლის სარეალიზაციო ფასს, ატარებდა ყოველთვიურ აღწერებს. ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელი იყო, მოუწესრიგებელი იყო ხელფასების გაცემა. არ ხდებოდა სახელფასო უწყისების წარმოება, თანამშრომლებს ხელფასები ძირითადად ხელზე ეძლეოდათ მ. კ-ძის მხრიდან და ეს ძირითადად ხდებოდა ნავაჭრი თანხიდან. საგადასახადო შემონმებისას გამოვლენილ იქნა ე.წ. შავი ჩანანერები. შემონმებით გაირკვა, რომ საზოგადოება კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით არ ახორციელებდა ბუღალტრულ აღრიცხვას და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. შემონმებით დადგინდა, რომ საზოგადოებას დამალული ჰქონდა ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები.

ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მ. კ-ძესთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. კ-ძის ქმედებები წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და შემოსავლების სამსახურის წინაშე მისი პასუხის-

მგებლობა უნდა განისაზღვროს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. კ-ძის პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ პარტნიორი პასუხს აგებს მხოლოდ კომპანიის ძირითადი საგადასახადო დავალიანების მოცულობით და მასში არ შედის გადასახადებზე დარიცხული ჯარიმა-საურავები. საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე გადანყვეტილებაში მოცემულ მსჯელობაზე, რომელიც შეეხება ძირითადი საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობის გამო, კომპანიის დირექტორისათვის საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად საურავის დაკისრების მართლობიერებას და სრულად იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას პარტნიორისათვის საურავის გადახდის დაკისრების ნაწილში.

ხოლო რაც შეეხება მ. კ-ძისა და გ. კ-ძის პასუხისმგებლობის ფორმას, საკასაციო პალატა პასუხისმგებლობის სოლიდარული ფორმის მნიშვნელობიდან და აგრეთვე, საკასაციო სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს როგორც მ. კ-ძისა და გ. კ-ძის პასუხისმგებლობის ფორმაზე ისე, ზოგადად სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თავისებურებებზე.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა უმეტესობა მარტივი სახისაა და როგორც წესი, მასში მონაწილეობს ერთი კრედიტორი და ერთი მოვალე. როგორც 316-ე მუხლის დანაწესიდან ჩანს, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოდელიც, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში ერთი მოვალისა და ერთი კრედიტორის არსებობის პრეზუმფციიდან გამოდის. დღევანდელ ეკონომიკურ-სამართლებრივ რეალობაში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რთულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა მატების ტენდენცია, რომელშიც ერთ ან მეორე მხარეზე, ან ორივეზე ერთდროულად რამდენიმე კრედიტორი ან მოვალე მონაწილეობს.

სოლიდარული ვალდებულება ვალდებულებით – სამართლებრივ ურთიერთობებში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული და რთული სახეა.

სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან

მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანდა თითოეულ მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ანდა თითოეული მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან. ვალდებულებაში წილობრივად მონაწილე ნებისმიერ პირს ვალდებულების შესრულება მხოლოდ კუთვნილი წილის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს და შესაბამისად, მას მხოლოდ ამ წილის ოდენობით ეკისრება შესრულების ვალდებულება.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია ორ ნაწილად დაეყოთ – „გარე“ და „შიდა“ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებად და მოვალეობებად. „გარე“ ურთიერთობა გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს ვალდებულების მეორე მხარის მიმართ გააჩნია. რაც შეეხება შიდა ურთიერთობას, იგი ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს ერთმანეთთან მიმართებაში.

როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს წილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში წილობრივი ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მონესრიგებული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა წილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვავებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“

ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდებულების შესრულებაზე ვალდებული ანდა მის მიღებაზე უფლებამოსილი.

წილადი მონაწილეობისაგან განსხვავებით, ვალდებულებაში სოლიდარული მონაწილეობის დროს კანონი იძლევა პასუხს სოლიდარულ მონაწილე პირთა წილების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულებაში მონაწილე სოლიდარულ უფლებამოსილ პირებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სოლიდარული ვალდებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს. მუხლის დანაწესით, თუკი რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლიდარული მოვალეები ეწოდებათ. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე ნინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი. გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. ამასთან, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება თითოეულის ვალდებულება კრედიტორის წინაშე. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, კრედიტორის მოთხოვნები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ერთიანი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობდეს.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინ-

ტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, თითოეული მათგანი მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე იყოს ვალდებული. ამით განსხვავდება სოლიდარული ვალდებულება ნილობრივი ვალდებულებისგან. ნილობრივი ვალდებულების დროს ნილობრივი მოვალე მხოლოდ თავისი ნილის ფარგლებში არის პასუხისმგებელი. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია.

სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია. სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა.

კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ზიანის დადგომაში მონაწილე პირების სოლიდარულ პასუხისმგებლობას აწესებს.

განსაკუთრებით ხშირია კანონისმიერი საფუძვლები საკორპორაციო სამართალში. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების (კს) პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები), მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებისათვის სოლიდარულად. ასევე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მუხლის თანახმად, საწარმოს დაფუძნებამდე საწარმოს სახელით მოქმედ პირებსა და საწარმოს დამფუძნებლებს.

სოლიდარული ვალდებულების დროს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება დაწარჩენ მოვალეებსაც ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება კომპანიის მეორე პარტნიორს – თ. ფ-ს, საკასაციო სასამართლო იზიარებს მის საკასაციო საჩივარში გამოთ-

ქმულ პრეტენზიას, რომ სასამართლომ მისი ბრალეულობა დაადგინა საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თ. ფ-ს მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, რომ იგი საწარმოს საქმიანობაში არ მონაწილეობდა და ხელი არ მიუწვდებოდა ფინანსურ და საგადასახადო დოკუმენტაციაზე, რომ კომპანიის დირექტორს წარმოადგენდა გ. კ-ძე, ხოლო პარტნიორს მ. კ-ძეს ეკავა დომინანტური მდგომარეობა. ისინი საწარმოს მართვის საკითხებში თ. ფ-ს არ ახედებდნენ. სწორედ ამ მიზეზით მიმართა თ. ფ-მ საგამოძიებო ორგანოებს და მოითხოვა საგადასახადო შემონემა, რის შედეგადაც გამოვლინდა დამალული გადასახადები. ამრიგად, სადავო დავალიანება მისი ბრალეული ქმედების შედეგად არ წარმოშობილა. იგი თავად დაზარალდა სხვისი დანაშაულის გამო, რადგან მოუწია საწარმოს ვალების დაფარვა და უკანონოდ დაედო მსჯავრი. მას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-8, 56-ე და 57-ე მუხლების თანახმად არავითარი ვალდებულება არ ჰქონდა დაკისრებული და მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპანიის დამფუძნებელი იყო, არ უნდა გახდეს მასზე თანხების დაკისრების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ თ. ფ-ს მითითებას, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მისთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ფ-სთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები: თ. ფ-ა საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ახორციელებდა თუ არა ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავდა საწარმოს გადასახადებისაგან თავის არიდებას, კერძოდ, მონაწილეობდა თუ არა არასწორი საბუღალტრო დოკუმენტაციის მომზადებაში, ე.წ. შავი ჩანაწერების შედგენაში, თანამშრომლების ხელფასების კანონის დად-

გენილი წესის დარღვევით გაცემაში, სავაჭრო ოპერაციების არასწორად ასახვაში და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების უკანონოდ წარმოებაში.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს თ. ფ-სთან მიმართებაში საქმის ფაქტობრივი გარემოებები სრულყოფილად არ დაუდგენია და არც მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოუკვლევა, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას თ. ფ-ს მიმართ სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმის გარემოებებს და თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. კ-ძისა და მ. კ-ძის მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის ნაწილში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ ნაწილში თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი გ. კ-ძისა და მ. კ-ძის მიმართ მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მათ მიმართ სრულად დაკმაყოფილდება სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეუბნის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სა-



აპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ფ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თ. ფ-სთან მიმართებაში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და თ. ფ-ს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, მოპასუხეებს – გ. და მ. კ-ძეებს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ შპს „თ. და კ-ს“ ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 233,636 ლარის გადახდა, ხოლო თ. ფ-ს მიმართ საქმე უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის იმავე შემადგენლობას ხელახლა განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე სსიპ შემოსავლების სამსახური სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია, შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში მოპასუხეებს – გ. და მ. კ-ძეებს უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის იმ ოდენობით გადახდა, რასაც მოსარჩელე გადაიხდის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველი რომ არ არსებულიყო, კერძოდ, სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე – 45721,3 ლარის (68582 ლარი სააპელაციო სასამართლომ სოლიდარულად დააკისრა თ. ფ-

ს, გ. და მ. კ-ძეებს, შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილდა სამი მოპასუხიდან მხოლოდ ორი მათგანის მიმართ და სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც დაკისრებული თანხის 2/3-ით უნდა განისაზღვროს) სულ 7% – 3200,5 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 165.054 ლარის 5%, იურიდიული პირისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა – 8000 ლარი. ამდენად, გ. და მ. კ-ძეებს უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის, სულ – 11200,5 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურისა და თ. ფ-ს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, მოპასუხეებს – გ. და მ. კ-ძეებს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ შპს „თ. და კ-ს“ ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დაეკისროთ 233636 ლარის გადახდა;

4. თ. ფ-ს მიმართ საქმე დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის იმავე შემადგენლობას ხელახლა განსახილველად;

5. გ. კ-ძესა (პირადი №...) და მ. კ-ძეს (პირადი №...) სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სახელმწიფო ბაჟის, სულ – 11200,5 ლარის გადახდა.

6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ბარიგებანი ბარიგების ბათილობა

#### ბანჩინება

№ას-1193-1138-2013

31 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** ქონების უმკვიდროდ ცნობა, საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 23 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ც. ჯ-ქმ მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების უმკვიდროდ ცნობა და აღნიშნული ქონების მესაკუთრედ აღიარება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოთი.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით:

1. ც. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა;
2. ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონება ცნობილ იქნა უმკვიდრო ქონებად და იგი უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ც. ჯ-ქს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრე-

ბული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. ჯ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

პრივატიზაციის ხელშეკრულების ასლით (რეესტრი №...) ირკვეოდა, რომ 1993 წლის 9 სექტემბერს კ. ვ-სა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს №4 საბინაო საექსპლოატაციო უბნის წარმომადგენელეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე, კ. ვ-ს პრივატიზაციის გზით, უსასყიდლოდ გადასცა ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონება;

1993 წლის 9 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების ასლის მეორე გვერდზე გაკეთებულია შემდეგი სახის შენიშვნა: ქალაქის მერის 1994 წლის №105 განკარგულების თანახმად, მერიის ტექნიურის 01.03.98 წ. №39 მიმართვით (რიგი 24) გადაეცა: 1. ფორმა №2, 2. გეგმა, 3. ექსპლიკაცია, 4. სანოტ. ხელშეკრულება. სალიკვ. კომისიის თავ-რე: /ვ. ბ-შვილი/. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე გაკეთებული შენიშვნის ავტორი – ვ. ბ-შვილი წარმოადგენდა კერძო ტექნიურის უფროსს, რომელიც აგროვებდა და რეესტრში რეგისტრაციისათვის აგზავნიდა უფლების დამდგენ დოკუმენტებს;

ქ.ქუთაისის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით ქუთაისში, ... №11-ში (... №7-7ა-7ბ-7ვ-9ა-9ბ-11-ში) მდებარე უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში, კ. ვ-ს სახელზე ბინა №27-ზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი არ არის. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მისამართის სააღრიცხვო ბარათში ბინა №27-ზე უფლება აღრიცხული არ არის;

სსგს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათის თანახმად, ც. ჯ-ძე 1993 წლის 21 ოქტომბრიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში;

გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, კ. ვ-ი გარდაიცვალა 2002 წლის 5 აგვისტოს;

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2013 წლის 16 აპრილის №16/1887 წერილით ირკვევა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სანოტარო არქივში ინახება ნოტარიუს პ. ბ-ძის მიერ 1993 წლის 9 სექტემბერს დამონმებული პრივატიზაციის ხელშეკრულება (რეესტრი №...), თანდართული დოკუმენ-

ტებით;

სისპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის №16/1817 წერილით ირკვევა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ მოიძებნა ინფორმაცია 2002 წლის 2 აგვისტოს გარდაცვლილი კ. ვ-ს დანაშთი ქონების თაობაზე;

საქმეში წარმოდგენილი 1993 წლის 12 მაისის ხელწერილით ირკვევა, რომ ც. ჯ-ძემ კ. ვ-საგან იყიდა საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში, რაშიც გადაიხადა 150000 მანეთი. კ. ვ-ი ვალდებული იყო ც. ჯ-სათვის გაეფორმებინა აღნიშნული ბინა. გაფორმების ხარჯები უნდა გადაეხადა ც. ჯ-ძეს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის, 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსარგებლე“ არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად, ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. აღნიშნული ნორმის თანახმად, მართლზომიერი მფლობელობისათვის

აუცილებელია, მოსარგებლეს ეს უფლება მიღებული ჰქონდეს მესაკუთრესთან დადებული გარიგების შედეგად, ან სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ ც. ჯ-ძესა და კ. ვ-ს შორის, სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ურთიერთობა მონესრიგებულ იყოს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით, აუცილებელი იყო, ამ უძრავ ქონებაზე კ. ვ-ის საკუთრების უფლების დადგენა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 1515-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებე-

ლია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციებს ახორციელებდნენ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დღეისათვის მოქმედი საჯარო რეესტრი და საჯარო რეესტრის ჩამოყალიბებამდე არსებული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროები ერთსა და იმავე ფუნქციებს ახორციელებდნენ და ერთ-ერთ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკმარისია ამ უფლების დადგენისათვის. საქართველის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-7 და მე-13 პუნქტების თანახმად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან. საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება დადებულია ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. შექმნილი ბინის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება ხორციელდება მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ანალოგიურად.

ზემომოთხილებული ნორმების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავ ქონებაზე კ. ვ-ის საკუთრების უფლება დასადგენად, აუცილებელია ეს უფლება რეგისტრირებული იყოს ტექნიკური ბიუროს მონაცემებში, ან საჯარო რეესტრში. „რეესტრის ხელმისაწვდომობის შესახებ“, 2013 წლის 14 მარტის № თთ 2013011692-03 გადაწყვეტილებისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, ქ.ქუთაისში, ...ის №11/27-ში მდებარე უძრავი ქონება კ. ვ-ს პრივატიზაციის გზით უსასყიდლოდ გადაეცა, თუმცა ტექნიკური ბიუროს არქივში უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (პრივატიზაციის ხელშეკრულება) წარდგენილი არ ყოფილა და მასზე კ. ვ-ს საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ მომხდარა. უფრო მეტიც, ამ დრომდე ზემოაღნიშნული მისამართის სააღრიცხვო ბარათში ბინა №27-ზე უფლება აღრიცხული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ.ქუთაისში, ...ის

№11/27-ში მდებარე უძრავი ქონება კ. ვ-ს საკუთრებას არ წარმოადგენდა და ამ ქონების გასხვისების უფლება მას არ გააჩნდა. შესაბამისად, ქ.ქუთაისში, ...ის №11/27-ში მდებარე უძრავი ქონებაზე კ. ვ-სა და ც. ჯ-ძეს შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, ც. ჯ-ძე არ წარმოადგენდა ამ კანონით განსაზღვრულ „მოსარგებლეს“, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უმკვიდროდ ითვლება ისეთი ქონება, რომელზეც არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან რომელსაც არც ერთი მემკვიდრე არ მიიღებს.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ ქ.ქუთაისში, ...ის №11/27-ში მდებარე უძრავი ქონება კ. ვ-ს საკუთრებას არ წარმოადგენდა. ამდენად, მისი გარდაცვალების შემდგომ, აღნიშნული ქონება კ. ვ-ს სამკვიდრო ქონებად ვერ მიიჩნეოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ქ.ქუთაისში, ...ის №11/27-ში მდებარე უძრავი ქონების უმკვიდრო ქონებად აღიარების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქ.ქუთაისში, ...ის №11/27-ში მდებარე უძრავი ქონება კ. ვ-ს საკუთრება არ იყო, ხოლო ც. ჯ-ძე არ წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იმ „მოსარგებლეს“, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარების შესახებ, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. ჯ-ძემ.

#### **საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

დავის გადაწყვეტისას სასამართლომ არ გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც იმით დაასაბუთა,

რომ სამკვიდრო ქონების ტექალრიცხვის ბიუროში კ. ვ-ს საკუთრებაში რეგისტრაცია არ მომხდარა, თუმცა სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი პრივატიზაციის ხელშეკრულება მასზე არსებული მინაწერებით შეაფასა და ხელშეკრულების სიყალბეზე არ უმსჯელია. კ. ვ-ს დასახელებული ხელშეკრულების საფუძველზე უკვე გააჩნდა მესაკუთრის სტატუსი და მან, როგორც მესაკუთრემ, თავისი თანხმობით მოახდინა მყიდველის – ც. ჯ-ის ბინაში ჩანერა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მოსარჩელეს დააკისრა მტკიცების ტვირთი, კერძოდ, საჯარო რეესტრიდან იმ ინფორმაციის გამოთხოვა, რომ სადავო ბინაზე კ. ვ-ის უფლება რეგისტრირებული იყო, მაგრამ კასატორისათვის გაუგებარია, თუ ვინ და სად დაკარგა შესაბამისი დოკუმენტები, იგი არ არის პასუხისმგებელი მათ შენახვაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1993 წლის 9 სექტემბერს კ. ვ-სა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს №4 საბინაო საექსპლოატაციო უზნის წარმომადგენელს შორის დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე, კ. ვ-ს უსასყიდლოდ გადაეცა ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში მდებარე უძრავი ქონება;

1993 წლის 9 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების მეორე გვერდზე გაკეთებულია შემდეგი სახის შენიშვნა: ქალაქის მერის 1994 წლის №105 განკარგულების თანახმად, მერიის ტექბიუროს 01.03.98 წ. №39 მიმართვით (რიგი 24) გადაეცა: 1. ფორმა №2, 2.გეგმა, 3. ექსპლიკაცია, 4. სანოტ. ხელშეკრულება. სალიკვ. კომისიის თავ-რე:/ვ. ბ-შვილი/. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე გაკეთებული შენიშვნის ავტორი – ვ. ბ-შვილი იყო კერძო ტექბიუროს უფროსი, რომელიც აგროვებდა და რეესტრში რეგისტრაციისათვის აგზავნიდა უფლების დამდგენ დოკუმენტებს;

ქ.ქუთაისის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით – ქ.ქუთაისში, ...ის №11-ში (...ის №7-7ა-7ბ-7ვ-9ა-9ბ-11-ში) მდებარე უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში, კ. ვ-ს სახელზე ბი-



ნა №27-ზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი არ არის. ზემოაღნიშნული მისამართის სააღრიცხვო ბარათში ბინა №27-ზე უფლება აღრიცხული არ არის;

სსგს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათის თანახმად, ც. ჯ-ძე 1993 წლის 21 ოქტომბრიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში;

გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, კ. ვ-ი გარდაიცვალა 2002 წლის 5 აგვისტოს;

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2013 წლის 16 აპრილის №16/1887 წერილით ირკვევა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სანოტარო არქივში ინახება ნოტარიუს პ. ბძის მიერ 1993 წლის 9 სექტემბერს დამონმებული პრივატიზაციის ხეკლმეკრულება (რეესტრი №...), თანდართული დოკუმენტებით;

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის №16/1817 წერილით ირკვევა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ მოიძებნა ინფორმაცია 2002 წლის 2 აგვისტოს გარდაცვლილი კ. ვ-ს დანაშთი ქონების თაობაზე;

საქმეში წარმოდგენილი 1993 წლის მისის ხელწერილით ირკვევა, რომ ც. ჯ-ძემ კ. ვ-საგან იყიდა საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში, რაშიც გადაიხადა 150000 მანეთი. კ. ვ-ი ვალდებული იყო ც. ჯ-ძისათვის გაეფორმებინა აღნიშნული ბინა. გაფორმების ხარჯები უნდა გადაეხადა ც. ჯ-ძეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე არ ვრცელდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი, კერ-

ძოდ, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (კანონის პირველი მუხლი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სპეციალური მოწესრიგება უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას, კერძოდ, ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული კანონით წესრიგდება არა ყველა ის ურთიერთობა, რაც უძრავი ნივთის თაობაზე დადებულ ფორმალურ გარიგებასთანაა დაკავშირებული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ მოწესრიგებას.

პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებული იყვნენ დაეცვათ უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის იმ დროს მოქმედი წესები, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესების დარღვევა უკავშირდებოდა გარკვეულ ობიექტურ ვარაუდებს, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროს მოქმედი სამართლებრივი სივრცისათვის, კერძოდ, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება იმ დროს ბევრად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დანაწესებზე, რაც ხელს უშლიდა თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში ხშირად მხარეთა ურთიერთობა არ სცილდებოდა მათი ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ 1993 წლის მაისის ხელწერილის მიხედვით, ც. ჯ-ქემ კ. ვ-საგან იყიდა საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №11/27-ში, რაშიც გადაიხადა 150000 მანეთი. კ. ვ-ი ვალდებული იყო ც. ჯ-ძისათვის გაეფორმებინა აღნიშნული ბინა. გაფორმების ხარჯები უნდა გადაეხადა ც. ჯ-ძეს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმალურ გარიგებას, რაც მხარეებს შეეძლოთ აღერიცხათ იმ დროს მოქმედი წესების დაცვით, მაგრამ არ აღრიცხეს, რაც არ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ობიექტურ შეზღუდვებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინ-

ნებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სადავო ურთიერთობა არ განეკუთვნება იმ ურთიერთობათა კატეგორიას, რომელიც ზემოაღნიშნული კანონით სპეციალურ მონესრიგებას საჭიროებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა შეფასდეს 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მონესრიგდეს ამ კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტებით, რაც წარმოადგენდა ამ ურთიერთობის მომნესრიგებელ სამართლებრივ საფუძველს. 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამავე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, ბათილია გარიგების თითოეული მხარე მოვალეა, დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო, როცა მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულით, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები (ზემოხსენებული განმარტება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ, 23.06.2011წ., საქმე №ას-174-164-2011-ნ-შვილი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე და 410-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ც. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის განჩინება;
3. კასატორი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მოჩვენებით დაღებული გარიგება

### განჩინება

№ას-1341-1379-2014

1 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 8 თებერვალს სს „საქართველოს ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ჩ-ს, ლ. კ-ძის, მ. ჩ-ს, ი. ხ-შვილის და ნ. ტ-ძის მიმართ 2012 წლის 5 ოქტომბრის ნასყიდობისა და 2012 წლის 7 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2012 წლის 7 ნოემბერს ი. ჩ-სა და მ. ჩ-ს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად ი. ჩ-მა საკუთრებაში არსებული 66,25% წილი შპს „ბ-ში“ აჩუქა თავის დას, მ. ჩ-ს. მხარეთა შეთანხმებით გაჩუქებული წილის ნომინალური ღირებულებაა 8 994 100 ევრო. 2012 წლის 7 ნოემბერს, ი. ჩ-სა და ი. ხ-შვილს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულებები, რომლის

თანახმად, ი. ჩ-ს საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებები, მდებარე, ქ. თბილისი, ...ის №23/1, ბინა 5 და ქ. თბილისი, ...ის №17 საკუთრებაში გადაეცა ი. ხ-შვილს.

2012 წლის 5 ოქტომბერს ლ. კ-ძეს და ნ. ტ-ძეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლ. კ-ძის კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ...ის №24, ბინა 32 გადაეცა საკუთრებაში ნ. ტ-ძეს.

2010 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ლ. კ-ძეს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-გ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლ. კ-ძემ იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის, შპს „ნ. ე-ს“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით ან ექვივალენტით ეროვნული ვალუტაში. 2011 წლის 12 ივლისს ლ. კ-ძესთან გაფორმდა ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის შესახებ №ჩა000000830, რომლის თანახმადაც მან იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის შპს „ნ. ე-ს“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრა 50 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2010 წლის 14 ივნისს ი. ჩ-თან გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-ბ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მან იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის, შპს „ნ. ე-ს“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრა 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2012 წლის ოქტომბრიდან შპს „ნ. ე-მ“ შეწყვიტა სასესხო ვალდებულებების გადახდა და შეიქმნა კრედიტების დაფარვის საფრთხე. 2012 წლის 3 დეკემბერს შპს „ნ. ე-ს“ მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიხსნა გადახდისუუნარობის წარმოება. ბანკის, როგორც კრედიტორის მიერ წარდგენილ იქნა მოთხოვნა 60 273 709.88 ლარზე. პარალელურად ბანკმა აღძრა სარჩელი შპს „ნ. ე-ს“, შპს „ნ. რ. გ.“-ს, შპს „ლ-ნ“-ის, ი. ჩ-ს, ს. ჩ-ს, ნ. შ-შვილის და ლ. კ-ძის მიმართ. დავალიანების დასაფარად მოსარჩელემ მოითხოვა იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონებების სარეალიზაციოდ მიქცევა. მისი განმარტებით, შპს „ნ. ე-ს“ სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს მოძრავი ქონება, რომლის ღირებულებაა მხარეთა შეფასებით ხელშეკრულების დადების დროისთვის 5 427 200 აშშ დოლარი,

უძრავი ქონების ღირებულებაა 1 571 300 აშშ დოლარი, ხოლო მთლიანი დავალიანებაა 34 706 210.07 ლარი და 2 640.11 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოსარჩელის აზრით, დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული ქონება ვერ უზრუნველყოფს სრულად მოპასუხის დავალიანების ამოღებას მოსარჩელის წინაშე. შესაბამისად, დარჩენილი დავალიანების ამოღება უნდა მოხდეს მსესხებლის და თავდებების სხვა ქონებიდან, ხოლო თავდებების მიერ თავიანთი ქონებების ოჯახის წევრებზე მოჩვენებითად გასხვისების მიზანი არის ბანკის წინაშე აღებული ვალე-ბულებისათვის თავის არიდება.

2013 წლის 11 მარტს „საქართველოს ბანკმა“ მეორე სარჩელით მიმართა სასამართლოს ი. ჩ-ს, ლ. კ-ს, ლ. ჩ-ს და უ. კ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა 2012 წლის 7 ნოემბერს ი. ჩ-სა და ლ. ჩ-ს შორის გაფორმებული კომპანიის წილის ჩუქების ხელშეკრულების, ასევე 2012 წლის 14 ნოემბერს ლ. კ-ძესა და უ. კ-ძეს შორის გაფორმებული კომპანიის წილის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა იმავე ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე დაფუძნებით, რასაც უთითებდა მოსარჩელე მის მიერ წარდგენილ პირველ სარჩელში.

ორივე სარჩელში მოპასუხეებმა სარჩელები არ ცნეს და აღნიშნეს, რომ, ერთის მხრივ, ლ. კ-ძესა ი. ჩ-ს, ხოლო მეორეს მხრივ, დანარჩენ მოპასუხეებს შორის ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების დადებას არავითარი კავშირი აქვს სს „საქართველოს ბანკთან“ დადებულ თავდებობის ხელშეკრულებებთან. ლ. კ-ძესა და ი. ჩ-ს სს „საქართველოს ბანკთან“ შესასრულებელი ვალდებულება არ გააჩნიათ. მოპასუხეების აზრით, გაურკვეველია სს „საქართველოს ბანკის“ მიერ გაკეთებული შეფასება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლთან მიმართებაში და აღნიშნული მუხლის შინაარსის დაკავშირება ლ. კ-ძისა და ი. ჩ-ს მიერ დადებულ გარიგებებთან. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებდა. მოპასუხეები ასევე არ დაეთანხმნენ მოსარჩელის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ დადებულ ნასყიდობის და ჩუქების ხელშეკრულებებს არ მისცემია მსვლელობა, რაც, მათი აზრით, ცრუ გარემოებას წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ივნისის მოსამზადებელ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის, სს „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ; სამოქალაქო საქმე №2/1518-13 სს „საქართველოს ბანკის“ სარჩე-

ლის გამო მოპასუხეების ი. ჩ-ს, ლ. კ-ძის, მ. ჩ-ს, ი. ხ-შვილის და ნ. ტ-ძის მიმართ ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე, ასევე სამოქალაქო საქმე №2/2928-13 სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელის გამო მოპასუხეების ი. ჩ-ს, ლ. კ-ძის, ლ. ჩ-ს და უ. კ-ძის მიმართ, ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე გაერთიანდა ერთ საქმის წარმოებად და მიენიჭა №2/2928-13 საქმის ნომერი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა სს „საქართველოს ბანკმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სს „საქართველოს ბანკის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

2010 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ლ. კ-ძეს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-გ ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-ძემ იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – 514587-517830) ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2010 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ი. ჩ-ს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-ბ ხელშეკრულება, რომლითაც ი. ჩ-მა იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – 514587-517830) ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2011 წლის 12 ივლისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ლ. კ-ძეს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №CAS000000830 ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-ძემ იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – GGL000000621)

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 50 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

ლ. კ-ძესა და ნ. ტ-ძეს შორის 2012 წლის 5 ოქტომბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. გამყიდველმა (ლ. კ-ძე) მყიდველს (ნ. ტ-ძე) 250 ათას ლარად მიჰყიდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... №24-ში, მე-2 სადარბაზო, სართული 4, ბინა №32, ფართი – 210.72 კვ.მ. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, ნასყიდობის საგანი უფლებრივად უნაკლოა.

ი. ჩ-სა და ლ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა ძმას – ლ. ჩ-ს აჩუქა შპს „მ-ი“ (სადენტიფიკაციო კოდი – ...) მის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი.

ი. ჩ-სა და მის მეუღლეს — ი. ხ-შვილს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ი. ჩ-მა დასაჩუქრებულ ი. ხ-შვილს აჩუქა ქ. თბილისში, ... №17, დაზუსტებული ფართობი – 4527 კვ.მ. უძრავი ქონება.

ი. ჩ-სა და ი. ხ-შვილს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა დასაჩუქრებულ ი. ხ-შვილს აჩუქა ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №23/5, სართული 3, ბინა №5, 178 კვ.მ. უძრავი ქონება.

ი. ჩ-სა და მის დას – მ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა მ. ჩ-ს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) კუთვნილი 66,25% წილი.

ლ. კ-ძესა და უ. კ-ძეს შორის 2012 წლის 8 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ლ. კ-ძემ ძმას – უ. კ-ძეს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) მის საკუთრებაში არსებული 22,5% წილი.

ლ. კ-ძესა და უ. კ-ძეს შორის 2012 წლის 14 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-ძემ უ. კ-ძეს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) მის საკუთრებაში არსებული 57% წილი.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 3 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სს „საქართველოს ბანკის“ მოვალის – შპს „ნ. ე-ს“ დირექტორის ბ. ჯ-ს განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე. ბანკმა როგორც კრედიტორმა წარადგინა მოთხოვნა 60 273 709.88 ლარზე. მოგვიანებით სს „საქართველოს ბანკმა“ სარჩელი აღძრა შპს „ნ. ე-ს“, შპს „ნ. რ. გ-ს“, შპს „ლ-ნის“, ი. ჩ-ს, ს. ჩ-ს, ნ. შ-შვილისა და ლ. კ-ძის მიმართ სს „საქართველოს ბანკსა“ და



შპს „ნ. ე-ს“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანხების დაკისრების, იპოთეკისა და გირავნობის საგნების რელიზაციის მოთხოვნით.

საჯარო რეესტრის, ასევე, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, პალატამ დაადგინა, რომ სადავო გარიგებებით განკარგული წილები და უძრავი ნივთები რეგისტრირებულია ნ. ტ-ის და დასაჩუქრებულების სახელზე. მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ის ფაქტიც, რომ დასაჩუქრებულები ფაქტობრივადაც ახორციელებენ მათ საკუთრებაში აღრიცხული წილების მართვას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრული წინამდებარე სარჩელით სს „საქართველოს ბანკი“ ითხოვდა ზემოთ მითითებული უძრავი ნივთების და წილების ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ გარიგებები გაფორმდა მოჩვენებით, ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით. მითითებულ აღიარებით სარჩელზე თავის იურიდიულ ინტერესად ბანკი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მათ მიმართ შპს „ნ. ე-ს“ სასესხო ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო მოძრავი ნივთებით, რომელთა ღირებულება, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შეადგენდა 5 427 200 აშშ დოლარს, ასევე, უძრავი ნივთებით, რომელთა ღირებულება იყო 1 571 300 აშშ დოლარი, ხოლო, მოვალე შპს „ნ. ე-ს“ დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენდა 34 706 210.07 ლარსა და 2 640.11 აშშ დოლარს. შესაბამისად, დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული ნივთები სრულად ვერ უზრუნველყოფდა შპს „ნ. ე-ს“ ვალდებულებების შესრულებას მათ მიმართ, რის გამოც დღის წესრიგში დგებოდა დარჩენილი დავალიანების მოვალისა და თავდებების სხვა ქონებიდან ამოღების საკითხი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელის მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრიდან შპს „ნ. ე-ს“ შეწყვიტა სასესხო ვალდებულებების გადახდა და შეიქმნა კრედიტების დაფარვის საფრთხე. სს „საქართველოს ბანკის“ მოსაზრებით, სადავო გარიგებების დადებისას თავდებმა პირებმა იცოდნენ შპს „ნ. ე-ს“ ფინანსური პრობლემების შესახებ. ამასთან, ეს გარიგებები დადებული იყო ოჯახის წევრებს შორის. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე უთითებდა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლზე.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლთან მიმართებაში, სააპე-

ლაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე (საქმე №ას-571-879-09, 30.04.2010წ.), რომლის შესაბამისად განიმარტა შემდეგი: მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივე მხარეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა. შ.). ამრიგად, იმისათვის რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითი გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთ განჩინებაზე (საქმე №ას-1347-1272-2012, 01.07.2013წ.) რომლის შესაბამისად განმარტებულია, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რი-

სი გაქარწყლება ევალეზა მოსარჩელეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესავეებს ან ოჯახის წევრებს შორის, ივარაუდება, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე და, ასევე მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე. შესაბამისად, ზუსტად, რომ მოპასუხეებს ეკისრებათ ტვირთი, ამტკიცონ ის, თუ რამ განაპირობა და რა აუცილებლობა არსებობდა ამ ხელშეკრულებების დადების დროის იმ მონაკვეთში, როდესაც მოვალეს შესასრულებელი ჰქონდა ვადამოსული ვალდებულებები ბანკის წინაშე და ამის თაობაზე სასამართლოში მიმდინარეობდა დავა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მტკიცების ტვირთის სასამართლიანი განაწილების პრინციპიდან და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, მოცემულ დავაზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ სადავო გარიგებებში უძრავი ნივთებისა და წილების გამსხვისებლები (ლ. კ-ძე და ი. ჩ-ი) არ წარმოადგენენ სს „საქართველოს ბანკის“ ძირითად მოვალეებს, ისინი არიან თავდები პირები და იმის მიუხედავად, რომ ეს გარიგებები (ლ. კ-სა და ნ. ტ-ს შორის დადებული გარიგების გარდა) გაფორმებულია ახლო ნათესავეებსა და ოჯახის წევრებს შორის, მათ კანონიერებაზე მტკიცების ტვირთის მოპასუხეებზე გადატანამდე, მოსარჩელე სს „საქართველოს ბანკს“, როგორც მინიმუმ, უნდა დაედასტურებინა, რომ ა) დამდგარი იყო მოვალე შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან ბანკის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულების დრო; ბ) შპს „ნ. ე-ი“, ფინანსური სიძნელეების თუ სხვა ფაქტორების გამო, არ ასრულებდა ამ ვალდებულებას; გ) მითითებული გარემოებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ თავდები პირები – ლ. კ-ძე და ი. ჩ-ი.

მსგავს დავებზე მტკიცების ამ მინიმალური სტანდარტისგან მოსარჩელის განთავისუფლების შემთხვევაში, მივიღებდით მდგომარეობას, როცა თავდებობის მთელი პერიოდის განმავლობაში თავდები პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ოჯახის წევრზე ან ნათესავზე თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მფლობელის მხრიდან შეიძლება სადავო გამხდარიყო სრულიად დაუსაბუთებლად. მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება, პალატის მოსაზრებით, საფუძველშივე ეწინააღმდეგება საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად განკარგვის პრინციპს და თავდებობის, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის პიროვნული საშუ-

აღების არსს.

სააკველაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ საქმეზე დამატებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოსარჩელე არის სერიოზული საბაზრო ძალაუფლებისა და გამოცდილების მქონე ბანკი, რომელსაც სრული შესაძლებლობა ჰქონდა შპს „ნ. ე-თან“ მრავალმილიონიანი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების გაფორმებისას იმთავითვე ეზრუნა მოვალის მხრიდან ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის უფრო მყარი გარანტიების მიღებაზე.

პალატამ აღნიშნა, რომ სს „საქართველოს ბანკი“ მოსაზრებას სადავო გარიგებების მოჩვენებითობის შესახებ აფუძნებდა რამდენიმე გარემოებაზე. მათ შორის უმთავრესი იყო ის, რომ 2012 წლის ოქტომბრის თვიდან შპს „ნ. ე-მ“ შეწყვიტა სასესხო ვალდებულებების გადახდა და შეიქმნა კრედიტების დაფარვის საფრთხე. ასევე, სადავო გარიგებების დადებისას თავდებმა პირებმა იცოდნენ შპს „ნ. ე-ს“ ფინანსური პრობლემების შესახებ.

სააკველაციო პალატის მოსაზრებით, ამ გარემოებების დადასტურებით, მოსარჩელის მხრიდან გადალახული იქნებოდა მტკიცების ის მინიმალური სტანდარტი, რაზეც სასამართლომ ზემოთ მიუთითა და რის შემდეგაც მტკიცების ტვირთი, სადავო გარიგებების კანონიერებასთან დაკავშირებით, გადავიდოდა მოპასუხეების მხარეზე, რომლებსაც, თავის მხრივ, უნდა დაედასტურებინათ ამ ვითარებაში სადავო გარიგებების დადების აუცილებლობა.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სარჩელში მითითებული ზემოთ ხსენებული გარემოებების დადასტურება. უფრო მეტიც, თვით სარჩელზე დართული და საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულად აბათილებს ამ ფაქტებს. სს „საქართველოს ბანკი“ ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2012 წლის ოქტომბრის თვიდან შპს „ნ. ე-მ“ შეწყვიტა სასესხო ვალდებულებების გადახდა და შეიქმნა კრედიტების დაფარვის საფრთხე.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილ შპს „ნ. ე-ს“ მიერ სესხების დაფარვის გრაფიკზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 2011-2012 წლებში, შპს „ნ. ე-ი“ იხდიდა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასესხო თანხებს და მას ბოლო გადახდა განხორციელებული აქვს 2012 წლის 3 ოქტომბერს. გადახდილმა თანხამ შეადგინა 4 მილიონ ლარზე მეტი.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კო-

მერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობით („კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 29 დეკემბრის №350 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ვადაგადაცილებულ სესხად ითვლება ისეთი სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 30-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ. ამდენად, ვადაგადაცილებას წარმოადგენს გრაფიკით შეთანხმებული გადახდის თარიღიდან 30 დღის შემდეგ გადაუხდელობა.

მოცემულ შემთხვევაში, სესხების დაფარვის გრაფიკის შესაბამისად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დასტურდებოდა შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან სესხის 4 მილიონზე მეტი თანხის გადახდის ფაქტი. ამასთან, ოქტომბრის რომელ რიცხვში უწევდა გრაფიკის შესაბამისად შპს „ნ. ე-ს“ კრედიტის გადახდა, საქმის მასალებით არ დგინდებოდა.

პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუკი გათავალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. ამასთან, შეწყვეტა ძალაში შედის, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

სასამართლოს მითითებით, სს „საქართველოს ბანკის“ მოსაზრებას 2012 წლის ოქტომბრისათვის შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან სასესხო ვალდებულების შესრულების შეწყვეტისა და ვადაგადაცილების შესახებ, აბათილებდა ის გარემოებაც, რომ 2012 წლის 05 ნოემბერს, სს „საქართველოს ბანკმა“ შპს „ნ. ე-თან“ გააფორმა საკრედიტო ხაზის ახალი ხელშეკრულება 3 300 000 ლარზე.

სს „საქართველოს ბანკი“ ვერც იმ გარემოებას ადასტურებდა, რომ სადავო გარიგებების დადებამდე, რომელიც მოიცავს 2012 წლის 5 ოქტომბერიდან 2012 წლის 14 ნოემბრამდე პერიოდს, თავდებები იაგო ჩოჩელი და ლუხუშე კაპანაძე ინფორმირებულები იყვნენ ძირითადი მოვალის მიერ სესხის გადახდის ვადის ვადაგადაცილებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი).

სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების 4.3.2

პუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებულია ხელშეკრულების საფუძველზე თავდებისთვის მოთხოვნის წარდგენამდე (ან ამგვარ მოთხოვნამდე) აცნობოს თავდებს 4.3.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის თაობაზე, ხოლო, თავდების მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მიანოდოს მას ცნობები მოვალის ვალის მდგომარეობის შესახებ. ამავე შინაარსის მატარებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმა და ხელშეკრულების პირობა ავალდებულებს კრედიტორს აცნობოს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შესახებ.

პალატამ მიუთითა სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების მე-9 პუნქტზე, რომელიც არეგულირებს მხარეებს შორის კომუნიკაციის წესებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიენოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით. 9.2 პუნქტის თანახმად კი, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ. თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული, ის ჩაითვლება სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად ბანკის მიერ კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, გაგზავნიდან 3 კალენდარულ დღეში ან ჩაბარების დადასტურების დღეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, საქმის მასალებში წარმოდგენილია სს „საქართველოს ბანკის“ 2012 წლის 30 ნოემბრის შეტყობინება ბანკის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ, რომლის ადრესატები, სხვა პირებთან ერთად, არიან თავდები პირები ლ. კ-ძე და ი. ჩ-ი, თუმცა, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი შეტყობინების გაგზავნისა და თავდებებისათვის მისი ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავად შეტყობინება შედგენილია 2012 წლის 30 ნოემბერს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრესატისათვის მისი გაგზავნისა და ჩაბარების შესახებ მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ამ გარემოებას ადგილი ექნებოდა სადავო გა-

რიგებების დადების შემდეგ (2012 წლის 05 ოქტომბერი, 2012 წლის 7 ნოემბერი, 2012 წლის 8 ნოემბერი, 2012 წლის 14 ნოემბერი). ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თავდებებისათვის სადავო გარიგებების დადების დროისთვის ცნობილი არ იყო ბანკის მოთხოვნის შესახებ ძირითადი მოვალის შპს „ნ. ე-ს“ მიმართ. მოთხოვნის არსებობა თავდებებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სს „საქართველოს ბანკმა“ სასამართლოში სარჩელი აღძრა ძირითადი მოვალის და თავდებების მიმართ 2012 წლის 31 დეკემბერს.

პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სადავო გარიგებების დადებისას, სს „საქართველოს ბანკს“ არ ჰქონდა მოთხოვნის უფლება თავდებების მიმართ.

სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების 4.3.1 პუნქტის თანახმად, ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს თავდებს უზრუნველყოფილი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული ბანკის მიერ ან/და თუ მისი გადახდისუუნარობა აშკარაა ან/და თუ ვალი ვადამდე იქნა გამოსთხოვილი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია ვადაგადაცილებას. რაც შეეხება შპს „ნიუ ენერჯის“ გადახდისუუნარობას, აღნიშნულის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა მხოლოდ 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით. ამდენად, სადავო ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის სს „საქართველოს ბანკს“ თავდებების მიმართ არ ჰქონდა მოთხოვნის უფლება.

პალატამ არ გაიზიარა სს „საქართველოს ბანკის“ მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო გარიგებების დადებისას თავდებებს უნდა სცოდნოდათ შპს „ნ. ე-ს“ ფინანსური სიძნელეების შესახებ. ბანკი ამ მოსაზრებას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. კ-ძე არის შპს „ნ. ე-ს“ პარტნიორი, ხოლო ი. ჩ-ი – შპს „ნ. ე-თან“ დაკავშირებული პირი. მოცემულ შემთხვევაში სს „საქართველოს ბანკმა“ ვერ მიუთითა შპს „ნ. ე-თან“ ი. ჩ-ის ისეთი სახის ურთიერთობაზე, რაც სარწმუნოს გახდიდა სადავო გარიგებების დადების დროს შპს „ნ. ე-ს“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ მის ინფორმირებულობას.

რაც შეეხება ლ. კ-ძეს, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ იგი არის შპს „ნ. ე-ს“ პარტნიორი და არა მისი დირექტორი. შესაბამისად, ვინაიდან, იგი აღჭურვილი არ იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, ის კომპანიის მართვაში მონაწილეო-

ბას არ იღებდა და ყოველდღიურ რეჟიმში ვერ ექნებოდა ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. პალატამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ლ. კ-ძე, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გაემგზავრა გერმანიაში. 2012 წლის 23 ნოემბერს გაუკეთდა ოპერაცია და 5 დეკემბრამდე იმყოფებოდა კლინიკაში, რის შემდეგაც გადავიდა სარეაბილიტაციო კლინიკაში 4 კვირის განმავლობაში (2013 წლის 5 იანვრამდე). ხანგრძლივ მკურნალობასთან დაკავშირებით, მასზე გაიცა 6 თვიანი ბინადრობის ნებართვა. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა), რომლებიც მოპასუხე მხრემ დაადასტურა სათანადო მტკიცებულებებით, სარწმუნოს ხდიდა მათ მოსაზრებას ლ. კ-ძის მხრიდან სადავო გარიგებების სწორედ ამ დროს დადების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო მკურნალობის ხარჯების მოძიებით და პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო გარიგებების დადებისას, ძირითადი მოვალის, შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია სესხის გადახდის ვადაგადაცილებას და სს „საქართველოს ბანკს“ არ ჰქონდა მოთხოვნის უფლება თავდებების მიმართ. ამასთან, თავდებები არ იყვნენ ინფორმირებული ძირითადი მოვალის ფინანსური სიძნელების შესახებ. დამტკიცებულად მიჩნეული ეს ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, გამორიცხავდა სადავო გარიგებების მოჩვენებითად ცნობის წინაპირობებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს „საქართველოს ბანკმა“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდებების ი. ჩ-ს და ლ. კ-ძის მიერ წილების და ქონების გასხვისება მოხდა მოჩვენებითად, რათა თავი აერიდებინათ სს „საქართველოს ბანკის“ მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისათვის. ლ. კ-ძე არის შპს „ნ. ე-ს“ დამფუძნებელი, ხოლო ი. ჩ-ი დაკავშირებული პირი და მათთვის ცნობილი იყო ფირმის ფინანსური პრობლემების შესახებ.

კასატორის აზრით, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით



გათვალისწინებული მოჩვენებითი გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში. მოცემულ შემთხვევაში კი აღნიშნული მესამე პირი სს „საქართველოს ბანკი“.

2012 წლის ოქტომბრიდან შპს „ნ ე-მ“ შეწყვიტა სასესხო ვალდებულებების გადახდა და 3 დეკემბერს მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიხსნა გადახდისუუნარობის წარმოება. ბანკის, როგორც კრედიტორის მიერ წარდგენილი იქნა მოთხოვნა 60 273 709.88 ლარზე. პარალელურად ბანკმა აღძრა სარჩელი შპს „ნ ე-ის“, შპს „ნ. რ. გ-ის“, შპს „ლ-ნ-ის“, ი. ჩ-ის, ს. ჩ-ს, ნ. შ-შვილისა და ლ. კ-ძის მიმართ სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „ნ. ე-ს“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანხების დაკისრების, იპოთეკისა და გირავნობის საგნების რელიზაციის მოთხოვნით. კასატორის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის და გირავნობის საგნის რელიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ ფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადახდებიან უნდა მიექციოს შპს „ნ. ე-ს“, შპს „ნ. რ. გ-ის“, შპს „ლ-ნ“-ის, ლ. კ-ძის, ი. ჩ-ის და ნ. შ-შვილის ნებისმიერ ქონებაზე, თავდებების, ლ. კ-ძის და ი. ჩ-ის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს 20 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტი ლარით.

საკასაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ შპს „ნ. ე-ს“ სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული და იპოთეკით დატვირთულია მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სრულად მოპასუხის დავალიანებას მოსარჩელის წინაშე. შესაბამისად დგება საკითხი, რომ დარჩენილი დავალიანების ამოღება მოხდეს მსესხებლის და თავდებების სხვა ქონებიდან, ხოლო თავდებების მიერ თავიანთი ქონებების ოჯახის წევრებზე მოჩვენებითად გასხვისების მიზანი არის ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებისათვის თავის არიდება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა, რომ ლ. კ-ძე და ი. ჩ-ი არ წარმოადგენენ ძირითად მოვალეებს, იყვნენ თავდებები შპს „ნ. ე-ს“ სესხზე და მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, რომ დამდგარი იყო მოვალის მხრიდან ვალდებულებების შესრულების დრო, შპს „ნ. ე-ი“ ვერ ასრულებდა ვალდებულებებს და ამის თაობაზე ცნობილი იყო თავდები პირებისთვის. ეს სამივე გარემოება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მასალებით. ასევე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც ხდება მოჩვენებითი გარიგების დადება ოჯა-

ხის წევრებს შორის მოვალის მიერ სხვა ვალდებულების შესრულებისაგან თავის აცილების მიზნით, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. მოპასუხემ კი ვერ განმარტა, თუ რატომ მოხდა ათეულობით მილიონის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონების გადაფორმება დაჩქარებულად ნაჩუქრობით ოჯახის წევრებზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკს უნდა ეზრუნა მოვალის მხრიდან ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის უფრო მყარი გარანტიების მიღებაზე. ამ შემთხვევაში, მართალია ვალდებულების ოდენობა აღემატებოდა უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულებას, თუმცა ი. ჩ-ს და ლ. კ-ძის თავდებობები მიჩნეულ იქნა უზრუნველყოფის მყარ გარანტიად, იქედან გამომდინარე, რომ ზემოლნიშნულ პირებს საკუთრებაში გააჩნდათ რამდენიმე ათეული მილიონის უძრავ-მოძრავი ქონება.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ 2012 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება აბათილებს იმ გარემოებას, რომ შპს „ნ. ე-ს“ მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას, თუმცა ამავე საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ხელშეკრულების გაფორმების მიზანი იყო საბანკო გარანტიების დაფარვა, ანუ ბენეფიციარებმა გამოითხოვეს გარანტია საქართველოს ბანკისაგან და მოვალეს ეს ვალდებულება დაუფიქსირდა სესხად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შპს „ნ. ე-ს“ ფინანსურ პრობლემებს და ვალდებულების შეუსრულებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს ბანკის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ლ. კ-ძეს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-გ ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-ძემ იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – 514587-517830) ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტა-

ში.

2010 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკსა“ და იაგო ჩოჩელს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №514587-517830-ბ ხელშეკრულება, რომლითაც ი. ჩ-მა იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – 514587-517830) ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

2011 წლის 12 ივლისს სს „საქართველოს ბანკსა“ და ლ. კ-ძეს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის შესახებ №CAS000000830 ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-მ იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის – შპს „ნ. ე-ს“ მიერ (ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ – GGL000000621) ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 50 000 000 აშშ დოლარით ან ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

ლ. კ-ძესა და ნ. ტ-ძეს შორის 2012 წლის 5 ოქტომბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. გამყიდველმა (ლ. კ-ძე) მიყიდულს (ნ. ტ-ძე) 250 000 ლარად მიყიდა უძრავი ქონება ქ. თბილისში, ... №24, მე-2 სადარბაზო, სართული 4, ბინა №32, ფართი – 210.72 კვ.მ. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, ნასყიდობის საგანი უფლებრივად უნაკლოა.

ი. ჩ-სა და ლ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა ძმას – ლ. ჩ-ს აჩუქა შპს „მ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი – ...) მის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი.

ი. ჩ-სა და მის მეუღლეს — ი. ხ-შვილს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ი. ჩ-მა დასაჩუქრებულ ი. ხ-შვილს აჩუქა ქ. თბილისში, ...ის №17, დაზუსტებული ფართობი – 4527 კვ.მ. უძრავი ქონება.

ი. ჩ-სა და ი. ხ-შვილს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა ი. ხ-შვილს აჩუქა ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №23/5-ში მე-3 სართულზე მდებარე ბინა №5.

ი. ჩ-სა და მის დას — მ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ი. ჩ-მა მ. ჩ-ს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) კუთვნილი 66,25% წილი.

ლ. კ-ძესა და უ. კ-ძეს შორის 2012 წლის 8 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ლ. კ-ძემ ძმას – უ. კ-ძეს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) მის საკუთრებაში არსებული 22,5% წილი.

ლ. კ-ძესა და უ. კ-ძეს შორის 2012 წლის 14 ნოემბერს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ლ. კ-ძემ უ. კ-ძეს აჩუქა შპს „ბ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) მის საკუთრებაში არსებული 57% წილი.

2012 წლის 3 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სს „საქართველოს ბანკის“ მოვალის – შპს „ნ. ე-ს“ დირექტორის ბ. ჯ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე. ბანკმა როგორც კრედიტორმა წარადგინა მოთხოვნა 60 273 709.88 ლარზე. მოგვიანებით სს „საქართველოს ბანკმა“ სარჩელი აღძრა შპს „ნ. ე-ს“, შპს „ნ. რ. გ-ს“, შპს „ლ-ნის“, ი. ჩ-ს, ს. ჩ-ს, ნ. შ-შვილისა და ლ. კ-ძის მიმართ სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „ნ. ე-ს“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანხების დაკისრების, იპოთეკისა და გირავნობის საგნების რელიზაციის მოთხოვნით.

სადავო გარიგებებით განკარგული წილები და უძრავი ნივთები რეგისტრირებულია ნ. ტ-ძის და დასაჩუქრებულების სახელზე. მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ის ფაქტიც, რომ დასაჩუქრებულები ფაქტობრივადაც ახორციელებენ მათ საკუთრებაში აღრიცხული წილების მართვას.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორის პრეტენზია ძირითადად ეხება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენას. კასატორი როგორც სარჩელით, ასევე საკასაციო საჩივრით მიიჩნევს, რომ თავდებების – ი. ჩ-ს და ლ. კ-ძის მიერ წილების და ქონებების გასხვისება მოხდა მოჩვენებითად, რათა თავი აერიდებინათ ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებისათვის. ლ. კ-ძე არის შპს „ნ. ე-ს“ დამფუძნებელი, ხოლო ი. ჩ-ი დაკავშირებული პირი, შესაბამისად მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო კომპანიის ფინანსური პრობლემების შესახებ. დაჩქარებული წესით ქონებების გასხვისება მოხდა ოჯახის წევრებზე ფორმალურად, რადგან თავდებების მიმართ თანხის დაკისრების შემთხვევაში დადგებოდა მათი პასუხისმგებლობის საკითხი. კასატორი ასევე მიუთითებს სასამართლოს მხრიდან მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებაზე (როდესაც ხდება მოჩვენებითი გარიგების დადება ოჯახის წევრებს შორის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს).

საკასაციო პალატა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლების,

ასევე კასატორის პრეტენზიის გათვალისწინებით თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 56.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგების მოჩვენებითობა წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას, რომლის შემოწმება შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც სასამართლო განმარტების გზით დაადგენს, თუ რა იგულისხმება მოჩვენებითობის ქვეშ.

როგორც წესი მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანაშვადვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამოორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. მოჩვენებითი გარიგების დადების დროს აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. მოჩვენებითი გარიგების დადების მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.

ამდენად იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელი ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. მტკიცების ტვირთის, როგორც საპროცესო-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი განაწილების პრინციპის მიხედვით, ნების გამოვლენის ნაკლი უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება (კონკრეტულ შემთხვევაში სს „საქართველოს ბანკმა“).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დადგენისა და მატერიალური ნორმის აღწერის (ნორმის შემადგენლობა) განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია სასამართლომ სწორად განსაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, ასევე იმ ფაქტების წრე, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (პრეიდიციალურად დადგენილი ფაქტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, უდავო ფაქტები, პრეზუმფციები). მართალია განსახილველ საქმეში სადავო არ არის ის ფაქტები, თუ როდის დაიდო გარიგებები, ან ვის შორის მოხდა გარიგების დადება, თუმცა სადავოა ნების გამოვ-

ლენის ნამდვილობა. მოპასუხეთა განმარტებით, სადავო გარიგებები შეესაბამება მათ ნებას, რასაც მოჰყვა თითოეულთან მიმართებაში კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

გარიგების მოჩვენებითობის შემონმების თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლება, ევალება მოსარჩელეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესავეებს (მაგალითად, მამა-შვილს შორის) ან სხვა ოჯახის წევრებს შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე (იხ. პრეტაქტიკა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის №ას-571-879-09 განჩინება). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ჯ. ტ-ეს არა აქვს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სს „ა. დ. თ-ის“ მიმართ. იმ პერიოდში, როდესაც სს „ა. დ. თ-ი“ ითხოვდა ჯ. ტ-ან ვალდებულების შესრულებას, ამ უკანასკნელმა განკარკა თავის საკუთრებაში არსებული ქონება და მიჰყიდა თავისი ოჯახის წევრებს. ამ ვითარებაში ჯ. ტ-ეს მიერ შვილისათვის (თ. ტ-ის) ნივთის მიყიდვა შეიძლება მიუთითებდეს მხარეთა კეთილ ნებაზე და განპირობებული იყოს გარკვეული აუცილებლობით, მაგრამ ზუსტად, რომ თ. ტ-ეს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს ის, თუ რამ განაპირობა და რა აუცილებლობა არსებობდა ამ ხელშეკრულებების დადების ჯ. ტ-ის მიერ ვალდებულების შესრულების მონაკვეთში“. (სუსგ, № ას-1439-1357-2012, 1 ივლისი, 2013 წ.). ამ შემთხვევაში ქონების შემძენს კეთილსინდისიერების ინსტიტუტი ვერ იცავს.

ზემოთ მოხმობილი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარიგების მოჩვენებითად დადებისათვის შესაძლოა სასამართლოს მხრიდან შესამონმებელი იყოს პრეზუმფციები, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ არ შედის მტკიცების საგანში. ამასთან, პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). როგორც ვნახეთ საკასა-

ციო პალატამ ოჯახის წევრებს შორის გარიგების დადება იმ პერიოდში, როდესაც ქონების გამსხვისებელს ვალდებულება ჰქონდა შესასრულებელი, მიიჩნია იმ ვარაუდის დაშვების საფუძვლად, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე და, ასევე, მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე. ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი ეკისრება ქონების შემძენს, ხოლო ამ უკანასკნელმა უნდა ამტკიცოს რა გარემოებებმა განაპირობეს გარიგების დადების აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტები იმის შესახებ, თუ როდის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულებები, ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებები, რომ არ შეამოწმა ხომ არ იყო სახეზე პრეზუმირებული ფაქტები. უფრო მეტად რომ დავკონკრეტდეთ, ლ. კ-ძესთან მიმართებაში დადგენილია, რომ: იგი არის ძირითადი მოვალის, შპს „ნ. ე-ს“ 70%-იანი წილის მესაკუთრე; შპს „ნ. ე-მ“ ბოლო გადახდა განახორციელა 2012 წლის ოქტომბერში; ნასყიდობის ხელშეკრულება ნ. ტ-ძესთან დაიდო, ხოლო ჩუქების ხელშეკრულებები ლ. კ-ძის ძმასთან დაიდო 2012 წლის 5 ოქტომბერს, 8 ნოემბერს და 14 ნოემბერს; 2012 წლის 3 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო შპს „ნ. ე-ს“ განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე. შესაბამისად საკასაციო პალატა ლ. კ-ძის, ნ. ტ-ძის, უ. კ-ძის მიმართ მოთხოვნის ნაწილში მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

რაც შეეხება ი. ჩ-ს, მასთან მიმართებაში დადგენილია, რომ: ი. ჩ-ი და ლ. კ-ძე წარმოადგენდნენ პარტნიორებს შპს „ბ-ში“; ჩუქების ხელშეკრულებები ი. ჩ-ს ძმასთან, მეუღლესთან და დასთან დაიდო 2012 წლის 7 ნოემბერს. საკასაციო პალატა ამ ნაწილში ცალსახად გამოორიცხავს იმ პრეზუმფციის დაშვებას, რომ ი. ჩ-თვის ცნობილი იყო შპს „ნ. ე-ს“ ფინანსური პრობლემების შესახებ, ან იმის შესახებ, რომ მოვალეს განზრახული ქონდა კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება. ამ პრეზუმფციის დაშვებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ის გარემოება, რომ სოლიდარული თავდებები სხვა კომპანიაში წარმოადგენდნენ პარტნიორებს. ი. ჩ-ს ოჯახის წევრებზე მით უფრო ვერ გავრცელდება შპს „ნ. ე-ს“ ვალდებულების არსებობისა და ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების ცოდნის პრეზუმფცია. აქედან გამომდინა-

რე, ი. ჩ-ს, ლ. ჩ-ს, ი. ხ-შვილის, მ. ჩ-ს მიმართ სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელი უსაფუძვლოა და ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით, დაადგინოს პრეზუმირებული ფაქტები, ამის შესაბამისად გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „საქართველოს ბანკის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ლ. კ-დის, ნ. ტ-დის და უ. კ-დის მიმართ სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## საკიეპელი

### 1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა .....	3
პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა .....	16
ცილისმნამებლური ინფორმაციის უარყოფა .....	31
ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება .....	50
მორალური ზიანის ანაზღაურება .....	76

### 2. იურიდიული პირები

სანარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა .....	96
კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა	
კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის .....	108; 143

### 3. გარიგებანი

გარიგების ბათილობა .....	179
მოჩვენებით დადებული გარიგება .....	188

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)